ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა ფერი სპორტზე

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

Beijing 2008
ოლიმპიადის დაწყებამდე დარჩა 4 დღე



№ 181 (12 556) 4 აგვისტო ორშაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი




იტალია დავამარცხეთ, მაგრამ...

კალათბურთი 13

ვან დერ ვაარტს მადრიდში ელოდებიან

ინტერვიუ 6




# მილანის რუსული ფიასკო

## 0:5

ნიკოლა ანელკამ როსონერის ოთხი გოლი გაუტანა

# შოთა:

თუ შემომთავაზებენ, გადაწყვეტილებას მერე მივიღებ... 3

# ოთხი მედალი და გუნდური მესამე ადგილი



ჭიდაობა. მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი 13



რუსეთის რკინიგზის თასი 8

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერი. ინტერვიუ დიმიტრი ტატანაშვილთან

# ახლა უფრო ღონიერი ვარ

**დიმიტრი ტატანაშვილს დებიუტი ჰქონდა გამბრინუს ლიგაში. ჩეხეთის ჩემპიონატის პირველ ტურში მისმა „პლზენმა" „ჟიუკოვი" 3:2 დაამარცხა. ჩვენებურს გოლი არ გაუტანია, თუმცა ჩეხური წყაროების ცნობით, რიგიანად გაისარჯა.**

**ტატანაშვილი ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდი იყო საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში და ჩვენი ნაკრების ყოფილი მწვრთნელის, კლაუს ტოპმიოლერის ყურადღებაც მიიქცია. ტოპის გაწვრთნილ ნაკრებში ტატანაშვილმა გოლიც გაიტანა - აზერბაიჯანთან ამხანაგურ შეხვედრაში (1:1) და მარცხისგან იხსნა ჩვენი ნაკრები.**

**მოკლედ, ტატანაშვილი ნაკრებისთვის საინტერესო ფეხბურთელია და მისი ჩეხური კარიერაც საყურადღებოა. თბილისის „ამერიდან" დაახლოებით 300 ათას ევროდ პლზენის „ვიქტორიაში" გადასულ თავდამსხმელს გუშინ ჩეხეთში დავურეკეთ.**

- „ჟიუკოვთან" გოლი ვერ გავიტანე, თუმცა საერთო ჯამში საკუთარი თამაშით კმაყოფილი დავრჩი. ჩემი თამაში მწვრთნელს და კლუბის ხელმძღვანელობასაც მოეწონათ. ერთი საგოლე მომენტი მქონდა. მოკლედ, ჯერ უგოლოდ ვარ, ბურთები მხოლოდ ამხანაგურ მატჩებში გავიტანე - ორი შევაგდე და სამი საგოლე პასი მივითვალე.

**- როგორ აჭყობ, ჩეხეთში თამაში ჯერ გიჭირს თუ უკვე კარგად გაუშინაურდი მანდაურობას?**

- ჩეხეთში ბევრად ძნელია თამაში, ვიდრე საქართველოს ჩემპიონატში. აქ ფიზიკურად გაცილებით უკეთ თუ არ ხარ მზად, მოედანზე არაფერი გამოგივა, 90 წუთს ვერ გაუძლებ.

**- გულშემატკივარი რამდენად კმაყფილი დარჩა „ჟიუკოვთან" შენი თამაშით?**

- მატჩის შემდეგ ინტერნეტგამოკითხვა ჩატარდა - გულშემატკივრებს შეხვედრის საუკეთესო ფეხბურთელი უნდა დაესახელებინათ და მე მეორე ადგილი დავიკავე. ვფიქრობ, არ არის ურიგო შედეგი.

**- „ამერში" თამაშისას დიმიტრი ტატანაშვილის მნიშვნელოვანი ნაკლი არასათანადო ფიზიკური მომზადება იყო. ახლა კი იქ თამაშობ, სადაც კიდევ უფრო მეტი ჯანია საჭირო...**

- სეზონისწინა მოსამზადებელი პერიოდი ძალიან დამეხმარა. კარგი პირობებია მოლონიერებისთვის, რაც გამოვიყენე კიდეც. სატრენაჟორო დარბაზში გუნდთან ერთადაც ვვარჯიშობდი და ინდივიდუალურადაც. ვგრძნობ, რომ ახლა უწინდელთან შედარებით მეტი ჯანი მაქვს. თავიდან კი „პლზენში" მართლაც გამიჭირდა, ასეთ დატვირთვებს შეჩვეული არ ვიყავი.

**- ფინანსების მხრივ „პლზენს" რა ადგილი უკავია ჩეხეთში?**

- ექვს საუკეთესო კლუბში შედის, „სპარტასა" და „სლავიას" კი ბიუჯეტით მნიშვნელოვნად ჩამორჩება, თუმცა წმინდა სპორტული ასპექტით, არა მგონია, ამ გუნდებს დიდად ჩამოვუვარდებოდეთ. „პლზენში" სიტუაცია სტაბილურია და ვფიქრობ, ჩეხეთის ნებისმიერ გუნდთან შეგვიძლია ტოლ-სწორად თამაში. ახალი გუნდი ვართ, მწვრთნელიც ახალი გვყავს - იაროსლავ სილჰავი ჩეხეთის ეროვნულ ნაკრებში კარელ ბრუკნერის თანაშემწე იყო და ისევ იქნება ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი.



დიმიტრი ტატანაშვილი

**- ერთი სიტყვით, ჯერჯერობით ყველაფრით კმაყოფილი ხარ.**

- მასეა, ახლა ბინაც მომცეს ქალაქის ცენტრში. წინსვლისთვის ყველანაირი პირობა მაქვს.

**- იმის იმედი თუ გაქვს, რომ ჩვენი ნაკრების ახალ მთავარ მწვრთნელს, ექტორ რაულ კუპერს ვინმე სიტყვას შეაწევს შენზე?**

- იმედია, ასეც მოხდება. ახლა უფრო ვარ ნაკრებისთვის მზად, ვიდრე კლაუს ტოპმიოლერის დროს.

**- პლზენში" არის იმის ტრადიცია, რომ გამარჯვება ლუდით აღნიშნოთ?**

- თამაშის შემდეგ ლუდის სმა ჩვეულებრივი ამბავია. თამაშამდე კი ამას ყველა ერიდება. აქ არავინ გაკონტროლებს, თუ პროფესიონალი ხარ, შენ ყველაზე კარგად უნდა იცოდე, რა დროს რა გააკეთო. „პლზენი" მეგობრული გუნდია, არაერთხელ შევკრებილვართ ბარსა თუ რესტორანში ლუდის დასალევად.

**- ალბათ იცი, რომ „ამერი" პირველ ლიგაში ჩაქვეითდა...**

- ამან ძალიან დამწყვიტა გული. საწყენია, ასეთი კარგი გუნდი რომ დაიშალა და ფეხბურთელები ახალი გუნდის ძიებაში რომ არიან.

**დავით თავართქილაძე**

არაპროფესიონალის თვალით. ინტერვიუ ირაკლი ფირცხალავასთან

# ჩვენს ვარსკვლავებთან თამაში ძნელია

**რუსეთში მოღვაწე ცნობილ მომღერალ ირაკლი ფირცხალავას „ვიტ ჯორჯია" -"ტრნავას" მატჩზე შევხვდით. ის რუსულ კლუბებში მოასპარეზე ქართველი ლეგიონერების ახლო მეგობარია და საერთოდაც, ფეხბურთში ჩინებულად ერკვევა, მას ქართული ფეხბურთის განვითარების საკუთარი ხედვაც კი აქვს.**

- კარგა ხანია, რაც ფეხბურთის აქტიური გულშემატკივარი ვარ. უფრო მეტიც, ჩემი სიყვარული და სპორტის ამ სახეობის შეცნობა უკვე სცილდება კიდეც უბრალო გულშემატკივრის დონეს. რუსულ გუნდებში მოასპარეზე ქართველ ფეხბურთელებთან ახლო ურთიერთობა მაკავშირებს. ბევრი მათგანი ჩემი მეგობარია. მათთან ერთად ხშირად ვსაუბრობ ფეხბურთის განვითარებაზე, ქართულ ფეხბურთზე... ყველას ძალიან გვინდა, რომ ჩვენი წვლილი შევიტანოთ ქართული ფეხბურთის განვითარებაში. სწორედ ამაზეა ორიენტირებული ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა, ხელისუფლებაც მონდომებულია და იმედი მაქვს, თუ ყველა ერთად მოვინდომებთ, ჩვენს ფეხბურთსაც ეშველება.

**- მაინც როგორ უნდა ეშველოს ჩვენს ფეხბურთს?**

- თუ იქნება ფეხბურთისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომა და ეს საქმეში რეალურად გამოიხატება, მაშინ შედეგიც გვექნება.



ირაკლი ფირცხალავა

**- სახელმწიფოებრივ მიდგომაში რას გულისხმობთ?**

- როცა მთელი ქვეყანა, ხალხი, ბიზნესწრეები, უბრალო ადამიანები ფეხბურთზე არიან აქცენტირებულები. საქმიანი წრეები ფულს ფეხბურთში დააბანდებენ, სახელმწიფო კი ამ ბიზნესმენებს საამისოდ ნოყიერ ნიადაგს შეუქმნის, სათანადო კანონმდებლობას შექმნის... თუ ბიზნესმა და სახელმწიფომ ერთობლივად არ მოინდომეს ფეხბურთის განვითარება, ისე არაფერი გამოვა. ამასთან, მოედნებს აუცილებლად უნდა მიეხედოს, ბავშვთა ფეხბურთში ისეთი მწვრთნელები უნდა მუშაობდნენ, რომელთაც ესმით ეს საქმე და იქ შემთხვევით არ არიან მოხვედრილები. უმაღლეს ლიგაში მწვრთნელთა კვალიფიკაციას დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ... ეს ყველაფერი კი ქართულ ფეხბურთში ფინანსების ჩადებითაა შესაძლებელი. სწორედ ეს გზა გაიარა რუსულმა ფეხბურთმა და დღეს ნახეთ, რა დონეზეა...

**.- იქნებ ქართველ ლეგიონერებთან მეგობრობაზეც მოგვიყვე...**

- ახლო ურთიერთობა მაკავშირებს ყაზანის რუბინელ ლაშა სალუქვაძესთან, ნუკრი რევიშვილთან, დათო კვირკველიასთან... ასევე მოსკოვის „ლოკომოტივის ჩვენებურებთან - მალხაზ ასათიანთან და დათო მუჯირთან... მათზე ადრე გავიცანი მიშა აშვეთია, ვალერი აბრამიძე... არ მინდა, ვინმე გამომრჩეს... მეტსაც გეტყვით, მათთან ერთად თავისუფალ დროს ფეხბურთსაც კი ვთამაშობ ხოლმე.

**- შოუ-ბიზნესი ფეხბურთში რამდენად ყოჩაღობს?**

- ... (იცინის) ჩვენი სიმღერით მოედანზე არაფერი გამოგვდის. წინააღმდეგობას კი ვუწევ ფეხბურთელებს, მაგრამ ქართველი ვარსკვლავების წინაალმდეგ თამაში ძნელია.

**- ეროვნულ ნაკრებზე რას იტყოდი?**

- მთავარია, მთელმა ქვეყანამ, სახელმწიფომ მოინდომოს, რომ ჩვენი ნაკრები ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონატზე გავიდეს და ეს მიუღწეველი ოცნება ნამდვილად არ არის. საამისოდ შესაძლოა ოთხი, სულაც რვა წელიწადი დაგვჭირდეს. თუმცა ამ ხნის განმავლობაში ხელი არ უნდა ჩავიქნიოთ, ბოლომდე უნდა გავისარჯოთ ჩვენი ფეხბურთის სასიკეთოდ.

**- „ვიტ ჯორჯიის" მატჩი ნახე და რას იტყოდი?**

- „ვიტ ჯორჯიას" გამარჯვებას ვულოცავ და წარმატებებს ვუსურვებ. მათ მართლაც ბოლომდე იომეს და მოიგეს კიდეც. ჩვენი საკლუბო ფეხბურთი, რბილად რომ ვთქვათ, კარგ დღეში ნამდვილად არ არის. ქართულ გუნდს , ჩვენი ქვეყნის ვიცე-ჩემპიონს ასეთი ბარიერის გადალახვა არ უნდა უჭირდეს. თუმცა რას ვიზამთ, ეს ფაქტია.

**დავით ცაბაძე**

## პირველად ძირითადში

„ფრაიბურგის" მორიგ საკონტროლო მატჩში პირველად გამოჩნდა 19-წლამდელთა გუნდიდან ძირითადში გადაყვანილი **დავით თარგამაძე**. „ფრაიბურგმა" 1:0 მოუგო მეორე ბუნდესლიგის „მაინცს". ქართველი ლეგიონერი სასტარტო შემადგენლობაში იყო, ის 52-ე წუთზე **იაგერით** შეცვალეს. კონტრაქტის გაფორმების შემდეგ ჩვენებური გუნდთან ერთად არ ემზადებოდა, როდესაც ის გერმანიაში ჩავიდა, ვარჯიში ჯერ 19-წლამდელებში დაიწყო, თუმცა მალევე ძირითად გუნდში გადაიყვანეს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



დავით თარგამაძე

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; რედაქტორები: დავით თავართ'ილაძე, გია თვალაბეიშვილი, შალვა ბიბილაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; გავრცელების სამსახური დავით მაისურაძე, ფოტო: ალექსანდრე კოტრაშვილი, ნუგზარ სუარიძე. ნომრის მორიგე რედაქტორი შალვა ბიბილაშვილი

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 42 32 73; ელფოსტა: sporti@sporti.ge; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

# რისთვის დასჭირდება კუპერს ქართველი მწვრთნელი?

## არველაძე შეთავაზებას და ფუნქციას ელის


შოთა არველაძე

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას სურს, რომ **ექტორ რაულ კუპერის** ერთ-ერთი თანაშემწე ქართველი იყოს. ჩვენი ეროვნული გუნდის არგენტინელ თავკაცს თავისი თანაშემწე, მეკარეების მწვრთნელი და ფიზიოთერაპევტი რომ მოჰყავს, ადრეც გაუწყეთ. ახლა საკითხავი ის არის, ვინ იქნება მისი ქართველი ასისტენტი.

საამისოდ ერთ-ერთი ვარიანტი შოთა არველაძეა, საქართველოს ნაკრებში ყველაზე მეტი გოლის გამტანი, ვინც ახლა „ალკმაარში" მთავარი მწვრთნელის, **ლუის ვან გაალის** თანაშემწეა. გუშინ შოთას ჰოლანდიაში დავუკავშირდით და ამ საკითხზე ჩამოვუგდეთ სიტყვა.

- ჯერ არ არის ცნობილი, თუ რა ფუნქცია დაეკისრება კუპერის ქართველ თანაშემწეს. თუ ეს გაირკვევა და შემომთავაზებენ სამსახურს, გადაწყვეტილებასაც მერე მივიღებ. ჯერ არ ვიცი, დამრთავენ თუ არა „ალკმაარში" იმის ნებას, რომ სხვაგანაც ვიმუშაო. ამის შესახებ არც კლუბის ხელმძღვანელობასთან მისაუბრია და არც ვან გაალთან, რადგან ჯერ ზუსტად არ ვიცი, თუ რას მთავაზობენ, - გვითხრა არველაძემ.

დავით თავართქილაძე

# დიადორას იაკო შეცვლის

## უელსში საქართველო ალბათ ახალი ფორმით ითამაშებს

საქმე იქითკენ მიდის, რომ ეროვნულ ნაკრებს მთავარი მწვრთნელის დარად ახალი ეკიპირება გამოუჩნდება. შეგახსენებთ, რომ სპორტული ეკიპირების მწარმოებელ იტალიურ კომპანია „დიადორასა" და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შორის გაფორმებული კონტრაქტი შარშან შესარჩევ ციკლთან ერთად დასრულდა. იტალიურ ფირმას კვლავაც ჰქონდა ქართულ მხარესთან თანამშრომლობის გაგრძელების სურვილი და პარტნიორობა რამდენიმე თვით გაგრძელდა. თუმცა ჩვენი ფედერაციის ტექნიკური სპონსორობით სხვა კომპანიებიც დაინტერესდნენ.

ქართულ მხარეს ყველაზე კარგი პირობები გერმანულმა „იაკომ" შესთავაზა და როგორც ჩანს, ეროვნული ნაკრების ახალი თავკაცის დამტკიცების შემდეგ ფედერაციის ხელმძღვანელობა ამ საკითხზე გადაერთვება და სავარაუდოდ "იაკოსთან" კონტრაქტიც გაფორმდება. შესაბამისად, 6 სექტემბერს 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს საქართველოს ნაკრები ახალი ფორმით დაიწყებს. უფრო მეტიც, დიდი შანსია, 20 აგვისტოს, კარდიფში, უელსთან ამხანაგურ შეხვედრაში ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა უკვე ახალი ფორმით ითამაშოს.

დავით ცაბაძე

# ქეცბაია წინასწარ არ ზეიმობს

ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ფამაგუსტის "ანორთოსისმა" შინ ვენის "რაპიდი" 3:0 გაანადგურა. ასეთი შთამბეჭდავი შედეგის მიუხედავად, კვიპროსელთა მთავარი მწვრთნელი **თემურ ქეცბაია** ამბობს, რომ საბოლოო გამარჯვებამდე ჯერ შორსაა.

*"ავსტრიაში სეზონი უკვე დაიწყო, ჩვენთვის კი "რაპიდთან" დაპირისპირება სეზონის პირველი ოფიციალური მატჩი იყო. ეს ფაქტორი ჩემი გუნდის ძალას კიდევ უფრო უსვამს ხაზს. ძლიერ მეტოქეს დამსახურებულად ვაჯობეთ, ჩემმა ფეხბურთელებმა მოედანზე თავი დადეს, რისთვისაც მათ დიდ მადლობას ვუხდი.*

*ავსტრიაში დიდი ბრძოლა გველის, ყველაფერი იქ გადაწყდება. თუმცა ცხადია, პირველი შეხვედრის შედეგით "ანორთოსისი" მომგებიან ვითარებაშია და ეს შანსი ხელიდან არ უნდა გავუშვათ", - განაცხადა ქეცბაიამ.*

შეგახსენებთ, მისი ხელმძღვანელობით „ანორთოსისმა" ლიგის მეორე რაუნდი შარშანწინაც გადალახა, როცა თურქულ "ტრაბზონსფორს" აჯობა. კუნძულელებმა ძირითად ბადეში მოსახვედრადაც ბოლომდე იბრძოლეს. მოთამაშე-მწვრთნელ ქეცბაიასთან ერთად "ანორთოსისი" გლაზგოს "რეინჯერსთან" დამარცხდა.

ლევან ჯანეზაშვილი


თემურ ქეცბაია

U 19. ამხანაგური მატჩი

# სვანაძის გუნდს ესტონეთში ელიან

24 და 26 ივლისს საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა რუმინელ თანატოლებთან ორი ამხანაგური მატჩი გამართა. **ზაურ სვანაძის** გუნდმა ვლახები „ამერზე" 2:0 კი დაამარცხა, მაგრამ ორიოდე დღეში გორში ამავე ანგარიშით დამარცხდა.

ჩვენ 19-წლამდელებს ევროპის ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ჯგუფური რაუნდის მატჩები ნოემბერში აქვთ. საქართველო მეშვიდე ჯგუფში მოხვდა ჩეხეთთან, დანიასა და კვიპროსთან ერთად.

ოქტომბრამდე სვანაძის გუნდს სათანადო მომზადება ესაჭიროება და ფეხბურთის ფედერაციამ ამაზეც იზრუნა. როგორც შევიტყვეთ, 19-წლამდელები ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად მალე ესტონეთში გაემგზავრებიან. ეს ცნობა ნაკრები გუნდების მენეჯერმა **თამაზ ბოკერიამ** დაგვიდასტურა. როგორც ირკვევა, 12 და 14 აგვისტოს ესტონეთის 19-წლამდელები ზაურ სვანაძის გუნდს ტალინში უმასპინძლებენ.

დაბოლოს, ესტონეთის 19-წლამდელებმა ბოლოს ბალტიის ჭაბუკთა ტურნირზე იასპარეზეს. მათ 3 ივნისს ლიტვა 1:0 დაამარცხეს, 5 ივნისს კი ლატვიასთან 0:2 დამარცხდნენ.

დავით ცაბაძე

საქართველოს თასი. მეთექვსმეტედფინალი. საპასუხო მატჩები

# კანონზომიერება და სენსაცია



თასის მეთექვსმეტედფინალური მატჩები შაბათსაც გაიმართა. "გაგრამ" შინ მოულოდნელი მარცხი იწვნია ყველასთვის უცნობ "თბილისთან", თანაც ისეთი ანგარიშით, ურთულესი აღმოსაფხვრელი რომაა. შეიძლება, "გაგრა" მალე უფრო შედეგიანად ათამაშდეს, მაგრამ სეზონის ასეთი დასაწყისი უმაღლესი ლიგის დებიუტანტისთვის მაინც შემაშფოთებელი უნდა იყოს.

ფოთის "კოლხეთი" ახალციხეში "მესხეთს" ღირსეულად ებრძოლა. მასპინძლები საგრძნობ უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ არც სტუმრები გამოიყურებოდნენ ურიგოდ და სამერვედფინალო შანსიც შეინარჩუნეს. მატჩის თვითმხილველებს თუ ვერწმუნებით, "კოლხეთი" რამდენიმე უმაღლესლიგელზე უკეთესი გუნდია. ამ შეხვედრაში ერთადერთი გოლი **კობა ხანიშვილმა** გაიტანა.

"ლოკომოტივი", "ოლიმპი", "სიონი" და "სპარტაკი" უკვე შემდეგ ეტაპზე არიან, ზუგდიდურ დერბიშიც ყველაფერი გადაწყვეტილია. "მგლებისა" და "გაგრის" გარდა, უმაღლესლიგელთაგან საქმე ცუდად აქვს "ბორჯომსაც", მაგრამ სამცხელებს მცირე სამერვედფინალო პერსპექტივა მაინც შერჩათ. "მესხეთსა" და პირველ ლიგაში დაბრუნებულ "ამერს" დიდი ბრძოლა ელით. თანაბარი დონის მეტოქეები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს საჩხერესა და ქუთაისში.

თასისთვის ბრძოლაში მერვედფინალიდან ჩაერთვებიან ევროთასების მონაწილენი – "დინამო", "ვიტ ჯორჯია" და "ზესტაფონი". მერვედფინალის წილისყრა 6 აგვისტოს მოეწყობა.

ლევან ჯანეზაშვილი

**აღმოსავლეთი ზონა**

**დღეს**

ჰერეთი-ოლიმპი (0:5)
კახეთი-ამერი (1:2)
ნორჩი დინამოელი-სიონი (0:4)
დუშეთი-ლოკომოტივი (0:8)
ჩიხურა-მერანი თბ (0:1)

**ხვალ**

თბილისი-გაგრა (4:2)

**დასავლეთი ზონა**

**დღეს:**

ბაია-მგლები (5:1)
სამტრედია-ბორჯომი (1:0)
სპარტაკი-ოზურგეთი (5:0)
ტორპედო 2008-ჭიათურა (1:1)
გურია-მეშახტე (4:1)
კოლხეთი ხ.-მერანი მარტვილი (0:4)

**ხვალ:**

კოლხეთი ფ.-მესხეთი (0:1)

ფრჩხილებში მითითებულია პირველი მატჩების შედეგები
**დასაწყისი 17 საათზე**

ქალთა ფეხბურთი

# ფინალში ბათუმი და ივერია გავიდნენ

პირველი ეროვნული საკლუბო ჩემპიონატი დასასრულს მიუახლოვდა. შაბათს ქობულეთში ჯგუფური ეტაპის დასკვნითი ტურის მატჩები გაიმართა.

| | |
|---|---|
| დინამო-მარდი | 21:0 |
| ბათუმი-ჯიხა | 9:0 |
| ივერია-იბერია | 3:0 |
| ქუთაისი-ქობულეთი | 1:3 |

ბოლო ტურის შემდეგ ჯგუფებში ასეთი სატურნირო მდგომარეობაა:

**A ჯგუფი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბათუმი | 3 | 3 | 0 | 0 | 36-0 | 9 |
| 2. დინამო | 3 | 2 | 0 | 1 | 35-3 | 6 |
| 3. ჯიხა | 3 | 1 | 0 | 2 | 2-23 | 3 |
| 4. მარდი | 3 | 0 | 0 | 3 | 0-47 | 0 |

**B ჯგუფი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ივერია | 3 | 3 | 0 | 0 | 13-0 | 9 |
| 2. ქობულეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-7 | 6 |
| 3. იბერია | 3 | 1 | 0 | 2 | 5-5 | 3 |
| 4. ქუთაისი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-10 | 0 |

ქობულეთში მიმდინარე ქალთა საფეხბურთო ჩემპიონატის დასკვნითი მატჩები დღეს გაიმართება. პირველადგილოსნები ფინალში ითამაშებენ, ხოლო მეორე ადგილზე გასულები მე-3 ადგილისთვის დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

**ფინალი**

ბათუმი-ივერია

**მე-3 ადგილისთვის მატჩი**

დინამო-ქობულეთი

დავით ცაბაძე

UEFA CHAMPIONS LEAGUE

უეფას ჩემპიონთა ლიგის
მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი
საპასუხო მატჩი

ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი

6 აგვისტო, ოთხშაბათი. 20:00 საათი

დინამო (თბილისი) VS პანათინაიკოსი (საბერძნეთი)

ბილეთის ფასი: 5, 10 და 15 ლარი

ბილეთები გაიყიდება სამშაბათიდან ეროვნული სტადიონის სალაროებში

## სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

**უეფას ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის "დინამო" (თბილისი)-"პანათინაიკოსი" (ათენი) საპასუხო მატჩზე აკრედიტაციის მსურველმა ჟურნალისტებმა უნდა მოგვმართონ სამშაბათს, 5 აგვისტოს 19-დან 20 საათამდე ეროვნულ სტადიონზე.**

ს. კ. "დინამო თბილისის" პრესცენტრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ლეგიონი

# გოგუა საუკეთესოა



ბურთით გოგიტა გოგუა

| ფეხბურთელი | მატჩი | ანგ. | შენიშვნა | სტატ. |
|---|---|---|---|---|
| **ავსტრია** | | | | |
| ბუნდესლიგა. IV ტური | | | | |
| გიორგი შაშიაშვილი | შტურმი-ავსტრია | 0:0 | 90 წუთი | 4 თ. 0 გ. |
| ილია კანდელაკი | შტურმი-ავსტრია | 0:0 | 90 წუთი | 4 თ. 0 გ. |
| II ბუნდესლიგა. IV ტური | | | | |
| მირზა ბჟალავა | ტრენკვალ.-ავსტრია ლ. | 0:2 | არ უთამაშია | 1 თ. 0 გ. |
| **რუსეთი** | | | | |
| პრემიერ ლიგა. XVI ტური | | | | |
| გოგიტა გოგუა | ამკარი-სპარტაკი ნ. | 0:0 | 90 წუთი | 12 თ. 0 გ. |
| დავით სირაძე | ამკარი-სპარტაკი ნ. | 0:0 | 90 წუთი | 14 თ. 1 გ. |
| ალექს. ამისულაშვილი | ამკარი-სპარტაკი ნ. | 0:0 | 90 წუთი | 16 თ. 3 გ. |
| ლევან გვაზავა | ლუჩი-რუბინი | 1:1 | 78 წთ (შეცვალეს), გააფრ. | 14 თ. 2 გ. |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | - | - | 4 თ. 0 გ. |
| დავით მუჯირი | ლოკომოტივი | - | | 3 თ. 0 გ. |
| ლაშა სალუქვაძე | ლუჩი-რუბინი | 1:1 | 90 წუთი | 9 თ. 0 გ. |
| დავით კვირკველია | ლუჩი-რუბინი | 1:1 | სათადარიგო | 12 თ. 2 გ. |
| ნუკრი რევიშვილი | ლუჩი-რუბინი | 1:1 | არ უთამაშია | 0 თ. 0 გ. |
| **უკრაინა** | | | | |
| ვიშა ლიგა. III ტური | | | | |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია-ვორსკლა | 1:3 | ტრავმა | 1 თ. 0 გ. |
| ჯაბა კანკავა | ლვივი-დნიპრო | 0:1 | არ უთამაშია | 0 თ. 0 გ. |
| სანდრო კობახიძე | ლვივი-დნიპრო | 0:1 | არ უთამაშია, დუბლები | 0 თ. 0 გ. |
| კახა მჟავანაძე | ჩერნომორეცი-კარპატი | 3:0 | 90 წუთი | 1 თ. 0 გ. |
| გიორგი ციმაკურიძე | ზარია-მეტალურგი ზ. | 0:0 | სათადარიგო | 1 თ. 0 გ. |
| გიორგი დემეტრაძე | ხარკივი-არსენალი | 1:1 | არ უთამაშია | 0 თ. 0 გ. |
| **ჩეხეთი** | | | | |
| გამბრინუს ლიგა. I ტური | | | | |
| დიმიტრი ტატანაშვილი | პლზენი-ვიქტორია | 3:2 | 90 წუთი | 1 თ. 0 გ. |
| გიორგი განუგრავა | სპარტა-მლადა | 1:0 | 22 წთ. (შეცვლაზე) | 1 თ. 0 გ. |
| **სლოვაკეთი** | | | | |
| გორგონ ლიგა. III ტური | | | | |
| ირაკლი ლილუაშვილი | ნიტრა-პეტრჟალკა | 1:2 | 12 წთ. (შეცვლაზე) | 3 თ. 0 გ. |

## ქართველებმა ლიდერებად ქართველები დატოვეს

მე-16 ტურის მატჩის („ლუჩ-ენერგია"-„რუბინი") წინ სათუო იყო „ლუჩის" ნახევარმცველის, **ლევან გვაზავას** თამაში. ლევანმა ჯერ კიდევ „დინამოს" წინაალმდეგ თამაშში მიიღო ტრავმა, რის გამოც წინა ტურის მატჩი გამოტოვა. თუმცა გვაზავამ მაინც ითამაშა „რუბინთან"(1:1) - რუბინელებმა ზედიზედ მეექვსე ფრე მოინადირეს. „რუბინის" სასტარტო შემადგენლობაში კიდევ ერთხელ ვერ მოხვდა **დავით კვირკველია, ლაშა სალუქვაძემ** კი შეუცვლელად ითამაშა. გვაზავა პირველ ტაიმში გააფრთხილეს, მეორეში კი ის **სმირნოვით** შეცვალეს. რაც შეეხება „რუბინის" გოლკიპერ **ნუკრი რევიშვილს**, ის ყაზანელთა დუბლებშიც არ ჩანს.

ამ ტურში მოსკოვის „ლოკომოტივი" „რუსეთის რკინიგზის თასზე" თამაშის გამო ჩემპიონატის მატჩისგან თავისუფალი იყო. ნალჩიკის „სპარტაკი" კი პირველობის კანდიდატ „ამკარს" ესტუმრა. გამარჯვების შემთხვევაში დებიუტანტი ქართველთა „რუბინს" გადაასწრებდა და ცხრილს სათავეში მოექცეოდა. მაგრამ „ამკარს" ეს სპარტაკელმა ქართველებმა არ დაანებეს – 0:0. სტუმართა რიგებში სამივე ჩვენებურმა ითამაშა შეუცვლელად, **ალექსანდრე ამისულაშვილმა** და **დავით სირაძემ** ყვითელი ბარათებიც მიიღეს. **გოგიტა გოგუამ** კი „ჩემპიონატ რუსგან" ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო – 6. ამისულაშვილი 5,5 ქულით შეაფასეს, სირაძე – 5-ით. გოგიტა ძალიან აქტიური იყო, ის ხან ცენტრიდან, ხან კი მარცხენა ფლანგიდან ანიოკებდა „ამკარის" დაცვას.

„რუბინი" ამდენი ფრის შემდეგ კვლავ ლიდერად რჩება – ყაზანურ კლუბს 30 ქულა აქვს.

## ვეტერინართა მეტოქე გამოცადეს

ბუნდესლიგის მე-4 ტურში ჩვენთვის ორმაგად საინტერესო შეხვედრა გაიმართა – **გიორგი შაშიაშვილის** და **ილია კანდელაკის** „შტურმმა" ვენის „ავსტრიას" უმასპინძლა, რომელიც უეფას თასზე „ვიტ ჯორჯიის" მორიგი მეტოქეა. მატჩი უგოლოდ დასრულდა, შაშიაშვილმა და კანდელაკმა შეუცვლელად ითამაშეს.

ავსტრიის მეორე ბუნდესლიგაში სასტარტო ტურის მერე არ ჩანს ლუსტენაუს „ავსტრიის" ნახევარმცველი **მირზა ბჟალავა.**

## მჟავანაძის დაბრუნება

**კახა მჟავანაძე** საბოლოოდ დაუბრუნდა ოდესის „ჩერნომორეცს". პირველ ლიგაში ერთწლიანი განათხოვრების და პირველ ორ ტურში სათადარიგოთა სკამზე ჯდომის მერე, ქართველი მცველი „კარპატისთან" მატჩში დააყენეს. „ჩერნომორეცის" 28-ე ნომერმა 90 წუთი ითამაშა 3:0 მოგებულ შეხვედრაში. უკრაინული წყაროების ცნობით, მჟავანაძემ დაცვის მარჯვენა ფლანგზე ადგილი **გრიშკოს** ტრავმის წყალობით მოიპოვა. „ჩერნომორეცის" მთავარმა მწვრთნელმა **ვიტალი შევჩენკომ** მჟავანაძეს გარჯა მოუწონა: *„გრიშკო ტრავმირებულია, შეიძლება, ეს კარგიც იყოს გუნდისთვის, რადგან მჟავანაძემ მის ფლანგზე ძალიან კარგად ითამაშა. ახლა დმიტრის ბევრი ოფლისღვრა დასჭირდება, ადგილის დასაბრუნებლად".*

**გიორგი დემეტრაძე** „არსენალში" არ ჩანს, ხოლო **ჯაბა კანკავას** „დნიპრომ" ჩვენებურის გარეშე სტუმრად 1:0 მოუგო დებიუტანტ „ლვოვს". **სანდრო კობახიძე** კი კვლავ „დნიპროს" დუბლებშია. „ვორსკლასთან" შეხვედრა „ტავრიის" ფორვარდმა **ვასილ გიგიაძემ** ტერფის ძვლის მოტეხილობის გამო გამოტოვა. მოკლედ, უკრაინის ქართულ ლეგიონს კვლავინდებურად უჭირს..

## დიმიტრის ნათლობა

შაბათს პლზენის „ვიქტორიის" მაისურით პირველად ითამაშა ოფიციალურ მატჩში ექსამერელმა **დიმიტრი ტატანაშვილმა.** ორი „ვიქტორიის" მატჩში, პლზენს ჟიჟკოველები ესტუმრნენ, ტატანაშვილის გუნდი გამარჯვებული დარჩა – 3:2. დიმიტრი ტატანაშვილმა ჩეხეთის ლიგის პირველ ტურში შეუცვლელად ითამაშა. **გიორგი განუგრავას** „მლადა ბოლესლავი" ჩეხეთის ჩემპიონ „სპარტას" ესტუმრა, გუნდს, რომელიც, თუ „დინამო" სასწაულს მოახდენს, შესაძლოა, ჩემპიონთა ლიგაში საქართველოს ჩემპიონის მეტოქე გახდეს. „სპარტამ" „მლადა" 1:0 დაამარცხა, გიორგი 68-ე წუთზე გამოჩნდა **სილვესტრის** ნაცვლად.

სლოვაკური გორგონ ლიგის მესამე ტურში **ირაკლი ლილუაშვილის** „ნიტრა" შინ ჩემპიონ „პეტრჟალკასთან" დამარცხდა – 1:2. ქართველმა ლეგიონერმა 78-ე წუთზე **ბალიში** შეცვალა. კოკისპირულ წვიმაში მასპინძლებმა დასანანი გოლი 84-ე წუთზე გაუშვეს. „ნიტრას" სამ მატჩში 4 ქულა აქვს.



უტევს ლევან გვაზავა

# დაკარგული შანსი



კახა კალაძე

მოსკოვში, „რუსული რკინიგზის" ოთხთა ტურნირზე ქართველებს ერთმანეთის წინაალმდეგ თამაში არ მოუწიათ – **მალხაზ ასათიანის** და **დავით მუჯირის** „ლოკომოტივი" ფინალში გავიდა, ხოლო **კახა კალაძის** „მილანი" მე-3 ადგილისთვის მატჩს დასჯერდა. **კარლო ანჩელოტიმ** „ჩელსისთან შეხვედრაში **კახა კალაძე** სასტარტოში არ ათამაშა. კახამ მეორე ტაიმის დასაწყისიდან შეცვალა **პაოლო მალდინი,** თუმცა ამან ვერ უშველა „მილანს" – 0:5. ქართველი „ჩელსის" ბოლო, **ანელკასთვის** პოკერის მომტან გოლშია უშუალო დამნაშავე, ნიკოლამ სწორედ ჩვენებურს არ აპატია უყურადღებობა საკუთარ საჯარიმოში და საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირა.

ფინალში „ლოკომოტივი" „სევილიას" შეხვდა. ამ მატჩში კარგა ხნის წინათ დავიწყებული მალხაზ ასათიანი ვიხილეთ, რომელიც 76-ე წუთზე **რეზვან კოშიჩით** შეცვალეს. ასათიანმა ვერც ამჯერად აჩვენა მისთვის დამახასიათებელი თამაში. სასტარტოში იყო დავით მუჯირიც, თუმცა მან იმდენად სუსტად ითამაშა, რომ შესვენებისას გამოცვალეს. ქართველს შეეძლო ყველაფრის გამოსწორება, მაგრამ 43-ე წუთზე მან პენალტი გააცუდა. რუსული წყაროები ამტკიცებენ, რომ ამ თამაშით მუჯირმა „ლოკომოტივის" ძირითადში მოხვედრის ბოლო შანსი დაკარგა. რუსულმა კლუბმა კი ვერაფერი გააწყო ესპანურთან და 0:3 განადგურდა.

# ქართველთა ტესტები გრძელდება

**ზურაბ ხიზანიშვილის** „ბლექბერნ როვერსი" ამხანაგურ შეხვედრაში „ვულვერჰემპტონთან" დამარცხდა - 2:4. ზურა **პოლ ინსმა** მატჩის 81-ე წუთზე ჩართო თამაშში. ინსი, ალბათ, არ აპირებდა ქართველი მცველის გამოყვანას, რომ არა **დევიდ დანის** ტრავმა - ინგლისელმა ნახევარმცველმა თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო.

**ალექსანდრე იაშვილის** „კარლსრუე" ტესტ-მატჩში ფრანგულ „სოშოს" დაუზავდა – 1:1. ქართველმა ლეგიონერმა მეორე ტაიმი ითამაშა **ბრედლი კარნელის** ნაცვლად.

**ოთარ ხიზანეიშვილის** „აუგსბურგი" 0:1 დამარცხდა ფრანკფურტის „აინტრახტთან". ოთარი 75-ე წუთზე შევიდა მოედანზე, როდესაც უკვე ანგარიში 0:1 იყო.



ზურაბ ხიზანიშვილი

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სატრანსფერო კი არა, ოლიმპიური ციებ-ცხელება

Beijing 2008



რონალდინიო



როი მაკაი



ლეონელ მესი

...ფეხბურთში ნელ-ნელა ძალიან ბევრი რამ იცვლება და არც წლევანდელი ზაფხულია გამონაკლისი. ახალი სეზონის გახსნამდე, საზაფხულო, ანუ სატრანსფერო „ციებ-ცხელება" რომ იწყება, სხვა ყველაფერი უკანა პლანზე გადადის. **რონალდინიო** - „მილანში", **მოურინიო** - „ინტერში", **კრისტიანო რონალდოს** „რეალში" წასვლა-არწასვლის ამბები - მოკლედ, სატრანსფერო სიახლეები ბლომად იყო და აგვისტოს ბოლომდეც გაგრძელდება. თუმცა, ყველასთვის მოულოდნელად, ზაფხულის სატრანსფერო ამბები სხვა თემამ დაჩრდილა - კლუბების მიერ ოლიმპიადაზე ფეხბურთელების გაშვება-არგაშვების საკითხმა. ახალს არაფერს ვიტყვით: ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირი პრესტიჟულობით ყოველთვის ჩამოუვარდებოდა მსოფლიოსა და კონტინენტების ჩემპიონატებს. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირი ფიფას კალენდარში არ შედის და... გუნდებსაც მეტი რა უნდოდათ! ერთი მხრივ, „ბარსელონას", „მილანს", „ვერდერს", „რეალს", „ლივერპულს", „შალკესა" თუ სხვა გრანდების ხელმძღვანელებს ვერც გაამტყუნებ; ჰო, როგორია, როცა გუნდი ახალი სეზონისთვის მზადებას იწყებს და ამ დროს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი არაფრისმომცემ ტურნირზე უნდა გაუშვა. თანაც, ისედაც არანორმალურად გადატვირთული კალენდრის გამო (ეროვნული ჩემპიონატი თუ თასი, ევროტურნირები თუ სანაკრებო შეხვედრები), ხშირ შემთხვევაში, წამყვანი გუნდების ფეხბურთელებს სეზონში 60-70 (!) მატჩის ჩატარება უწევთ და ამათ კიდევ დამატებითი თამაშები სჭირდებათ? მაგრამ არის მედლის მეორე მხარეც - საკუთარი ქვეყნის პრესტიჟის დაცვა და სამშობლოსთვის გამარჯვების მოტანის წყურვილი რომ ჰქვია. ამ მხრივ „განსაკუთრებულ" პატრიოტობას ბრაზილიელი და არგენტინელი ფეხბურთელები იჩენენ და ყველაზე მეტი პრობლემებიც სწორედ მათ შეექმნათ. აი, რონალდინიოს მაგალითი ავილოთ - საკლუბო თუ სანაკრებო დონეზე ყველაფერი მოგებული აქვს, მსოფლიოს ნომერ პირველი ფეხბურთელიც იყო, მაგრამ ოლიმპიადაზე მაინც მიემგზავრება. ანუ, მის შთამბეჭდავ კარიერას მხოლოდ ოლიმპიური ოქროს მედალი აკლია; თანაც, ბრაზილიელები არასდროს ყოფილან ოლიმპიური ჩემპიონები (ფინალში ორჯერ დამარცხდნენ) და ამ მიზნის მისაღწევად მზადება ორი წლის წინ დაიწყეს. თავად განსაჯეთ - ეროვნული ნაკრები **დუნგას** რომ ჩააბარეს, პარალელურად ოლიმპიური ნაკრების გაძღოლაც დაავალეს. რონალდინიო, **პატო, რაფინია, დიეგო,** პლუს ნაცნობი თუ უცნობი ახალგაზრდა ფეხბურთელები - ასეთ გუნდს პეკინში მხოლოდ ჩემპიონობა უნდა მოსთხოვო. მაგრამ ამ ზაფხულს ყველაფერი თავდაყირა დადგა - კლუბები ჯიუტად იშველიებენ ზემოთ ნახსენებ ფიფას რეგლამენტს და დასაშვები თუ არდასაშვები ხერხით ფეხბურთელების ოლიმპიადაზე არგაშვებას ცდილობენ. და რა, მარტო ბრაზილიელებს შეექმნათ პრობლემა? ასეთივე დღეში არიან სერბეთის, კამერუნის, ნიგერიისა და ჰოლანდიის ოლიმპიური ნაკრების ფეხბურთელები; თანაც, ეს პრობლემა შეეხოთ როგორც ახალგაზრდებს, ისე 23 წელს გადაცილებულ ფეხბურთელებსაც. აღარაფერს ვამბობთ არგენტინის ნაკრებზე და კონკრეტულად, ამ გუნდის „ზღაპარ-ბიჭუნაზე" - **ლეო მესის** თემამ ბოლო ორი კვირის განმავლობაში არნახული აჟიოტაჟი გამოიწვია. „ბარსას" ხელმძღვანელობა იქამდეც მივიდა, რომ სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოში აპირებს ჩივილს, ოღონდ კი მესი ოლიმპიადაზე არ გაუშვას. აჟიოტაჟიო, ვთქვით და, ალბათ, ამას საერთაშორისო სკანდალი უფრო ჰქვია და, ბოლოს და ბოლოს, ფიფას ფეხბურთელთა უფლებების დამცველი კომისიის საგანგებო სხდომაც შედგა. რის შემდეგაც „ბარსელონა" დაავალდებულეს, რომ მესი ოლიმპიადაზე გაუშვან. არ დაგვავიწყდეს, რომ მესი 23 წლის ჯერ არ არის; ანუ, ფიფას წესებით, ამ ასაკის ფეხბურთელებს ოლიმპიადაზე ასპარეზობის პრობლემა არ უნდა შეექმნათ. მაგრამ, „ბარსას" შეფებს ამის გაგონებაც არ სურთ და... ევროკავშირის სასამართლომდეც აპირებენ მისვლას! ზოგიერთ (თანაც, ცნობილ) კლუბში კი კომიკური (ცოტა არ იყოს, ქართულს რომ წააგავს) სიტუაციაც შეიქმნა: ოლიმპიადაზე გასამგზავრებელ ფეხბურთელებს... პასპორტები ჩამოართვეს და უკან აღარ უბრუნებენ! ასეთი რამ აფრიკის, სამხრეთი ან ლათინური ამერიკის რომელიმე ქვეყანაში რომ მომხდარიყო, გავიცინებდით და ეგ იქნებოდა; მაგრამ როცა ასეთ „მარტივ გამოსავალს" გერმანიასა და ინგლისში პოულობენ, ეტყობა, საქმე მართლაც სერიოზულ პრობლემასთან გვაქვს. ისე, ალბათ, დროა, ფიფამ და საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ერთხელ და სამუდამოდ ისეთი გადაწყვეტილება მიიღონ, კლუბებისა და ოლიმპიური ნაკრების ინტერესები მაქსიმალური თანაფარდობით რომ იყოს დაცული. თორემ, ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირზე მონაწილეთა დაშვების წესები დღითი დღე კი იცვლება, მაგრამ ამით არც პრესტიჟულობა მატულობს და კლუბებიც წამგებიან სიტუაციაში რჩებიან. იმედია, ეს კომპრომისი მალე მოხდება, მანამდე კი ისღა დაგვრჩენია, ორიოდე დღე მოვითმინოთ და **რონალდინიოს, დიეგოს, დროგბას, პატოს, მაკაის, ბაბელის, მასკერანოს, აგეროსა** თუ სხვა ცნობილი ფეხბურთელების ოსტატობით დავტკბეთ. მესი? არ ეწყინოთ სხვა ქვეყნის ფანებს, მაგრამ არგენტინელი ზღაპარ-ბიჭუნა მაინც სხვა განზომილების ვარსკვლავია. თანაც, ერთი ორად დაფასდა, როცა მის გარშემო ატეხილი საერთაშორისო საფეხბურთო აჟიოტაჟის მიუხედავად, გადაწყვეტილება რომ არ შეცვალა. შეგახსენებთ, რომ არგენტინა მოქმედი ოლიმპიური ჩემპიონია და მესის დახმარებით ამ ტიტულის შენარჩუნება სურს. მით უმეტეს, რომ ამ გუნდს მოტივაცია გაეზარდა - „კარის მეზობელი" და საუკუნოვანი მოქიშპე ბრაზილიის ნაკრებიც ხომ „გვერდზე" ეყოლება.

## ისტორია და რეგლამენტი

საფეხბურთო ტურნირი პირველსავე ოლიმპიადაზე (1896 წელს) გამოჩნდა. თუმცა ტურნირი, ალბათ, პირობითად ერქვა, რადგან მხოლოდ... ორი გუნდი მონაწილეობდა. თითქმის იგივე განმეორდა მომდევნო ორ ოლიმპიადაზე (სამ-სამი ქვეყანა) და მხოლოდ 1908 წელს გახდა „წარმომადგენლობითი" - ექვსი ქვეყანა რომ მონაწილეობდა. ნელ-ნელა გუნდების რიცხვი იზრდებოდა, გათამაშების სისტემაც იხვეწებოდა და 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიადის საგზურისთვის უკვე 103 ქვეყანა იბრძოდა. ხშირად იცვლებოდა ფეხბურთელთა დაშვების წესიც: თავდაპირველად ყველას შეეძლო ოლიმპიადაზე ასპარეზობა; მერე და მერე გარკვეული შეზღუდვებიც გაჩნდა. 50-იანი წლებიდან ისეთი წესი დამკვიდრდა, რომ ოლიმპიადაზე ვერ იასპარეზებდნენ ფეხბურთელები, რომელთაც მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ჰქონდათ ნათამაშები. მერე ეს წესი უფრო გაამკაცრეს: შეზღუდვა უკვე მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში მონაწილე ფეხბურთელებსაც შეეხოთ. 1968 და 1972 წლების ოლიმპიადებზე ეს შეზღუდვები გაუქმდა და უკვე ნებისმიერს შეეძლო მონაწილეობის მიღება. სამწუხაროდ, 1980 და 1984 წლების ოლიმპიადები პოლიტიკური ბოიკოტის ნიშნით წარიმართა და ამით საფეხბურთო ტურნირსაც ჩრდილი მიადგა. მერე იყო და, ასაკობრივი ცენზიც დაწესდა - ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირზე 23-წლამდელებს უნდა ეთამაშათ. ამასთან, თითოეულ გუნდს უფლება ჰქონდა განაცხადში ჰყოლოდა 23-წელს გადაცილებული სამი ფეხბურთელი. იცვლებოდა განაცხადში მყოფ ფეხბურთელთა რაოდენობაც: თექვსმეტიც ყოფილა, ჩვიდმეტიც, თვრამეტიც და ოციც. თავდაპირველად ოქროს მედლებს მხოლოდ ფინალურ მატჩში მონაწილეები იღებდნენ, თუმცა მერე (მსოფლიოს ჩემპიონატების მსგავსად) განაცხადში მყოფი ყველა ფეხბურთელი ჯილდოვდებოდა. ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირის არცთუ პრესტიჟულობაზე ის ფაქტიც მოწმობს, რომ ბრაზილიას და გერმანიას არასდროს გაუმარჯვიათ; ხოლო იტალია, არგენტინა, საფრანგეთი და ესპანეთი თითოჯერ იყვნენ ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირის გამარჯვებულები. და კიდევ „პრესტიჟულობაზე": 1952 წლიდან 1980 წლის ჩათვლით ოლიმპიური ჩემპიონები სოციალისტური ბანაკის ქვეყნები (უნგრეთი, იუგოსლავია, სსრკ, პოლონეთი, გდრ, ჩეხოსლოვაკია) ხდებოდნენ. ეგ კი არა, ამ დროის განმავლობაში საერთოდ, „სოციალისტური ფინალები" იმართებოდა (1960 წელს დანიის გამონაკლისს თუ არ ჩავთვლით). თუმცა ამ ყველაფრის მიუხედავად, ხშირად იყო ისეთი შემთხვევა, რომ სწორედ ოლიმპიადაზე გაუცვნია საფეხბურთო სამყაროს შემდგომში აღიარებული ვარსკვლავები: **ფერენც პუშკაში, ედუარდ სტრელცოვი, ფლორიან ალბერტი, ვლოძიმეჟ ლუბანსკი, კაზიმეჟ დეინა, იურგენ კლინსმანი, რომარიო, ჩირო ფერარა, დრაგან სტოიკოვიჩი, ბებეტო** და ასე შემდეგ. საერთოდაც ბოლო ტურნირები (1988 წლიდან მოყოლებული) ბევრად საინტერესოდ წარიმართა და ბევრი ახალი ტალანტიც გამოჩნდა. ამ ბოლო ოლიმპიადებზე ხვალ ვისაუბროთ, ისევე როგორც ოლიმპიადის მონაწილე ქართველ ფეხბურთელებზე. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ერთადერთი ქართველი ფეხბურთელი გვყავს, ვინც ოლიმპიადაზე გაიმარჯვა - **გელა კეტაშვილი!**

**გია ტუხაშვილი**

### ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირის ყველა ფინალი

| | | |
|---|---|---|
| 1896 | დანია-საბერძნეთი | 9:0 |
| 1900 | დ/ბრიტანეთი-საფრანგეთი | 4:0 |
| 1904 | კანადა-აშშ | 4:0 |
| 1908 | დიდი ბრიტანეთი-დანია | 2:0 |
| 1912 | დიდი ბრიტანეთი-დანია | 4:2 |
| 1920 | ბელგია-ჩეხოსლოვაკია | 2:0 |
| 1924 | ურუგვაი-შვეიცარია | 3:0 |
| 1928 | ურუგვაი-არგენტინა | 2:1 |
| *1932* | *საფეხბურთო ტურნირი არ ჩატარებულა* | |
| 1936 | იტალია-ავსტრია | 2:1 (დ.დ.) |
| 1948 | შვედეთი-იუგოსლავია | 3:1 |
| 1952 | უნგრეთი-იუგოსლავია | 2:0 |
| 1956 | სსრკ-იუგოსლავია | 1:0 |
| 1960 | იუგოსლავია-დანია | 3:1 |
| 1964 | უნგრეთი-ჩეხოსლოვაკია | 2:1 |
| 1968 | უნგრეთი-ბულგარეთი | 4:1 |
| 1972 | პოლონეთი-უნგრეთი | 2:1 |
| 1976 | გდრ-პოლონეთი | 3:1 |
| 1980 | ჩეხოსლოვაკია-გდრ | 1:0 |
| 1984 | საფრანგეთი-ბრაზილია | 2:0 |
| 1988 | სსრკ-ბრაზილია | 2:1 (დ.დ.) |
| 1992 | ესპანეთი-პოლონეთი | 3:2 |
| 1996 | ნიგერია-არგენტინა | 3:2 |
| 2000 | კამერუნი-ესპანეთი | 2:2 (5:3, პ.) |
| 2004 | არგენტინა-პარაგვაი | 1:0 |

ყოველთვიური სპორტული ჟურნალი




თქვენთვის წერს ავტორთა ნაკრები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ რაფაელ ვან დერ ვაარტთან

# ჰამბურგი ვერ მელევა

## მიუხედავად ამისა, ჰოლანდიელი დღეს მადრიდელი უნდა გახდეს



რაფაელ ვან დერ ვაარტი დიარიოასის მიმომხილველს ესაუბრება

**იოლი** შესაძლებელია, დღეს მადრიდის "რეალისა" და "ჰამბურგის" მესვეურებმა რაფაელ ვან დერ ვაარტის ტრანსფერთან დაკავშირებული მოლაპარაკებები დაასრულონ. ყოველ შემთხვევაში, ესპანური მედია აცხადებს, რომ გარიგებას სასწაული თუ შეუშლის ხელს. "სანტიაგო ბერნაბეუზე" გადასვლას თავად ჰოლანდიელი ფეხბურთელიც ელის. გუშინ მას "დარიო ასის" კორესპონდენტი შეხვდა და ინტერვიუ ჩამოართვა. ვან დერ ვაარტი პროფესიონალია და სანამ "ჰამბურგის" ფეხბურთელად ითვლება, ამ გუნდს პატივისცემით ეპყრობა. ეს პატივისცემა, ფაქტობრივად, ყოველ პასუხში გამოსჭვიოდა.

**- რაფაელ, დიდი მადლობა, რომ ინტერვიუზე დამთანხმდით. უკვე სამი კვირაა, თქვენთან შეხვედრა მინდა, მაგრამ აქამდე ვერაფრით მოვახერხე. ყველაფერი იმას მიუთითებს, რომ ხვალ ან უახლოეს დღეებში "რეალის" ფეხბურთელი გახდებით. რა გრძნობა გეუფლებათ, როცა აცნობიერებთ, რომ პლანეტის ერთ-ერთი უდიდესი გრანდი გეპატიჟებათ?**

- რა თქმა უნდა, ძალიან მიხარია, რომ თანამშრომლობას სამეფო კლუბი მთავაზობს. ეს ჩემთვის უდიდესი პატივია, თუმცა ჯერჯერობით ისევ "ჰამბურგის" ფეხბურთელი ვარ და არ მინდა, ჩემი გუნდის ხელმძღვანელებმა, გულშემატკივრებმა და ფეხბურთელებმა შეურაცხყოფილად იგრძნონ თავი. მოდით, "ჰამბურგს" პატივი ვცეთ და მოვლენებს ნუ დავაჩქარებთ.

**- თქვენი ძალიან კარგად მესმის, მაგრამ ვერ უარყოფთ, რომ "რეალში" თამაში გსურთ.**

- რა თქმა უნდა, არ უარვყოფ. ყოველთვის ვამბობდი, რომ "რეალში" თამაში მსურს. ამ თვალსაზრისით არაფერი შეცვლილა. ძალიან ბედნიერი ვიქნები, თუ მოლაპარაკებები მალე დასრულდება და მადრიდს გავემგზავრები. ალბათ, არ არსებობს ფეხბურთელი, რომელიც ამ ცდუნებასთან გამკლავებას შეძლებს. "რეალი" იმდენად დიდი კლუბია, რომ მისი ღირსების დაცვა ნებისმიერი მოთამაშის ოცნებაა. სამეფო კლუბში თამაში ტიტულების მოპოვების გარანტიაა. ბუნებრივია, მეც ძალიან მინდა, დიდი გამარჯვებების მონაწილე გავხდე.

**- ამ ზაფხულში "რეალის" ხელმძღვანელობა მხოლოდ კრისტიანო რონალდოსა და თქვენს შეძენას ცდილობს. სრული პასუხისმგებლობით შემიძლია მოგახსენოთ, რომ გულშემატკივრები რაფაელ ვან დერ ვაარტის შესაძლო გადმობარგებას უფრო დიდი ენთუზიაზმით ელოდებიან.**

- ეს ჩემთვის უდიდესი პატივია. "რეალის" გულშემატკივრებს რა არ უნახავთ. ისინი ელიტური და ყველაზე ილბლიანი ფანები არიან. მართლაც საამაყოა, როცა ასეთი გულშემატკივრები შენდამი სიმპათიებს არ მალავენ. მადლობის მეტი არაფერი მეთქმის, მაგრამ კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ჯერ "ჰამბურგის" ფეხბურთელი ვარ. ახლა ამ გუნდის ქომაგების მიმართ ვგრძნობ პასუხისმგებლობას. ვნახოთ, შესაძლოა, უახლოეს დღეებში სიტუაცია რადიკალურად შეიცვალოს და სამეფო კლუბზე უფრო თამამად ვისაუბრო.

**- რა შეგიძლიათ შესთავაზოთ მადრირიდს "რეალს"?**

- ძალიან ძნელია, ისეთ დიდ გუნდს, როგორიც "რეალია", რაიმე ახალი და განსაკუთრებული შემატო, თუმცა, ცხადია, ტურისტად არ მივდივარ. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ გუნდს ჩემი მისვლა დაეტყოს. სამეფო კლუბი ჩემი სახით შრომისმოყვარე, ტექნიკურ და პასუხისმგებლობით აღსავსე მოთამაშეს შეიძენს. მართალია, ნახევარმცველი ვარ, მაგრამ გოლების გატანა მეხერხება. ამ თვალსაზრისით ვესლი სნეიდერს ვგავარ.

**- სნეიდერი თქვენი საუკეთესო მეგობარია. ხომ არ გაგვიმხელთ, ბოლო საუბრისას რა გითხრათ?**

- რა უნდა ეთქვა? გამეხუმრა, ასე რატომ დაგვღალე, ჩემოდნები ჩაალაგე და დღესვე ჩამოდიო. დარწმუნებული ვარ, ვესლი მართლა მოუთმენლად მელოდება. დიახ, ჩვენ მეგობრები ვართ, მაგრამ პირველ რიგში ის უნდა ითქვას, რომ მოედანზე არაჩვეულებრივად ვუგებთ ერთმანეთს. სნეიდერს ალბათ ამიტომ უნდა ჩემი გადასვლა. ყოველთვის შეცდომების გამოსწორებაში ვეხმარებოდი. ბუნებრივია, ისიც მხარში მედგა და ყველა პრობლემას ერთად ვაგვარებდით. გულწრფელად გეტყვით, იმ გუნდში, სადაც სნეიდერი თამაშობს, შესაძლებლობების გამომჟღავნება უფრო გამიადვილდება.

**- მადრიდის "რეალს" რამდენად კარგად იცნობთ?**

- ინფორმაციის ნაკლებობას ნამდვილად არ განვიცდი. საკაბელო ტელევიზიებით "რეალის" თამაშებს ხშირად ვუყურებ. გარდა ამისა, "სანტიაგო ბერნაბეუზე" ინფორმატორებიც მრავლად მყავს (იცინის). ჩემი ჰოლანდიელი მეგობრები ძალიან ბევრ რამეს მიყვებიან. მათი მოსმენისას ყოველთვის ჟრუანტელი მივლის და "რეალში" თამაში მინდება. თუ "ჰამბურგი" წინააღმდეგობას არ გამიწევს და ტრანსფერს დათანხმდება, დაუფიქრებლად წამოვალ.

**- თქვენ სანაცვლოდ პრედრაგ მიატოვიჩი "ჰამბურგს" 10 მილიონ ევროს სთავაზობს. ხომ არ გეჩვენებათ, რომ მეტისმეტად იაფად გაფასებენ?**

- სატრანსფერო თანხის დადგენა ჩემი საქმე სულაც არ არის. თუნდაც 100 მილიონად რომ შემაფასონ, ამით ღირსება არ შემემატება. ისევ ისეთი ფეხბურთელი ვიქნები, როგორიც ახლა ვარ. შესაბამისად, არც მაშინ დამაკლდება რამე, თუ 1 მილიონად გამყიდიან. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ ფეხბურთელებს კომერცია და მარკეტინგი არ გვეხება. ჩვენ სულ სხვა მოვალეობები გვაქვს. დიდი სატრანსფერო თანხა მისასალმებელი სულაც არ არის. ქვეცნობიერად ფსიქოლოგიურ წნეხში ვარდები, როცა იცი, რომ შენ სანაცვლოდ ათეულობით მილიონი გადაიხადეს. ამ დროს ძალიან ბევრს გთხოვენ და ყოველ შეხვედრაში სასწაულებს ელიან. მოკლედ, ჯობია, 10 მილიონად გაიყიდო და მშვიდად მუშაობის საშუალება გქონდეს.

**- ბერნდ შუსტერთან მუშაობა როგორ წარმოგიდგენიათ?**

- ძალიან კარგად. პრობლემებს არ ველი. თუ თანამშრომლობა მოგვიწევს, დარწმუნებული ვარ, საერთო ენას იოლად გამოვნახავთ. შუსტერს საკმაოდ კარგად ვიცნობ. მისი გუნდები ყოველთვის ლამაზად თამაშობენ. თუნდაც, "ხეტაფე" ავიღოთ. ჰერ ბერნდმა საკმაოდ მოკრძალებული ფინანსური შესაძლებლობების გუნდი ფანტასტიკურად აათამაშა. თუ სწორად მახსოვს, ესპანეთის თასის ფინალში გავიდნენ და უეფას თასის საგზური მოიპოვეს. "რეალში" მუშაობის პირველივე წელს კი ჩემპიონის ტიტული დაისაკუთრა. დარწმუნებული ვარ, მომავალი სეზონიდან "რეალი" კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მიაღწევს. ალბათ, მადრიდელების მთავარი სამიზნე ჩემპიონთა ლიგა იქნება.

**- თქვენც ფიქრობთ ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებაზე?**

- აი, კიდევ დაგავიწყდათ, რომ მე "ჰამბურგის" ფეხბურთელი ვარ. დღეს "რეალთან" ერთად ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებაზე, რა თქმა უნდა, ვერ ვიფიქრებ. ეს პროფესიონალიზმის ყოველგვარი ნორმის დარღვევა იქნება.

**- "ჰამბურგმა" აქამდე რატომ არ გაგყიდათ?**

- არ მინდა, პატივმოყვარე ადამიანის შთაბეჭდილება დავტოვო, მაგრამ "ჰამბურგის" მმართველმა მოლაპარაკებების გაჯანჯლების მიზეზი გულწრფელად ამიხსნა. მითხრა, შენთან გამომშვიდობება არ გვინდა იმიტომ, რომ შენნაირ ფეხბურთელს ველარ ვიპოვნითო. ერთი სიტყვით, "ჰამბურგი" ვერ მელევა. ცხადია, ასეთი შეფასება ძალიან სასიამოვნოა. კარგია, როცა მუშაობ და საქმე კარგად გამოგდის. ალბათ, ეს არის მთავარი მიზეზი. თუმცა, შესაძლოა, სატრანსფერო თანხაც არ აკმაყოფილებთ. თანამედროვე ფეხბურთის ტენდენციების გათვალისწინებით, 10 მილიონი კოლოსალურ თანხად არ მიიჩნევა, მაგრამ კიდევ ერთხელ მოგახსენებთ, რომ ეს ჩემი საქმე არ არის.

**- გულწრფელად მითხარით, "ჰამბურგის" ხელმძღვანელებს არ უთქვამთ, როდის გაგყიდიან?**

- თქვენი გაზეთის შიდა სამზარეულოს შესახებ რომ გკითხოთ, გულწრფელად მიპასუხებთ? კარგად გამიგეთ, თუ რამე ოფიციალურად არ ხმაურდება, ეს იმიტომ ხდება, რომ მხარეებს მშვიდად მუშაობა სურთ. ბოდიშს გიხდით, მაგრამ ამ კითხვაზე ვერ გიპასუხებთ. შეგიძლიათ, "ჰამბურგის" ხელმძღვანელებს დაუკავშირდეთ და მათ ჰკითხოთ. თუ გიპასუხებენ, მოხარული ვიქნები.

**- საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ რობინიო "რეალს" დატოვებს. თქვენთვის ეს კარგის ნიშანია?**

- ამ საკითხისადმი აბსოლუტურად ინდიფერენტულად ვარ განწყობილი. "ჰამბურგის" ფეხბურთელი "რეალის" მოთამაშეებზე არ უნდა საუბრობდეს. ალბათ, დამეთანხმებით, რომ სამეფო კლუბის ხელმძღვანელობა ამ საკითხს პირადი შეხედულებისამებრ გადაწყვეტს. თუ რობინიო ძვირად ულირთ, იოლად არ შეელევიან.

**- როგორ ფიქრობთ, სამეფო კლუბთან შეგუება არ გაგიჭირდებათ?**

- სხვათა შორის, ამ საკითხზე ძალიან ხშირად ვფიქრობ. რაც არ უნდა დიდი ვარსკვლავი იყო, "სანტიაგო ბერნაბეუზე" ყველაფრის თავიდან დამტკიცება მოგიწევს. პირველ ეტაპზე ალბათ, გამიჭირდება, მაგრამ შემდეგ დავმშვიდდები და შესაძლებლობების მაქსიმუმს გამოვამჟღავნებ.

**- სნეიდერსა და რობენს "რეალში" გადმობარგებამდე რამდენიმე დღით ადრე ვესაუბრე. მაშინ ისინი საშინლად ნერვიულობდნენ. ალბათ, ეშინოდათ, ტრანსფერი არ ჩაშლილიყო. თქვენ როგორ გრძნობთ თავს?**

- აბსოლუტურად მშვიდად ვარ, სანერვიულო არაფერია. მალე ყველაფერი გაირკვევა. იმედი მაქვს, რომ უსიამოვნო სიურპრიზის მსხვერპლი არ გავხდები.

**- თქვენთვის რა უფრო მნიშვნელოვანია, მაღალი ხელფასი თუ პრესტიჟულ კლუბში თამაში?**

- პრესტიჟულ კლუბში ალბათ "რეალს" გულისხმობთ, მაგრამ, ეტყობა, არ იცით, რომ მადრიდელები უფრო დიდ ხელფასს მთავაზობენ. ასე რომ, არჩევანის გაკეთება არ დამჭირდება. ეს ის შემთხვევაა, როცა ყველა სიკეთე ერთ გუნდშია თავმოყრილი.

**- ნუ მიწყენთ, მაგრამ არ მჯერა თქვენი. შეუძლებელია, ოდნავ მაინც არ ნერვიულობდეთ.**

- თქვენი ნებაა, დამიჯერებთ თუ არა. ნერვიულობით არ ვნერვიულობ, თუმცა ოდნავ ვღელავ. ბოლოს და ბოლოს, "რეალს" ეხება საქმე - გუნდს, რომელმაც ყველაზე მეტი ტიტული მოიპოვა. უკვე გითხარით და კიდევ ერთხელ მოგახსენებთ, რომ მადრიდული გრანდის დაინტერესება ჩემთვის უდიდესი პატივია.

ვარსკვლავი

# ეტოო: ბარსელონიდან მხოლოდ გრანდში

## რომამ და ვალენსიამ თავი არ უნდა შეიწუხონ

"ბარსელონა" ახალი სეზონისთვის მზადებას განაგრძობს. კატალონიური კლუბი ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფება და ინტენსიურად ვარჯიშობს. შეგირდების მომზადებით **ხოსეპ გვარდიოლა** ძალიან კმაყოფილია და დარწმუნებულია, რომ ბიჭები ახალ სეზონში უდიდეს წარმატებას მიაღწევენ, თუმცა მთავარი მწვრთნელის კმაყოფილება ყველა მოთამაშეზე არ ვრცელდება. ეს პირველ რიგში **სამუელ ეტოოზე** უნდა ითქვას, თუმცა უკეთეს დღეში **რაფაელ მარკესი** და **ეიდურ გუდიონსენიც** არ არიან. ეს სამი მოთამაშე გვარდიოლამ სხვადასხვა მიზეზის გამო აითვალწუნა. მარკესს დისციპლინის ხშირი დარღვევის გამო საყვედურობენ. ესპანური ფეხბურთის მოყვარულებს კარგად ემახსოვრებათ, რომ რაფას მადრიდში შეყვარებული ჰყავდა და მის სანახავად ესპანეთის დედაქალაქში უკითხავად მიდიოდა ხოლმე. სენიორ პეპს გუდიონსენი არაკვალიფიციურობის გამო არ მოსწონს. მისი აზრით, ისლანდიელი ფორვარდი "ბარსას" დონეს არ შეეფერება. არადა, ეიდურმა ორი დღის წინ განაცხადა, მწვრთნელი კარგი თვალით მიყურებსო. ეტოოს რაც შეეხება, გვარდიოლამ ის რამდენიმე მიზეზის გამო აითვალწუნა: პატივმოყვარეობის, ამბიციურობისა და მოტივაციის უქონლობის გამო. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, კატალონიური გრანდის დამრიგებელი სამივეს ახალი კლუბის მონახვას ურჩევს.

ალსანიშნავია, რომ შექმნილ სიტუაციას ყველა კარგად აცნობიერებს, მათ შორის, სამუელ ეტოოც. კამერუნელი ფორვარდი მზადაა, "ბარსელონა" ხვალვე დატოვოს, თუმცა მას საკუთარი პირობები აქვს. ის მხოლოდ "მანჩესტერში", "ჩელსიში", "მილანში" ან "ინტერში" გადაბარგდება. "რომასა" და "ვალენსიის" კლასის გუნდებმა თავი არ უნდა შეიწუხონ. გეცოდინებათ, რომ ეს ორი კლუბი აფრიკელს თანამშრომლობას სთავაზობდა, მაგრამ ეტოომ მათთან მოლაპარაკებების დაწყებაც არ იკადრა. იმ შემთხვევაში, თუ სამუელის მიერ შერჩეული გრანდები მასთან მუშაობას არ ისურვებენ, ეტოო "ბარსელონაში" დარჩება და გვარდიოლას მისი მინიმუმ ერთი წლით ატანა მოუწევს.

გვერდი მოამზადა
ილია **ნიკოლაიშვილმა**


სამუელ ეტოო

მანჩესტერ იუნაიტედი

# სოლსკიაერი გააცილეს

## მანჩესტერმა ესპანიოლთან კარგად ივარჯიშა


სერ ალექს ფერგიუსონი და ოლე გუნარ სოლსკიაერი

**ოლე გუნარ სოლსკიაერი** ფეხბურთიდან გააცილეს. საგანგებოდ ამ შემთხვევისათვის, მანჩესტერს ბარსელონის "ესპანიოლი" ეწვია. მიუხედავად იმისა, რომ თამაში ამხანაგური იყო, "ოლდ ტრეფორდზე" 70 ათასი მაყურებელი მივიდა. მასპინძლებმა მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვეს. გოლი სათადარიგო გუნდის თავდამსხმელმა **ფრეიზერ კემპბელმა** გაიტანა.

მატჩის წინ ოლე გუნარმა უთვალავი საჩუქარი მიიღო. გულშემატკივრებმა სტადიონის აღმოსავლეთის ტრიბუნაზე მისი გვარი გამოსახეს. ნორვეგიელი ვარსკვლავი "იუნაიტედში" 1996 წელს, "მიოლდედან" გადავიდა. "ეშმაკებმა" მასში 1.5 მილიონი გირვანქა გადაიხადეს. იმ ზაფხულს **სერ ალექს ფერგიუსონი ალან შირერის** ყიდვას ცდილობდა. შირერმა "ნიუკასლს" მიაშურა. ფერგიმ კი ყველასათვის უცნობ თავდამსხმელს გაუფორმა კონტრაქტი.

სოლსკიაერმა "იუნაიტედის" შემადგენლობაში 366 თამაში ჩაატარა (150 შეცვლაზე) და 126 გოლი შეაგდო. ამ გოლებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი, გოლი რა თქმა უნდა, 1999 წლის 26 მაისით თარიღდება - "ბაიერნთან" ჩემპიონთა ლიგის ფინალში, თანაც მსაჯისაგან დამატებულ მესამე წუთზე, რამაც "მანჩესტერს" ჩემპიონთა თასი მოუტანა. სოლსკიაერი ფეხბურთს გასული წლის აგვისტოში გამოეთხოვა. ის "მანჩესტერის" მეორე გუნდის მწვრთნელად დანიშნეს.

შაბათ საღამოს სოლსკიაერი 68-ე წუთზე გამოიყვანეს. ნამატჩევს მან ასეთი კომენტარი გააკეთა: *"ყველას მადლობას გიხდით მობრძანებისათვის. თქვენ მსოფლიოში საუკეთესო გულშემატკივრები ხართ. მადლობა "ესპანიოლს", რომელმაც ჩამოსვლა არ დაიზარა და გულიანად ითამაშა. მადლობა მთავარ მწვრთნელს, რომელიც ყოველთვის ზრუნავდა ჩემზე. ის ჩემი მასწავლებელია. მწვრთნელობა რომ გადავწყვიტე, ესეც მისი დამსახურებაა. მადლობა ფეხბურთელებს, ვისთან ერთადაც ამ ხნის განმავლობაში მითამაშია. ადვილია, იყო თავდამსხმელი, როდესაც ასეთი დონის თანაგუნდელები გყავს."*

ორიოდე სიტყვას თამაშზეც მოგახსენებთ. "იუნაიტედს" შეტევის ხაზში პრობლემები ჰქონდა. **უეინ რუნიმ** და **ლუი საამ** ვერ ითამაშეს. სერ ალექსის განკარგულებაში იყო ძირითადი შემადგენლობის ერთადერთი ფორვარდი, **კარლოს ტევესი**. "ეშმაკებმა" ტაქტიკური სქემა ამ ერთ თავდამსხმელს მოარგეს.

შაბათის მატჩმა ცხადყო, რომ "მანჩესტერს" ფორვარდი სჭირდება. კლუბი ყველა ღონეს იხმარს, რათა ტოტენჰემელი **დიმიტარ ბერბატოვი** შეიძინოს. ლონდონელები ფეხბურთელის შენარჩუნებას ცდილობენ, მაგრამ თავს იზღვევენ და ზენიტელ **ანდრეი არშავინს** უფორმებენ კონტრაქტს. არშავინის ტრანსფერის შემთხვევაში, ბერბატოვი "იუნაიტედში" ჩაირიცხება. დრო არ ითმენს. პრემიერლიგის დაწყებამდე ორი კვირა რჩება.

კემპბელმა გოლი თამაშის დასრულებამდე რვა წუთით ადრე შეაგდო. ის მინდორზე მეორე ტაიმში, პორტუგალიელი **ნანის** ნაცვლად შეიყვანეს. ფერგიუსონმა ახალგაზრდა თავდამსხმელზე ბევრი ილაპარაკა: *"ფრეიზერი თამაშიდან თამაშამდე უმატებს. მისი პროგრესი თვალსაჩინოა. კემპბელის სახით, "მანჩესტერ იუნაიტედს" ახალი სოლსკიაერი ეზრდება. ამ წუთას "მენიუს" მხოლოდ ორი თავდამსხმელი ჰყავს - რუნი და ტევესი. ახალ სეზონში ფრეიზერს აუცილებლად ექნება თავის გამოჩენის შანსი. ის სწრაფია და საუცხოოდ ირჩევს პოზიციას. ხომ ნახეთ, როგორი გოლი გაიტანა? დღევანდელ მატჩში მონაწილეობა ფრეიზერს სასიკეთოდ წაადგება."* ეს ბიჭი 21 წლისაა. მან შარშანდელი სეზონი იჯარით "ჰალ სიტიში" გაატარა და გუნდს პრემიერლიგის საგზურის მოპოვებაში დაეხმარა. აქვე გუნდების შემადგენლობა:

**იუნაიტედი:** ვან დერ სარი (46. კუშჩაკი), სიმპსონი, რიო ფერდინანდი (46. ბრაუნი), ვიდიჩი (62. ევანსი), ევრა (46. სილვესტრი), გიბსონი (62. ოში), ფლეტჩერი, სქოულზი, ნანი (46. ფრეიზერ კემპბელი), გიგზი, ტევესი (68. სოლსკიაერი).

**ესპანიოლი:** კრისტიან ალვარესი, ჩიკა (46. ლა კრუსი), ხარკი, რიერა (46. ლოპესი), ბარანგერი, ლ. მარტინესი (70. ლოპესი), დე ლა პენია (46. რ. მარტინესი), რუფეტე (46. კალეხონი), ტორეხონი, ურტადო (53. სილვა), სორიანო.

მანჩესტერელებს გადატვირთული კვირა ელოდებათ. ორშაბათს ისინი პირველი ლიგის "პიტერბოროს" შეხვდებიან. 48 საათის შემდეგ - "იუვენტუსს", მომდევნო კვირას კი ინგლისის სუპერთასის მატჩში "უემბლიზე" "პორტსმუთს" დაუპირისპირდებიან. შეგახსენებთ, ეს გუნდები ერთი კვირის წინ, ნიგერიაშიც შეხვდნენ ერთმანეთს (2:1).

ლივერპული

# ოთხი უპასუხო გოლი რეინჯერსს

## ბენიტესი ტორესისა და კინის დუეტით კმაყოფილია, ბერის საკითხი ჯერ არ გადაწყვეტილა

"ლივერპულმა" "რეინჯერსს" ოთხი უპასუხო გოლი გაუტანა. მერსისაიდელებმა გლაზგოში საუცხოო ფეხბურთი ითამაშეს. **რაფა ბენიტესი ფერნანდო ტორესისა** და **რობი კინის** დუეტით კმაყოფილი დარჩა. ესპანელმა თავდამსხმელმა ერთი გოლი შეაგდო. კინს ლივერპულური აქტივი ჯერაც არ გაუხსნია, მაგრამ ბევრი იმუშავა და 58-ე წუთზე აპლოდისმენტების თანხლებით შეცვალეს.

ბენიტესი: *"ორივე ფორვარდით კმაყოფილი ვარ. მათ დაუღალავად იშრომეს. საუცხოო შთაბეჭდილება დატოვა სტივ ჯერარდმა, აგრეთვე დირკ კუიტმა და იოსი ბენაიუნმა. ცალკეულ ეპიზოდებში მეტოქეს ხუთი თავდამსხმელით ვუტევდით. შედეგად, "რეინჯერსის" კართან განუწყვეტლივ სახიფათო მომენტები იქმნებოდა. კინი გონიერი ფეხბურთელია. მან გააზრებულად ითამაშა. რობი ენთუზიაზმითაა აღვსილი. დარწმუნებული ვარ, მომდევნო მატჩებში გოლებსაც გაიტანს."*

სენიორ ბენიტესმა მეორე ტაიმში თითქმის მთელი შემადგენლობა შეცვალა. ტორესის გარდა, გოლები გაიტანეს ფრანგმა ახალწვეულმა **დავიდ ნგოგმა** და **იოსი ბენაიუნმა**. თამაშს **ჩაბი ალონსომ** ზუსტად შესრულებული პენალტით დაუსვა წერტილი. გუნდებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს:

**რეინჯერსი:** მაკგრეგორი (62. ალექსანდერი), ვიტეკერი, ბროუდფუტი, ვეირი (46. ვებსტერი), პაპაჩი (46. დეილი), ნოვო (62. ბოიდი), ჰემდანი, ტომსონი (46. ფერმანი), მაკალოხი (46. ადამი), ლაფერტი (71. ველიჩკა), მილერი (46. დარშევილი).

**ლივერპული:** კავალიერი (62. რეინა), დოსენა, შკრტელი (46. ჰიიპია), რობი კინი (58. ნემეტი), ჯერარდი (58. სპიერინგი), ტორესი (46. ნგოგი), პლესისი (46. ჩაბი ალონსო), ბენაიუნი (71. პენანტი), არბელოა (46. დარბი), კუიტი (58. ინსუა), კარაგერი (46. აგერი).

"ლივერპულთან" დაკავშირებით კიდევ ერთ ინფორმაციას მოგაწვდით. როგორც ირკვევა, **გარეთ ბერის** ტრანსფერი დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. პარასკევს "ასტონ ვილამ" გვაუწყა, რომ მერსისაიდელებთან მოლაპარაკებებს წყვეტს. "ლივერპულს" ფეხბურთელის შესაძენად დრო ხუთშაბათ საღამომდე ჰქონდა. რაკი ის ამ დროში ვერ ჩაეტია, "ვილამ" საქმე დახურულად გამოაცხადა.

იმავე დღეს ბირმინგემელთა თავკაცი **მარტინ ონილი** ბერისა და მის ადვოკატებს შეხვდა. მწვრთნელს იმედი ჰქონდა, რომ ფეხბურთელს ახალი კონტრაქტის პირობებზე მოურიგდებოდა, მაგრამ ბერიმ კვლავ "ლივერპულში" გაყიდვა ითხოვა. "ასტონ ვილა" ნახევარმცველს 18 მილიონ გირვანქად აფასებს. მერსისაიდელები ეძებენ თანხას, რათა ტრანსფერი გაჩარხონ.

აი, ონილის გუშინდელი კომენტარი: *"რა თქმა უნდა, იმედგაცრუებული ვარ. გარეთმა ჩვენს გუნდში დარჩენაზე უარი თქვა. ის "ლივერპულში" გაშვებას ითხოვს. ფეხბურთელს ყურადღებით მოვუსმინე და იმ დასკვნამდე მივედი, რომ მისი დაბრკოლების უფლება არ მაქვს. იძულებული ვარ, ბერი ტრანსფერზე დავაყენო. შევთანხმდით იმაზეც, რომ "ლივერპულს" დროში აღარ შევზღუდავთ. მერსისაიდელებს უფლება აქვთ, ფეხბურთელი სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე, 31 აგვისტოს 24 საათამდე შეიძინონ. ახლა ყველაფერი მათზე, აგრეთვე გარეთსა და მის აგენტზეა დამოკიდებული. თუ "ლივერპული" სათანადო თანხას გადაიხდის, ფეხბურთელი მას დარჩება."*


რობი კინი და ფერნანდო ტორესი რეინჯერსის კარში გატანილ პირველ გოლს ზეიმობენ

ვარსკვლავი

# ადებაიორს ხელფასი გაუორმაგეს

## სპეკულაციებს ტოგოელი თავდამსხმელის ტრანსფერის შესახებ წერტილი დაესვა

**ემანუელ ადებაიორი** "არსენალს" ახალი კონტრაქტის პირობებზე მოურიგდა. ამიერიდან ტოგოელ თავდამსხმელს ორჯერ მეტ ხელფასს, წელიწადში 4 მილიონ გირვანქას გადაუხდიან. ადებაიორს ძველ ხელშეკრულებაში სამი წელი ჰქონდა დარჩენილი. უცნობია, გაუხანგრძლივებენ თუ არა მას. სპეკულაციებს ემანუელის მოსალოდნელი ტრანსფერის თაობაზე წერტილი დაესვა. ადებაიორმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ახალ სეზონში ინგლისის ჩემპიონობისა და ჩემპიონთა თასისათვის აპირებს ბრძოლას.

ცოტა ხნის წინ, ესპანურ პრესაში ადებაიორის კომენტარები გამოქვეყნდა. ფეხბურთელი ამბობდა, "ბარსელონაში" გადასვლა მსურსო. ფორვარდს "მილანში" ტრანსფერიც უწინასწარმეტყველეს, მაგრამ გარიგებები ჩაიშალა. "მეთოფეებმა" ფეხბურთელის სანაცვლოდ ასტრონომიული თანხა, 35 მილიონი გირვანქა მოითხოვეს. იტალიურ და ესპანურ გრანდებს მოლაპარაკებები აღარ გაუგრძელებიათ.

ადებაიორი: *"მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო, რომ "არსენალიდან" წასვლა არასოდეს მდომებია. როდესაც შვებულებაში ვიყავი, უცხო ადამიანებმა ჩემი სახელით არა ერთი განცხადება გააკეთეს. მე ამ განცხადებებთან არავითარი კავშირი არა მაქვს. შემიძლია, სიამოვნებით გაუწყოთ, რომ "არსენალთან" ახალ კონტრაქტზე ვაწერ ხელს. ლონდონში თავს შესანიშნავად ვგრძნობ. ჩემი გული "არსენალს" ეკუთვნის."*

**არსენ ვენგერი** იმთავითვე ადებაიორის გაყიდვის წინააღმდეგი იყო: *"ევროპის უმდიდრესი კლუბები ბინძურ თამაშს გვეთამაშებიან. მათ ჰგონიათ, რომ დიდძალი ფულის გადახდის შემთხვევაში, ნებისმიერ ფეხბურთელს ჩაიგდებენ ხელში. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. შევეცდებით, ჩვენი კლუბის ინტერესები ყოველთვის დავიცვათ."*

ადებაიორი ირწმუნება, რომ ვენგერთან ჩინებული ურთიერთობა აკავშირებს: *"თუ დღეს რამეს წარმოვადგენ, ეს "არსენალისა" და მისი მთავარი მწვრთნელის დამსახურებაა. მიხარია, რომ გაუგებრობები აღმოიფხვრა. მზად ვარ, მუხლჩაუხრელად ვიშრომო, რათა შარშანდელზე უკეთეს შედეგს მივაღწიოთ. "არსენალს" საუცხოო მწვრთნელი და საუცხოო ფეხბურთელები ჰყავს."*

### ვესტ ჰემის მეექვსე ნომერი ბობი მურს, სამუდამოდ

"ვესტ ჰემმა" გადაწყვიტა, ექვსი ნომერი სამუდამოდ **ბობი მურს** მიაკუთვნოს. მომავალ შაბათს, ლონდონში ინგლისელთა ლეგენდარული კაპიტნის სახელობის ტურნირი გაიმართება. პირველ მატჩში "ვესტ ჰემი" "ვილიარეალს" უმასპინძლებს. "ჩაქუჩების" მეექვსე ნომერი **მეტიუ აპსონი** ორ ექვსნომრიან მაისურს (საშინაოსა და საგარეოს) ბობი მურის ქვრივს, **სტეფანის** გადასცემს. შემდეგ მაისურები აუქციონზე გაიყიდება. შემოსავალს კი მთლიანად მურის სახელობის სიმსივნის კვლევის ცენტრი მიიღებს. ბობი მური 1993 წელს, 51 წლის ასაკში, სიმსივნით გარდაიცვალა. მან "ვესტ ჰემის" შემადგენლობაში სადებიუტო მატჩი ზუსტად 50 წლის წინ ჩაატარა.

### ოთხი წელი დროგბას

"დეილი მეილის" ცნობით, **დიდიე დროგბა** "ჩელსისთან" ახალ ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს. ამ ხნის განმავლობაში ფეხბურთელი 25 მილიონ გირვანქას მიიღებს. კოტდივუარელმა თავდამსხმელმა მუხლის ტრავმის გამო "არისტოკრატების" ორი შეკრება გამოტოვა. ის გუნდს ვერც აზიურ ტურნეში დაეხმარა და ვერც რუსეთის რკინიგზის თასზე. გუშინ დროგბამ იმედი გამოთქვა, რომ "ჩელსისთან" მოლაპარაკებები შედეგიანად დასრულდება. დიდიემ მიმომხილველებს ისიც ამცნო, რომ **ლუიშ ფელიპე სკოლარის** ტელეფონით ხშირად ელაპარაკება. ბრაზილიელი მწვრთნელი მისი ჯანმრთელობის ამბებით გამუდმებით ინტერესდება. სკოლარი დროგბაზე დიდ იმედებს ამყარებს. სპეკულაციები "ბარსელონასა" ან "მილანში" ფორვარდის მოსალოდნელი ტრანსფერის თაობაზე უსაფუძვლო აღმოჩნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

RUSSIAN RAILWAYS CUP. მოსკოვის ოთხთა ტურნირი

# როგორ შერცხვა მილანი...

## ანუ, როცა თავდასხმაში ამბროზინი და პირლო არიან




მოსკოვური ტურნირი, რომელიც უკვე ტრადიციად იქცა, "მილანისა" და "სევილიის" მატჩით გაიხსნა. **კარლო ანჩელოტიმ კახა კალაძე** სასტარტოში დააყენა. გასაგები მიზეზების გამო, "როსონერის" წინა ხაზზე მხოლოდ ახალგაზრდა ფორვარდი **პალოსკი** ჰყავდა. მის უკან მოქმედებდა **კაკა**, რომელმაც ტრავმა მიიღო და "ჩელსისთან" ველარ ითამაშა...

მატჩის საწყისი წუთები დუნედ წარიმართა. პირველი ასე თუ ისე სახიფათო მომენტი ტაიმის შუაწელში შეიქმნა. სევილიელმა **ლუიშ ფაბიანომ** მოხდენილად ჩამოიცილა მცველები და შორი მანძილიდან დასცხო. **აბიატიმ** ბურთი კუთხურზე გადაუშვა. უკვე ტაიმის ბოლოსკენ ანდალუსიელებს კიდევ ერთი მომენტი ჰქონდათ. **მარესკამ** შენიშნა, რომ "როსონერის" მეკარე წინ იყო გამოსული, მაგრამ აბიატი ამ დარტყმულსაც გაუმკლავდა.

თუმცა "მილანის" კიპერს არაფერი შეეძლო იმ ეპიზოდში, როცა თანაგუნდელ **გატუზოსგან** მიიღო გოლი. ანჩელოტის შეგირდები თითქოს გააქტიურდნენ. მაგრამ უცნაური იყო, რომ იტალიური გრანდის დამრიგებელმა ერთადერთი ფორვარდიც მოხსნა და მის ნაცვლად საყრდენი ნახევარმცველი **ბროკი** შეუშვა. თუმც სწორედ ამ უკანასკნელს შეეძლო ანგარიშის გათანაბრება 63-ე წუთზე, როცა **ამბროზინის** ჩაწოდების შემდეგ ახლო მანძილიდან ბურთი ძელს მოარტყა.

დაწინაურებულ "სევილიას" დაცვაში ჩაჯდომაზე არც უფიქრია. ორწუთიანი ინტერვალით, აბიატიმ ჯერ **ხესუს ნავასის** დარტყმის შემდეგ იხსნა თავისიანები, მერე კი კარი არც ლუიშ ფაბიანოს დაანება. შემდეგ "მილანი" 10 კაცით დარჩა. 79-ე წუთზე საჯარიმოსკენ გაჭრილ **კაპელს** ბროკი გამოეკიდა და გაზონზე დასცა. არბიტრმა მას მეორე ყვითელი ბარათი ამოუღო, მერე წითელიც მიაყოლა და მოედნიდან მიაბრძანა.

დარჩენილ დროში "მილანი" ვითომ რაღაცას ცდილობდა, მაგრამ უფორვარდოდ, და თან კაცნაკლულს, არაფერი რომ არ გამოუვიდა, გასაკვირი არ იყო. თამაშის შემდეგ "სევილიის" მწვრთნელი **მანუელ ხიმენესი** თავისი გუნდის პროგრესზე საუბრობდა. ამას გარდა, "როსონერის" დარ გუნდთან გამარჯვება, თუნდაც ამხანაგურ მატჩში, სასიცოცხლოდ აუცილებელიაო, ესეც დასძინა. ანჩელოტიმ კი, ცხადია, თავდამსხმელთა დეფიციტზე გაამახვილა ყურადღება. თუმც იმაზე კი არაფერი უთქვამს, ამ უფორვარდობაში პალოსკი რატომღა სკამზე დასვა.

მერე "ლოკომოტივისა" და "ჩელსის" ჯერი დადგა. მიუხედავად იმისა, რომ რუსული კლუბისთვის ახლა გახურებული სეზონია, "არისტოკრატები" კი ესესაა შეუდგნენ ვარჯიშს, ფავორიტად მაინც ლონდონური გრანდი ითვლებოდა. და როგორც ფავორიტს შეშვენის, ანგარიში "ჩელსიმ" გახსნა. 27-ე წუთზე, **პელიცოლიმ ესიენის** შორეულ დარტყმულზე ნახტომი დააგვიანა და ბურთი ბადეში აფართხალდა.

"ლოკომოტივი" დიდხანს პასიურობდა, **ლუიშ ფელიპე სკოლარის** ბიჭებს კი ანგარიშის გაზრდა ბარე სამ-ოთხჯერ შეეძლოთ. ეგ იყო, "ჩელსი" უზუსტობით სცოდავდა. მეორე ნახევარში, უფრო სწორად პირველ 15-20 წუთში, მაყურებელმა აბსოლუტურად განსხვავებული სურათი იხილა. ეტყობა, **რაშიდ რახიმოვმა** მაგრად შეაფუცხუნა შეგირდები და რკინიგზელებმა მრისხანე მეტოქე ალყაში მოაქციეს. "ჩელსი" მასპინძელს ტემპში ვერ აჰყვა და საკუთარ ნახევარზე ჩაიკეტა, სადღაც მეორე ნახევრის შუამდე. მერე "ლოკომოტივმა" კიდევ ერთხელ ჩამოყარა ყურები და თამაშიც დაწყნარდა. ამ სიტუაციაში ყველაზე რეალური შანსი სკოლარის გუნდს ჰქონდა. **ლემპარდის** ჩაწოდების შემდეგ **ანელკამ** როგორ ვერ შეძლო გატანა, ალბათ, თავადაც ვერ ახსნის... მაგრამ ამ ეპიზოდში პელიცოლი მაინც იმსახურებს აპლოდისმენტებს.

ეს რომ გასულიყო, "ჩელსის" თავი ქუდში ექნებოდა. ასე კი, "ლოკომოტივს" კიდევ დარჩა გადარჩენის შანსი და გამოიყენა კიდეც. შეცვლაზე შესულმა **კამბოლოვმა**, საჯარიმო დარტყმით, **ჩეხს** შანსი არ დაუტოვა. დარჩენილ დროში ანგარიში აღარ შეცვლილა და გუნდები პირდაპირ 11-მეტრიანების სერიაზე გადავიდნენ. თავიდან ლონდონელებს ბედი სწყალობდათ. **ბილიალეტდინოვს** ჩეხმა აუღო, რომლისგანაც "ესტაფეტა" წარმატებით გადაიბარა პელიცოლიმ და ჯერ **შევჩენკოს**, მერე კი **ბრიჯის** დარტყმები მოიგერია. მოკლედ, "ლოკომოტივი" ფინალში გავიდა.

კვირას, მესამე ადგილისთვის მატჩში, "მილანმა" "ჩელსისთან" თავი მოიჭრა. გაგვაოცა ანჩელოტიმ, რომელიც თავდამსხმელთა უპრეცედენტო დეფიციტს განიცდის და ამ ვითარებაშიც კი პალოსკი ისევ რეზერვში დასვა. სამაგიეროდ, წინა ხაზზე... არც ეს გაგიკვირდეთ, **ამბროზინი** და **პირლო** დააყენა, ხოლო **ძამბროტასა** და **იანკულოვსკის** ნახევარდაცვაში მიუჩინა ადგილი. რაც შეეხება კალაძეს, იგი მხოლოდ მეორე ტაიმიდან ათამაშა, როცა ლონდონელები უკვე 3:0-ს იგებდნენ.

ბუნებრივია, ამ ვითარებაში "ჩელსის" გამარჯვება არ უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ დაგვეთანხმებით, 5:0 ნამეტანია. აშკარაა, რომ პირველმეკარეობისთვის ბრძოლა გაუჭირდება **კალაჩს**, რომელმაც ხუთი გაშვებული გოლის გარდა, კიდევ რამდენიმე უპატიებელი შეცდომა დაუშვა. თამაშის გმირი კი **ანელკა** იყო, რომელმაც **დროგბას** არყოფნაში გაილაღა. აღსანიშნავია, რომ მეორე ტაიმის გოლებში ფრანგს ორივეჯერ "რომას" სამიზნე **მალუდა** დაეხმარა. ისიც ვთქვათ, რომ "მილანიდან" წასვლის შემდეგ **შევჩენკომ** ყოფილი გუნდის წინააღმდეგ პირველად ითამაშა. სხვათა შორის, პრესა სპეკულირებდა, რომ "მილანი" მოსკოვურ ტურნირს "ჩელსისთან" შევჩენკოს ტრანსფერის თაობაზე მოლაპარაკებისთვის გამოიყენებდა. ვნახოთ, რა გაგრძელება მოჰყვება ამ ამბებს.

მანამდე კი ორიოდ სიტყვით "ლოკომოტივი"-"სევილიის" ფინალზე. თამაში ესპანური კლუბის ულაპარაკო უპირატესობით წარიმართა და მათივე დამსახურებული გამარჯვებით დასრულდა. არ არის სასიამოვნო, რომ რკინიგზელებმა მაინცდამაინც ის მატჩი წააგეს (თან დიდი ანგარიშით), რომელშიც ორივე ქართველი სასტარტოში იყო. საწყენია ისიც, რომ პენალტი ვერ გაიტანა (მეკარემ იყოჩაღა) **მუჯირმა**, რომელიც **სკილაჩიმ** წააქცია და ამ საქმის შესრულება თავად ითავა.

### მილანი-სევილია 0:1

**მილანი**: აბიატი, ძამბროტა (57. ფავალი), კალაძე, მალდინი (46. დიგაო), ოდო (75. ბონერა), ზეედორფი, გატუზო (69. ანტონინი), ამბროზინი, პირლო, კაკა (46. იანკულოვსკი), პალოსკი (57. ბროკი).

**სევილია**: პალოპი, რომარიკი, სკილაჩი (77. მოსკერა), გალვესი, ფერნანდო ნავარო, კორეია (60. კაპელი), რენატო (83. ა. კონე), ხესუს ნავასი (90. ვალენტე), მარესკა, კონკო, ლუიშ ფაბიანო.

**გოლი**: 0:1 გატუზო (47-საკ. კარში)

**გაძევება**: ბროკი (79. მილანი)

### ლოკომოტივი-ჩელსი 1:1. პენ 5:4

**ლოკომოტივი**: პელიცოლი, როდოლფო (80. სენიკოვი), სპახიჩი, ტორბინსკი (82. მუჯირი), ფინინიო (72. კამბოლოვი), ტრაორე (55. მინჩენკოვი), დრამანი (77. კოჩიში), გურენკო, იანბაევი, გლუშაკოვი, ბილიალეტდინოვი.

**ჩელსი**: ჩეხი, პაულო ფერეირა, ტერი, კარვალიო, ე. კოული (55. ბრიჯი), ობი მიკელი (46. რაიტ-ფილიპსი), ესიენი, ლემპარდი, დეკუ, ჯ. კოული, ანელკა (75. შევჩენკო).

**გოლები**: 0:1 ესიენი (27), 1:1 კამბოლოვი (83)

**პენალტები გაიტანეს**: სპახიჩი, გლუშაკოვი, კოჩიში, მუჯირი, კამბოლოვი (ლოკომოტივი), ტერი, დეკუ, რაიტ-ფილიპსი, ესიენი (ჩელსი); **ვერ გაიტანეს**: ბილიალეტდინოვი (ლოკომოტივი), ბრიჯი, შევჩენკო (ჩელსი).

### ჩელსი-მილანი 5:0

**ჩელსი**: ჩეხი (72. კუდიჩინი), ივანოვიჩი (61. პაულო ფერეირა), ალექსი, ტერი (61. კარვალიო), ე. კოული, ბალაკი (46. დეკუ), ობი მიკელი, ლემპარდი, რაიტ-ფილიპსი (77. სინკლერი), ანელკა (66. შევჩენკო), მალუდა.

**მილანი**: კალაჩი, ბონერა (63. პალოსკი), შიმიჩი (46. დიგაო), მალდინი (46. კალაძე), ფავალი (63. ანტონინი), ძამბროტა, ფლამინი, გატუზო, იანკულოვსკი, პირლო, ამბროზინი (46. ზეედორფი).

**გოლები**: 1:0 ლემპარდი (3), 2:0 ანელკა (8), 3:0 ანელკა (18), 4:0 ანელკა (51), 5:0 ანელკა (57)

### სევილია-ლოკომოტივი 3:0

**სევილია**: ვარასი, პრიეტო, მოსკეირა, სკილაჩი (73. კონკო), კრესპო, კორეია (55. ხესუს ნავასი), მარესკა, რომარიკი (85. კალა), კაპელი, ჩევანტონი, ა. კონე (61. რენატო).

**ლოკომოტივი**: პელიცოლი, კამბოლოვი, ასათიანი (72. სპახიჩი), ფინინიო, სენიკოვი, მამინოვი (60. გლუშაკოვი), ზუაგი (46. გურენკო), მინჩენკოვი, კოჩიში (72. სმოლნიკოვი), მუჯირი (46. ბილიალეტდინოვი), დრამანი (46. ტორბინსკი).

**გოლები**: 1:0 რომარიკი (3), 2:0 ა. კონე (23), 3:0 ჩევანტონი (82)

*43-ე წუთზე მუჯირმა ვერ გაიტანა პენალტი*

**გიორგი გელაშვილი**



მატიო ფლამინი და ნიკოლა ანელკა

EMIRATES CUP. ლონდონის ოთხთა ტურნირი

# რეალმა სნეიდერი დაკარგა

## გამარჯვებული კი ჰამბურგია



სნეიდერისა და დიაბის ორთაბრძოლა, რომელიც ჰოლანდიელისთვის მძიმე ტრავმით დასრულდა

**დავიდ ტრეზეგეს** გოლმა "იუვენტუსს" ლონდონური ტურნირის გახსნით მატჩში 1:0 მოაგებინა. პირველ დღეს "ბებერი ქალბატონი" Emirates Cup-ის მასპინძელ "არსენალს" ხვდებოდა. "მეთოფეები" განახლებული შემადგენლობით წარდგნენ გულშემატკივრის წინაშე და, პირველ მატჩში დამაიმედებელი შთაბეჭდილება ვერ დატოვეს. **არსენ ვენგერი** კიდევ ერთ ახალგაზრდულ ეპოპეას იწყებს. განსაკუთრებული ძალა არც "იუვენტუსს" უჩვენებია. **კლაუდიო რანიერიმ** თავდასხმაში პირველად დააყენა **იაკვინტა-ტრეზეგეს** წყვილი. სხვა სიახლე რანიერის არ შემოუთავაზებია.

საგოლე მომენტები დიდი იშვიათობა იყო. პირველი ნახტომის გაკეთება **ბუფონს** მოუწია. 28-ე წუთზე არსენალელმა **რემსიმ** რეიდი განახორციელა და "იუვეს" კიპერს დაბალი დაურტყა. ჯიჯი ფხიზლად იყო. "იუვემ" კი მხოლოდ 35-ე წუთზე შეაწუხა მეტოქე. მეტიც, **ნედვედის** პასით ტრეზეგემ თავურით ბურთი ბადეშიც გაგზავნა, მაგრამ არბიტრმა, თამაშგარეაო და გოლი არ ჩათვალა.

ცოტა ხანში, დაახლოებით ანალოგიური სიტუაციიდან, ტრეზეგემ კიდევ ერთხელ შეარხია "არსენალის" კარის ბადე, ახლა უკვე იაკვინტას პასით, თუმც ლაინსმენს ამჯერზე ალამი არ აუწევია. ლონდონელთა პროტესტი ამაო გამოდგა, "იუვენტუსი" კი დაწინაურდა - 1:0.

მეორე ტაიმში ვენგერმა მოედანზე **ადებაიორი** შეუშვა. ცვლილებებს მიმართა რანიერიმაც. თამაშში შესულთაგან გოლების გატანა **კამორანეზისა** და **სალიჰამიჯიჩს** შეეძლოთ, მაგრამ მეკარე **ფაბიანსკიმ** ორივე შემთხვევაში იყოჩაღა. **ამაურის** კი ამჯერად არაფერი გაუკეთებია. იქით მხარეს **ბენდტნერის** პასით უნდა ეხეირა ადებაიორსაც, მაგრამ ბურთი მცირედით ასცდა მიზანს.

მატჩის დასრულებამდე ბევრი არაფერი რჩებოდა, როცა რანიერიმ ახალგაზრდა **როსი** შეიყვანა. "იუვეს" თავკაცმა ეს ბიჭი ყველა ტესტ-მატჩში გამოცადა და ეტყობა, ფრიად კმაყოფილიც დარჩა. სალიჰამიჯიჩს ჯერ მისი პასით შეეძლო ანგარიშის გაზრდა, მერე კი ბოსნიელს კამორანეზი ეხმარებოდა, მაგრამ ხელსაყრელ სიტუაციაში ბურთს თავი ხეირიანად ვერ მოარტყა. 1:0 ტურინელთა სასარგებლოდ.

მოგვიანებით მოედანზე "რეალი"-"ჰამბურგი" გავიდნენ. "რეალმა" 2:1 გაიმარჯვა. საინტერესოა, რომ გერმანელთა ჰოლანდიელმა მწვრთნელმა **მარტინ იოლმა** გუნდის ლიდერი **ვან დერ ვაარტი** არც სასტარტოში დააყენა და არც თამაშის დროს გახსენებია. ალბათ, იმიტომაც, რომ რაფაელი სწორედაც "რეალთან" მოლაპარაკებებშია ჩართული. ესპანური სააგენტოები იმასაც ამბობენ, შეგიძლიათ, ჩათვალოთ, რომ ვან დერ ვაარტი "ჰამბურგიდან" თითქმის წასულია და კვირის დასაწყისში "რეალის" მოთამაშედაც გამოცხადდებაო...

ვიდრე ვან დერ ვაარტი მოვა, **ბერნდ შუსტერი** ნახევარდაცვის ცენტრში 19 წლის **დანიელ პარეხოს** აკვირდებოდა. სწორედ პარეხოს გოლმა მოაგებინა სამეფო კლუბს. მატჩის დასრულებამდე 6 წუთით ადრე მან მონახა ბზარი "ჰამბურგის" დაცვაში და **კალეხონის** პასს ზუსტი მიმართულება მისცა.

მანამდე კი შუსტერის გუნდი **ვან ნისტელროიმ** დააწინაურა. ჰოლანდიელს პრობლემა არ ჰქონია მარტივი კომბინაციის დაგვირგვინებისას, როცა **მიჩელ სალგადოს** გადაცემას, უბრალოდ, ფეხი დაუხვედრა. 53-ე წუთზე "ჰამბურგმა" წონასწორობა **მოჰამედ ზიდანის** დარტყმით აღადგინა. **დუდეკი** უძლური იყო, რაიმე ელონა საჯარიმოს ხაზიდან შორეული კუთხისკენ ნასროლ ბურთზე.

მეორე დღის პირველ მატჩში ერთმანეთს 1983 წლის ჩემპიონთა თასის ფინალისტები, "ჰამბურგი" და "იუვენტუსი" შეხვდნენ. **კლაუდიო რანიერიმ** თავიდანვე თქვა, რომ ლონდონურ ტურნირში ყველას ათამაშებდა. ასეც მოხდა. მაგალითად, კარში ბუფონი **კიმენტიმ** შეცვალა, უკანა ხაზის ცენტრში **ლეგროტალიე** და კლუბის ახალწვეული **კნეჟევიჩი** გამწესდნენ, უცნაური იყო დაცვის მარცხენა ფლანგზე **სალიჰამიჯიჩის** გამოჩენა, თავდასხმის დუეტი კი **დელ პიერომ** და **ამაურიმ** შეკრეს.

პირველი ტაიმი გერმანელთა უპირატესობით წარიმართა. კიმენტიმ რამდენიმე უხეში შეცდომა დაუშვა, რამაც დაადასტურა "სინიორას" მესვეურთა აზრი, რომ ბუფონის დუბლიორად გაცილებით კვალიფიციური კიპერია საჭირო, ვიდრე, თუნდაც მრავალნაცადი კიმენტი. **ბოატენგის** პასით ანგარიში **გერერომ** გახსნა. ტაიმის ბოლომდე **ზიდანმა** და **იაროლიმმა** კარგი მომენტები გააფუჭეს, თორემ "ჰამბურგი" პირველ ტაიმშივე მოათავებდა საქმეს.

ტურინელებმა საუკეთესო საგოლე შანსი მხოლოდ მეორე ტაიმში შექმნეს, როცა **როსტმა** ამაურის უძნელესი თავური აუღო. მერე რანიერიმ **იაკვინტა** შეუშვა და ბურთთან პირველივე შეხება ლამის გოლად აქცია. ექსუდინელმა **მარკიონისაც** მისცა გატანის შანსი, მაგრამ "ჰამბურგის" კიპერმა ბურთს ბოლოსლა წაჰკრა თითები...

ერთი სიტყვით, "იუვე" მეორე ტაიმში აშკარად უკეთესი იყო, იმსახურებდა კიდეც ანგარიშის გათანაბრებას და გაათანაბრა კიდეც, მაგრამ თუკი პირველ მატჩში **ტრეზეგეს** არჩასათვლელი ჩაუთვალეს, ამჯერად არბიტრმა **კამორანეზის** ასპროცენტიანი გოლი გააუქმა. ამით ისარგებლა "ჰამბურგმა" და ბოლო წამებზე "იუვე" კიდევ ორჯერ დაამწუხრა. აქ კიდევ ერთი შეცდომა მიითვალა კიმენტიმ და **ოლიჩს** ბურთი პირდაპირ ლანგრით მიართვა. 30 წამში კი, საჯარიმო დარტყმისას, დაუჯერებელი "იალლიში" მოუვიდა დელ პიეროს და ოლიჩმა ეს შანსიც გამოიყენა.

ტურნირის ბოლო მატჩში კი "რეალმა" "არსენალთან" 1:0 წააგო. მაგრამ ამ წაგებაზე მეტად, სამეფო კლუბსა და მის ქომაგებს გულს დასწყვეტდა **სნეიდერის** ტრავმა, რომელიც ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა 58-ე წუთზე, **აბუ დიაბისთან** შეტაკების შედეგად მიიღო. სნეიდერმა მუხლი დაიზიანა, თან ისე, რომ ტკივილისგან კინაღამ შოკში ჩავარდა. არ არის გამორიცხული, მას მუხლის ჯვარედინი მყესები გაუწყდა. სნეიდერი "ემირითსიდან" პირდაპირ ჰოსპიტალში გააქანეს. ზუსტი დიაგნოზი დღეისთვის იქნება ცნობილი.

რაც შეეხება გამარჯვების გოლს, ის **ადებაიორმა** გაიტანა. ტოგოელმა **მიჩელ სალგადოს** მიერ **ვან პერსის** წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გამოიყენა. ტურნირის გამარჯვებული კი გახდა "ჰამბურგი", რომელსაც ბურთების უკეთესი სხვაობა აღმოაჩნდა.

### არსენალი-იუვენტუსი 0:1

**არსენალი**: ფაბიანსკი, სენდეროსი (46. გალასი), ჰოიტი (59. სანია), ჯურუ, ებუე (59. უოლკოტი), დენილსონი, ჯიბსი, რემსი (46. დიაბი), უილშერი (59. ნასრი), ველა (46. ადებაიორი), ბენდტნერი.

**იუვენტუსი**: ბუფონი, გრიგერა, მელბერგი, კიელინი, მოლინარო, მარკიონი (78. ეკდალი), სისოკო (82. როსი), ტიაგო (78. პოულსენი), ნედვედი (61. სალიჰამიჯიჩი), იაკვინტა (69. კამორანეზი), ტრეზეგე (69. ამაური).

**გოლი**: 0:1 ტრეზეგე (37)

### რეალი-ჰამბურგი 2:1

**რეალი**: დუდეკი, მიჩელ სალგადო (80. კალეხონი), ხავი გარსია, ჰაინცე, მიგელ ტორესი, დიარა, გუტი (57. ბაპტიშტა), სნეიდერი (66. პარეხო), რობენი (73. რობინიო), რაული (57. იგუაინი), ვან ნისტელროი (57. სავიოლა).

**ჰამბურგი**: როსტი, ატუბა (60. აოგო), მატიისენი, დე იონგი, კომპანი, ტროხოვსკი (46. რაინჰარდტი), იაროლიმი, დემელი (46. ბენჯამინი), პიტროიპა (68. ბენ-ჰათირა), ოლიჩი (46. ზიდანი), გერერო (72. ტორუნი).

**გოლები**: 1:0 ვან ნისტელროი (25), 1:1 ზიდანი (53), 2:1 პარეხო (84)

### იუვენტუსი-ჰამბურგი 0:3

**იუვენტუსი**: კიმენტი, ზებინა (46. გრიგერა), ლეგროტალიე, კნეჟევიჩი (56. კიელინი), სალიჰამიჯიჩი, კამორანეზი, პოულსენი (71. იაკვინტა), ეკდალი (52. მარკიონი), როსი (46. მოლინარო/87. ტიაგო), დელ პიერო, ამაური.

**ჰამბურგი**: როსტი, ბოატენგი, რაინჰარდტი, ბენჯამინი, ატუბა, იაროლიმი (70. ბენ-ჰათირა), დე იონგი (46. პუსტილო), ტროხოვსკი, ოლიჩი, გერერო (65. აოგო), ზიდანი (87. ტორუნი).

**გოლები**: 0:1 გერერო (19), 0:2 ოლიჩი (92), 0:3 ოლიჩი (93)

### არსენალი-რეალი 1:0

**არსენალი**: ალმუნია, სანია, გალასი (88. ჯურუ), სენდეროსი, კლიში, უოლკოტი (65. ებუე), დენილსონი, დიაბი (75. რემსი), ნასრი (75. უილშირი), ვან პერსი (65. ველა), ადებაიორი (75. ბენდტნერი).

**რეალი**: დუდეკი, მიჩელ სალგადო, ხავი გარსია, ჰაინცე, მიგელ ტორესი, დიარა (79. დე ლა რედი), კალეხონი (46. სნეიდერი/61. პარეხო), გუტი, ბაპტიშტა (46. რობენი), რობინიო (61. სავიოლა), რაული (46. ვან ნისტელროი).

**გოლი**: 1:0 ადებაიორი (49-პენ)

**გიორგი გელაშვილი**




ტურნირის გამარჯვებული ჰამბურგი

## გერმანია

### III ბუნდესლიგა

II ტური

| | |
|---|---|
| აალენი-რეგენსბურგი | 1:1 |
| ოფენბახი-ბურგჰაუზენი | 2:0 |
| პადერბორნი-უნტერჰახინგი | 1:1 |
| შტ. კიკერსი-ფორტუნა | 0:2 |
| უნიონი-შტუტგარტი II | 3:1 |
| ვუპერტალერი-ბაიერნი II | 2:2 |
| კარლ ცაისი-აუე | 3:2 |
| ბრაუნშვაიგი-როტ ვაისი | 1:1 |
| დინამო (დრ)-ემდენი | გადაიდო |
| ვერდერი II-ზანდჰაუზენი | გადაიდო |

## შოტლანდია

### I დივიზიონი

I ტური

| | |
|---|---|
| კლაიდი-მორტონი | 1:1 |
| პარტიკი-დანფერმლაინი | 1:0 |
| ქუინი-ეირდრი | 0:0 |
| როსი-დანდი | 1:2 |
| სტ. ჯონსტონი-ლივინგსტონი | 2:0 |

### II დივიზიონი

I ტური

| | |
|---|---|
| არბროა-ალოა | 4:1 |
| ეირი-რეითი | 0:0 |
| ბრეჩინი-სტირლინგი | 2:1 |
| ისტ ფაიფი-პიტერჰედი | 0:2 |
| ქუინზ პარკი-სტრანრარი | 2:2 |

### III დივიზიონი

I ტური

| | |
|---|---|
| კოუდენბითი-ანენი | 1:4 |
| ალბიონი-ფორფარი | 1:3 |
| ბერვიკი-ისტ სტირლინგი | 2:1 |
| დამბარტონი-მონროუზი | 1:1 |
| სტენჰაუზმური-ელჯინი | 3:0 |

## ავსტრია

V ტური

| | |
|---|---|
| მატერსბურგი-ალტახი | 3:1 |
| რაპიდი-კაპფენბერგი | 3:1 |
| შტურმი-აუსტრია (ვ) | 0:0 |
| რიდი-აუსტრია (კ) | 0:0 |
| ზალცბურგი-ლინცერი | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზალცბურგი | 5 | 3 | 2 | 0 | 13-3 | 11 |
| 2. რაპიდი | 5 | 3 | 1 | 1 | 8-6 | 10 |
| 3. ლინცერი | 5 | 3 | 0 | 2 | 7-5 | 9 |
| 4. აუსტრია (ვ) | 5 | 2 | 3 | 0 | 7-4 | 9 |
| 5. შტურმი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-2 | 7 |
| 6. რიდი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-6 | 7 |
| 7. მატერსბურგი | 5 | 2 | 0 | 3 | 5-12 | 6 |
| 8. ალტახი | 5 | 1 | 0 | 4 | 3-12 | 3 |
| 9. აუსტრია (კ) | 4 | 0 | 2 | 2 | 3-5 | 2 |
| 10. კაპფენბერგი | 5 | 0 | 2 | 3 | 5-9 | 2 |

### II დივიზიონი

IV ტური

ლუშტენაუ-აუსტრია A 1:2; ადმირა-აუსტრია (ლ) 0:2; გრატკორნი-ზალცბურგი A 2:1; ლეობენი-სტ. პოლტენი 2:1; ფოკლაბრუკი-ვინერი 1:0; ტიროლი-გრიოდიგი 3:1.

## დანია

III ტური

| | |
|---|---|
| ვეილე-ოლბორგი | 2:3 |
| მიდტიულანდი-ჰორსენსი | 2:1 |
| ესბერგი-ნორდსილანდი | 1:1 |
| ოდენსე-აგფ ორჰუსი | 3:1 |
| ბრონდბიუ-რანდერსი | 0:3 |
| სიონდერილი-კოპენჰაგენი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რანდერსი | 3 | 2 | 1 | 0 | 7-2 | 7 |
| 2. მიდტიულანდი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-3 | 7 |
| 3. ოდენსე | 2 | 2 | 0 | 0 | 6-2 | 6 |
| 4. ბრონდბიუ | 3 | 2 | 0 | 1 | 4-4 | 6 |
| 5. კოპენჰაგენი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 6. ოლბორგი | 3 | 1 | 0 | 2 | 5-6 | 3 |
| 7. ჰორსენსი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-5 | 3 |
| 8. აგფ ორჰუსი | 3 | 1 | 0 | 2 | 5-7 | 3 |
| 9. ვეილე | 3 | 1 | 0 | 2 | 4-6 | 3 |
| 10. სიონდერილი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 11. ესბერგი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-3 | 1 |
| 12. ნორდსილანდ | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |

## ფინეთი

XV ტური

| | |
|---|---|
| ტამპერე-როვანიემი | 5:0 |
| ჰონკა-იარო | 3:1 |
| მარიეჰამნი-მიუპა | 0:0 |
| კუოპიო-ჰაკა | 0:1 |
| ვაასა-ლაჰტი | 0:1 |
| ინტერი-ტურკუ | დღეს |
| კოტევე-ჰიკ | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 14 | 7 | 7 | 0 | 21-8 | 28 |
| 2. ლაჰტი | 15 | 9 | 1 | 5 | 20-14 | 28 |
| 3. ჰონკა | 15 | 8 | 3 | 4 | 24-10 | 27 |
| 4. ჰაკა | 15 | 8 | 3 | 4 | 19-18 | 27 |
| 5. ჰიკ | 14 | 7 | 5 | 2 | 29-12 | 26 |
| 6. მიუპა | 15 | 7 | 5 | 3 | 19-10 | 26 |
| 7. ტურკუ | 14 | 6 | 3 | 5 | 25-19 | 21 |
| 8. ტამპერე | 15 | 5 | 5 | 5 | 26-20 | 20 |
| 9. როვანიემი | 15 | 5 | 5 | 5 | 21-21 | 20 |
| 10. ვაასა | 15 | 4 | 6 | 5 | 10-14 | 18 |
| 11. მარიეჰამნი | 15 | 3 | 4 | 8 | 12-24 | 13 |
| 12. იარო | 15 | 3 | 4 | 8 | 14-29 | 13 |
| 13. კუოპიო | 15 | 2 | 4 | 9 | 13-29 | 10 |
| 14. კოტევე | 14 | 0 | 3 | 11 | 7-32 | 3 |

### II დივიზიონი

XIV ტური

ოულუ-ჰამეენლინა 1:2; ტპ47-გრანკულა 2:2; იიპო-ატლანტისი 0:0; იუვიასკიულა-ვიფკ 3:0; ტპვ-კპვ 2:4; ვიიკინგიტი-კემი 2:0.

## ნორვეგია

XVI ტური

| | |
|---|---|
| ბრანი-ჰამარი | 4:1 |
| ვოლერენგა-ფრედრიკსტადი | 1:1 |
| ლილესტრიომი-სტრომსგოდსეტი | 3:1 |
| სტაბეკი-ბოდო გლიმტი | 4:1 |
| ვიკინგი-ლინი | 2:0 |
| ტრომსიო-რუსენბორგი | 4:0 |
| მოლდე-აალესუნდი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სტაბეკი | 15 | 9 | 4 | 2 | 30-12 | 31 |
| 2. ფრედრიკსტ | 16 | 9 | 3 | 4 | 26-19 | 30 |
| 3. ტრომსიო | 15 | 8 | 4 | 3 | 21-9 | 28 |
| 4. ლინი | 16 | 7 | 3 | 6 | 22-19 | 24 |
| 5. ვიკინგი | 16 | 7 | 3 | 6 | 20-19 | 24 |
| 6. ბრანი | 16 | 6 | 5 | 5 | 26-23 | 23 |
| 7. ვოლერენგა | 16 | 6 | 4 | 6 | 20-20 | 22 |
| 8. ბოდო გლიმტი | 16 | 6 | 4 | 6 | 18-25 | 22 |
| 9. რუსენბორგი | 15 | 6 | 3 | 6 | 21-19 | 21 |
| 10. სტრომსგოდს | 16 | 5 | 4 | 7 | 20-23 | 19 |
| 11. მოლდე | 15 | 4 | 6 | 5 | 21-21 | 18 |
| 12. ლილესტრიომ | 16 | 5 | 3 | 8 | 20-26 | 18 |
| 13. აალესუნდი | 15 | 4 | 1 | 10 | 21-32 | 13 |
| 14. ჰამარი | 15 | 2 | 3 | 10 | 11-30 | 9 |

### II დივიზიონი

XVI ტური

ოდ გრენლანდი-ნიბერგსუნდი 5:1; ალტა-სანდეფიორდი 1:1; ჰიონეფოსი-ლოვ ჰამი 1:3; კონგსვინგერი-სტარტი 2:2; მოსი-სანდნესი 2:4; ნოტოდენი-ჰაუგესუნდი 1:1; სპარტა-ჰიოდი 2:1; სიოგნდალი-ბრინი 1:0.

## შვედეთი

XVII ტური

| | |
|---|---|
| გიოტებორგი-მალმიო | 2:0 |
| გეფლე-ჰალმსტადი | 4:0 |
| ჰამარბიუ-ლიუნგსკილე | 2:2 |
| ტრელებორგი-ერებრუ | 3:3 |
| ელფსბორგი-გაის | დღეს |
| ჰელსინგბორგი-სუნდსვალი | დღეს |
| კალმარი-აიკ | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კალმარი | 16 | 11 | 2 | 3 | 37-16 | 35 |
| 2. ელფსბორგი | 16 | 10 | 4 | 2 | 22-5 | 34 |
| 3. გიოტებორგი | 17 | 9 | 5 | 3 | 26-14 | 32 |
| 4. ჰელსინგბორგ | 16 | 9 | 4 | 3 | 29-18 | 31 |
| 5. ჰამარბიუ | 17 | 8 | 6 | 3 | 26-19 | 30 |
| 6. აიკ | 16 | 8 | 4 | 4 | 19-15 | 28 |
| 7. მალმიო | 17 | 6 | 6 | 5 | 25-25 | 24 |
| 8. ჰალმსტადი | 17 | 5 | 6 | 6 | 19-22 | 21 |
| 9. გაის | 16 | 4 | 8 | 4 | 16-16 | 20 |
| 10. ტრელებორგ | 17 | 4 | 6 | 7 | 17-20 | 18 |
| 11. იურგორდენი | 16 | 4 | 6 | 6 | 15-23 | 18 |
| 12. ერებრუ | 17 | 4 | 5 | 8 | 12-24 | 17 |
| 13. სუნდსვალი | 16 | 4 | 4 | 8 | 17-22 | 16 |
| 14. გეფლე | 17 | 4 | 2 | 11 | 14-23 | 14 |
| 15. ლიუნგსკილე | 17 | 4 | 2 | 11 | 15-29 | 14 |
| 16. ნორჩოპინგი | 16 | 1 | 4 | 11 | 13-31 | 7 |

### II დივიზიონი

XVII ტური

ანგელჰოლმი-ჰაკენი 1:1; ბრომაპოიკარნა-ფალკენბერგი 2:1; კვიდინგი-ასირისკა 2:1.

## შვეიცარია

IV ტური

| | |
|---|---|
| ქსამაქსი-არაუ | 0:0 |
| სიონი-ბაზელი | 2:0 |
| ბელინცონა-ლუცერნი | 2:2 |
| ვადუცი-გრასჰოპერსი | 1:1 |
| ციურიხი-იანგ ბოიზი | 2:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არაუ | 4 | 3 | 1 | 0 | 7-2 | 10 |
| 2. ციურიხი | 4 | 3 | 0 | 1 | 6-4 | 9 |
| 3. ბაზელი | 4 | 3 | 0 | 1 | 5-3 | 9 |
| 4. ქსამაქსი | 4 | 2 | 1 | 1 | 4-3 | 7 |
| 5. სიონი | 4 | 2 | 0 | 2 | 6-7 | 6 |
| 6. ვადუცი | 4 | 1 | 2 | 1 | 3-4 | 5 |
| 7. გრასჰოპერსი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-3 | 4 |
| 8. იანგ ბოიზი | 4 | 0 | 1 | 3 | 3-6 | 1 |
| 9. ბელინცონა | 3 | 0 | 1 | 2 | 3-6 | 1 |
| 10. ლუცერნი | 4 | 0 | 1 | 3 | 3-6 | 1 |

### ჩელენჯლიგა

II ტური

კონკორდია-ივერდონი 2:2; შაფჰაუზენი-ლოკარნო 2:1; სტად ნიონე-ბილ ბიენი 2:4; ვილი-გოსაუ 2:1; ვინტერტური-სერვეტი 1:0; ლოზანა-ტუნი 3:1; ლუგანო-შო დე ფონი 3:0; ვოლენი-სტ. გალენი დღეს.

## რუსეთი

XVI ტური

| | |
|---|---|
| ტომი-სპარტაკი | 0:1 |
| ზენიტი-მოსკოვი | 2:1 |
| ხიმკი-დინამო | 1:1 |
| ლ. ენერგია-რუბინი | 1:1 |
| ამკარი-ნალჩიკი | 0:0 |
| ცსკა-კრილია | 0:0 |
| ტერეკი-სატურნი | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუბინი | 16 | 8 | 6 | 2 | 20-12 | 30 |
| 2. ამკარი | 16 | 8 | 4 | 4 | 18-11 | 28 |
| 3. დინამო | 16 | 8 | 4 | 4 | 23-18 | 28 |
| 4. სპარტაკი | 16 | 7 | 6 | 3 | 28-23 | 27 |
| 5. ლოკომოტივი | 15 | 6 | 6 | 3 | 22-15 | 24 |
| 6. კრილია | 16 | 5 | 8 | 3 | 22-14 | 23 |
| 7. ზენიტი | 15 | 5 | 7 | 3 | 24-16 | 22 |
| 8. ცსკა | 16 | 5 | 7 | 4 | 19-15 | 22 |
| 9. ნალჩიკი | 16 | 6 | 3 | 7 | 16-19 | 21 |
| 10. ტერეკი | 15 | 6 | 3 | 6 | 14-18 | 21 |
| 11. ტომი | 16 | 5 | 4 | 7 | 14-20 | 19 |
| 12. სატურნი | 16 | 4 | 5 | 7 | 15-16 | 17 |
| 13. მოსკოვი | 16 | 3 | 7 | 6 | 15-19 | 16 |
| 14. ლ-ენერგია | 16 | 2 | 7 | 7 | 11-21 | 13 |
| 15. ხიმკი | 16 | 2 | 6 | 8 | 21-35 | 12 |
| 16. შინიკი | 15 | 2 | 5 | 8 | 15-25 | 11 |

## ხორვატია

II ტური

| | |
|---|---|
| დინამო-ინკერი | 3:1 |
| შიბენიკი-კროაცია | 0:1 |
| ოსიეკი-სიბალია | 2:0 |
| რიეკა-ზაგრები | 0:1 |
| სლავენი-ზადარი | 2:1 |
| ჰაიდუკი-ვარტექსი | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| 2. ოსიეკი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 3. ვარტექსი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 4. ჰაიდუკი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 5. კროაცია | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 6. სლავენი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 7. შიბენიკი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 8. ზაგრები | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 9. სიბალია | 2 | 0 | 1 | 1 | 0-2 | 1 |
| 10. ზადარი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |
| 11. ინკერი | 2 | 0 | 0 | 2 | 3-6 | 0 |
| 12. რიეკა | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |

## უნგრეთი

II ტური

| | |
|---|---|
| ვაშაში-უიპეშტი | 4:2 |
| დიოშდიორი-კაპოშვარი | 1:0 |
| ფეჰერვარი-ჰალადაში | 1:0 |
| ნირედიჰაზა-შიოფოკი | 1:0 |
| პაქსი-რეაკ | 1:3 |
| ზალაეგერსეგი-კეჩკემეტი | 1:0 |
| მტკ-ჰონვედი | 1:1 |
| დიორი-დებრეცენი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვაშაში | 2 | 2 | 0 | 0 | 5-2 | 6 |
| 2. რეაკ | 2 | 1 | 1 | 0 | 4-2 | 4 |
| 3. დიოშდიორი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 4. კაპოშვარი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| 5. დებრეცენი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 6. ჰალადაში | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 7. ზალაეგერსეგ | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 8. შიოფოკი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| 9. ფეჰერვარი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| 10. ნირედიჰაზა | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| 11. პაქსი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-4 | 3 |
| 12. უიპეშტი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-4 | 3 |
| 13. ჰონვედი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 14. მტკ | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 |
| 15. დიორი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| 15. კეჩკემეტი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |

## რუმინეთი

II ტური

| | |
|---|---|
| გლორია (ბის)-უნივერსიტატეა | 2:0 |
| ოცელული-ოტოპენი | 3:1 |
| უნირეა-არჯეში | 3:2 |
| ფარული-რაპიდი | 0:2 |
| პ. ტიმიშოარა-პანდური | 3:0 |
| პოლიტეხნიკა-ვასლუი | 1:3 |
| დინამო-გაზ მეთანი | 1:0 |
| სტიაუა-ბრაშოვი | 2:1 |
| კლუჟი-გლორია (ბუზ) | 2:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კლუჟი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-0 | 6 |
| 2. რაპიდი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-0 | 6 |
| 3. ვასლუი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 4. პ. ტიმიშოარა | 2 | 1 | 1 | 0 | 4-1 | 4 |
| 5. ოცელული | 2 | 1 | 1 | 0 | 5-3 | 4 |
| 6. დინამო | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 7. უნირეა | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 8. ბრაშოვი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 9. უნივერსიტატ | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 10. სტიაუა | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 11. გლორია (ბის) | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 12. ფარული | 2 | 1 | 0 | 1 | 1-2 | 3 |
| 13. არჯეში | 2 | 0 | 1 | 1 | 3-4 | 1 |
| 14. გაზ მეთანი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 15. პანდური | 2 | 0 | 1 | 1 | 1-4 | 1 |
| 16. გლორია (ბუზ) | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |
| 17. პოლიტეხნიკ | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |
| 18. ოტოპენი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-7 | 0 |

## ირლანდია

XXI ტური

| | |
|---|---|
| ბოჰემიანსი-კობ რამბლერსი | 3:0 |
| დერი-შემროკი | 0:1 |
| დროგედა-ბრეი | 2:0 |
| ფინ ჰარპსი-გალვეი | 0:2 |
| სლიგო-კორკი | 0:1 |
| უნივერსიტი-სტ. პატსი | 0:3 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოჰემიანსი | 19 | 14 | 4 | 1 | 29-7 | 46 |
| 2. სტ. პატსი | 21 | 13 | 6 | 2 | 36-13 | 45 |
| 3. კორკი | 21 | 12 | 6 | 3 | 33-15 | 42 |
| 4. დერი | 21 | 10 | 7 | 4 | 28-14 | 37 |
| 5. დროგედა | 19 | 9 | 4 | 6 | 23-13 | 31 |
| 6. შემროკი | 20 | 7 | 8 | 5 | 20-15 | 29 |
| 7. სლიგო | 21 | 7 | 7 | 7 | 25-20 | 28 |
| 8. ბრეი | 21 | 7 | 4 | 10 | 14-30 | 25 |
| 9. უნივერსიტი | 21 | 2 | 8 | 11 | 13-29 | 14 |
| 10. გალვეი | 21 | 3 | 5 | 13 | 17-34 | 14 |
| 11. ფინ ჰარპსი | 20 | 4 | 2 | 14 | 13-36 | 14 |
| 12. კ. რამბლერსი | 21 | 2 | 5 | 14 | 10-35 | 11 |

## საფრანგეთი

### სუპერთასი

**ბორდო-ლიონი 0:0 პენ. 5:4**

ბორდო: რამე, შალმე, ენრიკე, სო. დიავარა, ჟურიეტი, ა. დიარა (71. კავენაგი), ფერნანდო, ვენდელი, გურკუფი, გუფრანი (74. ობერტანი), შამახი (83. ბელიონი).

ლიონი: ლორისი, რევეიერი, კრისი, ბოდმერი, გროსო, ტულალანი, მაკუნი, გოვუ, დელგადო (86. კალსტრიომი), პიანიჩი (72. ბაროში), ბენზემა.

მაყურებელი: 30 000

## სლოვაკეთი

III ტური

| | |
|---|---|
| კოშიცე-დუბნიცა | 3:1 |
| ნიტრა-არტმედია | 1:2 |
| რუჟომბეროკი-ბისტრიცა | 1:0 |
| სლოვანი-დ. სტრედა | 2:1 |
| ჟილინა-ტატრანი | 5:1 |
| ტრნავა-მორავცე | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჟილინა | 3 | 3 | 0 | 0 | 10-1 | 9 |
| 2. კოშიცე | 3 | 3 | 0 | 0 | 5-1 | 9 |
| 3. სლოვანი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-2 | 7 |
| 4. არტმედია | 3 | 2 | 0 | 1 | 3-3 | 6 |
| 5. ნიტრა | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 4 |
| 6. დ. სტრედა | 3 | 1 | 0 | 2 | 5-4 | 3 |
| 7. რუჟომბეროკ | 3 | 1 | 0 | 2 | 3-4 | 3 |
| 8. ტრნავა | 2 | 1 | 0 | 1 | 2-4 | 3 |
| 9. ტატრანი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-8 | 3 |
| 10. ბისტრიცა | 3 | 0 | 1 | 2 | 0-2 | 1 |
| 11. მორავცე | 2 | 0 | 1 | 1 | 1-4 | 1 |
| 12. დუბნიცა | 3 | 0 | 0 | 3 | 3-8 | 0 |

## უკრაინა

III ტური

| | |
|---|---|
| ჩერნომორეცი-კარპატი | 3:0 |
| დინამო-მეტალისტი | 1:2 |
| ხარკოვი-არსენალი | 1:1 |
| ლვოვი-დნიპრო | 0:1 |
| კრივბასი-მეტალურგი (დ) | 1:2 |
| შახტარი-ილიჩივეცი | 3:0 |
| ტავრია-ვორსკლა | 1:3 |
| ზორია-მეტალურგი (ზ) | 0:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მეტალურ (დ) | 3 | 3 | 0 | 0 | 4-1 | 9 |
| 2. მეტალისტი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-2 | 7 |
| 3. დინამო | 3 | 2 | 0 | 1 | 6-3 | 6 |
| 4. ვორსკლა | 3 | 2 | 0 | 1 | 4-2 | 6 |
| 5. არსენალი | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 5 |
| 6. ზორია | 3 | 1 | 2 | 0 | 2-1 | 5 |
| 7. შახტარი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-3 | 4 |
| 8. კრივბასი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 9. დნიპრო | 3 | 1 | 1 | 1 | 2-3 | 4 |
| 10. ჩერნომორეც | 3 | 1 | 0 | 2 | 3-2 | 3 |
| 11. ლვოვი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-3 | 3 |
| 12. ილიჩივეცი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-5 | 3 |
| 13. ხარკოვი | 3 | 0 | 2 | 1 | 1-2 | 2 |
| 14. მეტალურ (ზ) | 3 | 0 | 2 | 1 | 0-1 | 2 |
| 15. კარპატი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-5 | 1 |
| 16. ტავრია | 3 | 0 | 1 | 2 | 1-6 | 1 |

## სლოვენია

III ტური

| | |
|---|---|
| გორიცა-რუდარი | 0:2 |
| ნაფტა-პრიმორიე | 1:0 |
| პუბლიკუმი-დომჟალე | 0:0 |
| მარიბორი-დრავა | 1:1 |
| ინტერბლოკი-კოპერი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პუბლიკუმი | 3 | 2 | 1 | 0 | 4-0 | 7 |
| 2. ნაფტა | 3 | 2 | 1 | 0 | 5-2 | 7 |
| 3. მარიბორი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-4 | 7 |
| 4. დომჟალე | 3 | 1 | 2 | 0 | 4-2 | 5 |
| 5. გორიცა | 3 | 1 | 1 | 1 | 5-5 | 4 |
| 6. რუდარი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-4 | 3 |
| 7. ინტერბლოკი | 2 | 0 | 2 | 0 | 3-3 | 2 |
| 8. პრიმორიე | 3 | 0 | 1 | 2 | 1-4 | 1 |
| 9. დრავა | 3 | 0 | 1 | 2 | 1-5 | 1 |
| 10. კოპერი | 2 | 0 | 0 | 2 | 3-6 | 0 |

## ჩეხეთი

I ტური

| | |
|---|---|
| პლზენი-ვიქტორია | 3:2 |
| ბანიკი-კლადნო | 1:0 |
| სპარტა-ბოლესლავი | 1:0 |
| ზლინი-იაბლონეცი | 0:1 |
| პრშიბრამი-ბრნო | 0:1 |
| ტეპლიცე-ბუდეიოვიცე | 4:0 |
| ლიბერეცი-სლავია | 2:1 |
| ბოჰემიანსი-სიგმა | დღეს |

## ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| სტოკპორტი-მანჩესტერ სიტი | 2:2 |
| აინტრახტი-აუგსბურგი | 1:0 |
| რეალი-ჰამბურგი | 2:1 |
| კარლსრუე-სომო | 1:1 |
| ბარნეტი-უოტფორდი | 3:2 |
| ბირმინგემი-ფულჰემი | 1:1 |
| ბრედფორდი-ოლდემი | 1:0 |
| როვერსი-დენ ჰააგი | 2:3 |
| ბარტონი-ჩესტერფილდი | 2:3 |
| დერბი-უტრეხტი | 2:2 |
| ჰიბერნიანი-მიდლსბრო | 2:3 |
| მანჩესტერ იუნ-ესპანიოლი | 1:0 |
| პლიმუტი-დანდი იუნ | 0:1 |
| რეინჯერსი-ლივერპული | 0:4 |
| უენსდი-ვიგანი | 2:3 |
| შრიუსბერი-სტოკი | 0:1 |
| ვულვზი-ბლექბერნი | 4:2 |
| ვეენი-ვოლფსბურგი | 1:4 |
| არსენალი-იუვენტუსი | 0:1 |
| როსენდალი-ალკმაარი | 1:3 |
| ოსერი-გრენობლი | 0:2 |
| ოსასუნა-სოსიედადი | 0:1 |
| ტულუზა-მარსელი | 0:0 |
| ნანტი-რენი | 0:1 |
| ვესტერლო-ექსელსიორი | 3:2 |
| ბენფიკა-პსჟ | 2:2 |
| იუვენტუსი-ჰამბურგი | 0:3 |
| სანდერლენდი-აიაქსი | 0:1 |
| არსენალი-რეალი | 1:0 |
| ტოტენჰემი-დორტმუნდი | 3:0 |
| მიუნხენი-გალათასარაი | 0:0 |
| პართისი-ჰალი | 1:0 |
| ჩელსი-მილანი | 5:0 |
| ლოკომოტივი-სევილია | 0:3 |
| პორტუ-კალიარი | 4:1 |
| ფეიენოორდი-სელტიკი | 1:3 |
| ჰანოვერი-პერუჯა | 3:1 |
| ბრაგა-ლეიქსოეში | 3:1 |
| მალორკა-ნიუკასლი | 1:0 |



ავრამ გრანტი

## გრანტი მოსკოვში ჩავიდა

რუსეთის რკინიგზის თასის გათამაშებას ბევრი საპატიო სტუმარი დაესწრო. მათ შორის იყო "ჩელსის" ყოფილი ბოსი **ავრამ გრანტიც**. ებრაელი სპეციალისტი მოსკოვში მარტო თამაშების საყურებლად არ ჩასულა. რუსული სააგენტოების მტკიცებით, ის ცსკა-ს ხელმძღვანელობას შეხვდა და შესაძლო თანამშრომლობის დეტალები განიხილა. არმიელთა დღევანდელი თავკაცი **ვალერი გაზაევი** გუნდს სეზონის დასრულებისთანავე დატოვებს. მოსკოველებს არ სურთ, ახალი მწვრთნელი ცაიტნოტურ ვითარებაში დანიშნონ. ამიტომ საინტერესო კანდიდატებთან ინტენსიურ მოლაპარაკებებს მართავენ. გრანტის გარდა, შესაძლოა, ცსკა-ში ვიხილოთ "ინტერის" ყოფილი ბოსი **რობერტო მანჩინი**. მანჩინის რუსეთის დედაქალაქში ამ დღეებში ელოდებოდნენ, მაგრამ მისი ვიზიტი გაურკვეველი დროით გადაიდო.

## აიალა პარიზში ტურამის ნაცვლად

ვეტერანი არგენტინელი მცველი **რობერტო ფაბიან აიალა**, შეიძლება, "პარი სენ ჟერმენში" ვიხილოთ. ის "სარაგოსის" საკუთრებაა. მოგეხსენებათ, არაგონული კლუბი სეგუნდა დივიზიონში გავარდა. მას ყველა ლიდერი ტოვებს. 35 წლის ფეხბურთელმა პარიზელებისაგან სარფიანი შეთავაზება მიიღო. ფრანგულ კლუბს **ლილიან ტურამის** აყვანა სურდა, მაგრამ სამედიცინო შემოწმებისას, საფრანგეთის ნაკრების ყოფილ ვარსკვლავს გულის მძიმე ავადმყოფობა აღმოუჩინეს. ტურამმა კარიერა დაასრულა. პსჟ კი არგენტინელ ვეტერანს შეეხმიანა. პარიზელები "მანჩესტერ იუნაიტედის" მცველ **მიკაელ სილვესტრსაც** ეპატიჟებიან.

## ნიუკასლი 260 მილიონად

"ნიუკასლის" შეძენა ორ აზიურ კომპანიას სურს. ერთს "რილაიენს ქომიუნიქეიშენსი" ჰქვია. ის ინდოეთის უმსხვილესი სატელეკომუნიკაციო კომპანიაა. მისი მფლობელია **ანილ ამბანი**. "ფორბსის" რეიტინგის თანახმად, ამბანი მსოფლიოს მეექვსე უმდიდრესი ადამიანია. ამბანის ქონება 21.5 მილიარდ გირვანქად არის შეფასებული. "ნიუკასლის" დაუფლებას ცდილობს სინგაპურული საინვესტიციო კომპანია "პროფიტაბლ გრუპიც". ორივე ინვესტორი ჯორდების ბოს **მაიკ ეშლის** 260 მილიონ გირვანქას სთავაზობს. ეშლიმ "ნიუკასლი" გასული წლის ივლისში, 130 მილიონ გირვანქად შეიძინა. მას კლუბის ვალების გასტუმრება დამატებით კიდევ 80 მილიონი დაუჯდა. ეშლი "ნიუკასლის" თავგადაკლული ფანია, მაგრამ მისი ფინანსური რესურსები ხმაურიან ტრანსფერებს არ ჰყოფნის. "ნიუკასლს" უფრო მდიდარი ადამიანი სჭირდება. ჯორდი გულშემატკივარი მაქსიმალურ შედეგს ითხოვს.

## ბენტლის ვილიანუევა შეცვლის

"ბლექბერნმა" ჩილელი ნახევარმცველი **კარლოს ვილიანუევა** გადაიბირა. 22 წლის ფეხბურთელი "აუდაქს იტალიანოს" საკუთრებაა. ინგლისელებმა მასთან ერთწლიანი საიჯარო ხელშეკრულება გააფორმეს. ნაყოფიერი თანამშრომლობის შემთხვევაში, გათვალისწინებულია სამწლიანი კონტრაქტის გაფორმება. ვილიანუევა ჩილეს წლის საუკეთესო ფეხბურთელია. მან **დევიდ ბენტლი** უნდა შეცვალოს. მოგეხსენებათ, ამ უკანასკნელმა 17 მილიონ გირვანქად "ტოტენჰემს" მიაშურა. კარლოსს ეროვნულ ნაკრებში 12 მატჩი აქვს ჩატარებული. მისი ტრანსფერის ფინანსური დეტალები უცნობია. ვილიანუევა **პოლ ინსის** მეორე შენაძენია. ორი კვირის წინ "ბლექბერნის" ბოსმა ტოტენჰემელი მეკარე **პოლ რობინსონი** დაიმატა.

## მალაიზია ლეგიონერების გარეშე

მალაიზიის ფეხბურთის ფედერაციამ უცნაური გადაწყვეტილება მიიღო. მალაიზიური ფეხბურთისა და ეროვნული ნაკრების დონის ამაღლების მიზნით, ყველა უცხოელ ფეხბურთელს კარისაკენ მიუთითებენ. ამ ქვეყნის საფეხბურთო ლიგა ლეგიონერებისათვის იხურება. ფედერაციის განცხადებაში ნათქვამია, რომ ლეგიონერები მალაიზიაში, როგორც წესი, კარიერის დასასრულებლად ჩადიან და გაუმართლებლად მაღალ ხელფასებს იღებენ. უფრო მეტიც, ადგილობრივი პოლიციის ცნობით, სწორედ უცხოელი ფეხბურთელები არიან შემჩნეულნი ტოტალიზატორებთან კავშირში. თამაშების ჩაწყობაში განსაკუთრებით აფრიკელ მოთამაშეებს ადანაშაულებენ. ფიფას სანაკრებო რეიტინგში, მალაიზიის ეროვნულ გუნდს 166-ე ადგილი უკავია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგიონი

# მალე გორში რაგბისა და ჩოგბურთსაც ითამაშებენ

გორი ყოველთვის იყო ქართული სპორტის ერთ-ერთი უმძლავრესი კერა ჩვენს ქვეყანაში. არ არის დასამალი, რომ ცნობილმა კატაკლიზმებმა ამ რეგიონშიც შეაფერხა სპორტის განვითარება. ახლა გარკვეული სამუშაოები მიმდინარეობს ჩამორჩენის დასაძლევად. თუმცა გასაკეთებელი ჯერ კიდევ საკმაოზე მეტია. ამასთან დაკავშირებით, რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ გორის სპორტისა და ტურიზმის სამსახურის უფროსს ზურაბ ჩხეიძეს.

**- ბატონო ზურაბ, გორელი თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა წარმატებები მსოფლიოსთვისაა ცნობილი. საინტერესოა, კიდევ რა უნდა გააკეთონ ნუგზარ სხირელის აღსაზრდელებმა, რომ მათ დარბაზში სავარჯიშოდ აუტანელი პირობები აღარ იყოს?**

- აბსოლუტურად გეთანხმებით. იქ მართლაც აუტანელი პირობებია და მით უფრო საყოველთაოდ წარმატებულ სპორტსმენებს არ შეეფერებათ ასეთ დარბაზში ვარჯიში. ცუდია, რომ ეს საკითხი დღემდე არ გადაიჭრა. მერწმუნეთ, ვცდილობთ, გამოვნახოთ თანხები №44 სასპორტო სკოლის სარემონტოდ. იქ როგორც თავისუფალი ჭიდაობის, ისე სხვა სახეობების დარბაზები სავალალო მდგომარეობაშია და მხოლოდ რომელიმე მათგანს ვერ შევაკეთებთ. იქაურობას კოსმეტიკური რემონტი არ უშველის, საფუძვლიანი შეკეთება სჭირდება, რაც დიდ თანხებთან არის დაკავშირებული.

**- ამას წინათ ავთანდილ შოშიაშვილი კრივის სკოლის დირექტორის და მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან გათავისუფლდა. რატომ გახდა საჭირო ასეთი ცნობილი სპეციალისტის გაშვება?**

- მან მოიტანა განცხადება გადადგომის შესახებ და ამით გვამცნო თავისი გადაწყვეტილების თაობაზე. სხვას ვერაფერს გეტყვით, საკადრო ცვლილებები ჩემს კომპეტენციაში არ შედის.

**- რაგბის განვითარების სახელმწიფო პროგრამით ერთი სარაგბო სექციის გახსნა გორშიც იგეგმება, რა ეტაპზეა ამჟამად ეს საქმე?**

- აღნიშნულ ინიციატივას დიდი ინტერესით შევხვდით. მახსოვს, რომ ჩვენს ქალაქში შვიდი-რვა წლის წინათ არსებობდა რაგბის სექცია, თუმცა მალევე დაიშალა. რამდენადაც ვიცი, იქიდან რამდენიმე მორაგბე ახლა ჩვენი ქვეყნის გუნდებში თამაშობს. დღესდღეობით გორში, ქალის დასახლებაში სტადიონისთვის ადგილი გამოვძებნეთ. რამდენიმე ხანში სათანადო ღონისძიებებსაც გავატარებთ და ქართლში რაგბი აღორძინდება.

**- გორში მშენებარე ჩოგბურთის კორტები როდის ამოქმედდება?**

- ჩოგბურთის კორტებს სექტემბერში გავხსნით. პირველ ეტაპზე იგი სპორტული სკოლის დაქვემდებარებაში შევა ადმინისტრაციულად, მაგრამ მისი შენახვა ძვირი ჯდება და ამიტომ გამორიცხული არ არის, ჩოგბურთის სკოლა ცალკე ჩამოვაყალიბოთ.

**- შარშან გუბერნატორი ლადო გეგელაშვილი გორელებს ათიოდ წლის წინათ დამწვარი ცირკის შენობის აღდგენას დაჰპირდა. ეს ნაგებობა სპორტის სასახლის ფუნქციას ასრულებდა და მისი აღდგენის პერსპექტივამ ერთობ მოხიბლა ყველა, თუმცა ჯერ საქმე ადგილიდან არ დაძრულა...**

- რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ჩვენს სამომავლო გეგმებში ამ შენობის აღდგენა არ შედის. მისგან მხოლოდ კედლებია დარჩენილი და ხელახლა აშენება საკმაოდ დიდ ფინანსებს მოითხოვს. უმჯობესი იქნება თუნდაც იმავე სასპორტო სკოლის კაპიტალური რემონტი ჩაგვეტარებინა, რაც სპორტის რამდენიმე სახეობაში სპორტსმენებსა და მწვრთნელებს სავარჯიშო პირობებს გაუუმჯობესებდა.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

წიგნის თარო




ცნობილმა ჟურნალისტმა და ფილოლოგმა, „ლელოს" თანამშრომელმა **ვაჟა დანელიამ** კიდევ ერთი ახალი ნაშრომით გაამდიდრა სპორტული ლიტერატურა. **„სარბიელის მარბიელნი"** ასე ჰქვია წიგნს, რომელიც საქართველოს სპორტსმენთა 2007 წლის მიღწევებს აცნობს მკითხველს. შარშანდელი წელიწადი მართლაც რომ ბარაქიანი გამოდგა. განსაკუთრებით ისახელეს თავი ძიუდოისტებმა, ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილის ფალავნებმა, სამბისტებმა, მორაგბეებმა, სპორტის სხვა სახეობების ათლეტებმა. მარტო ის რად ღირს, რომ მსოფლიოს ჩემპიონი გახდა ჩვენი ხუთი სპორტსმენი. აქედან სამი ოლიმპიური სახეობის წარმომადგენელია.

ავტორი პატივს მიაგებს აგრეთვე ვეტერანებს, რომლებსაც უდიდესი წვლილი მიუძღვით ქართული სპორტის ავტორიტეტის განმტკიცებაში და მისაბაძ მაგალითად იქცნენ მომავალი თაობებისთვის. მოთხრობილია აგრეთვე სახელოვან ქართველ ლეგიონერებზე, ხელოვნების, კულტურის, მეცნიერების სხვა სფეროების იმ წარმომადგენლებზე, რომლებიც ქართული სპორტის მხოლოდ გულშემატკივრები როდი არიან.

**ნიგნი უხვადაა ილუსტრირებული. რედაქტორია თენგიზ გაჩეჩილაძე.**

ჭადრაკი

# თურქული უცნაურობანი გრძელდება...




სტამბოლში მიმდინარე მეშვიდე საჭადრაკო ფესტივალზე ოთხმა ტურმა ჩაიარა და ქართველებს თავმოსაწონიც გვაქვს, თუმცა მკითხველის ყურადღება რამდენიმე საკითხს უნდა მივაპყრო. როგორც ტურნირის დაწყებისას ვწერდით, წლეულს თურქებმა განსხვავებული სისტემით მოისურვეს შეჯიბრების ჩატარება. მსგავსი არაფერი გვენახა, ვერც ვერავინ ვიპოვნეთ მცოდნე და დებულებაშიც ისე ბუნდოვნად არის წესი განმარტებული, რომ თავის და ბოლოს გარკვევა ვერაფრით შევძელით. მოკლედ რომ შეგახსენოთ, შვეიცარიულ სისტემაში ბერლინის ნაირსახეობად იწოდება წესი, სადაც მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით ორ ჯგუფად იყოფა ტურნირი და პირველ, ანუ ძლიერ ჯგუფს გარკვეულ ქულებს ანიჭებენ. ამ შემთხვევაში 4 ქულა ერგოთ პირველ ჯგუფში მოხვედრილებს. მეორე ნაწილს ნული ჰქონდა და გაკვირვებას ეს იწვევდა. იმედი დავიტოვეთ, რომ გზადაგზა შევძლებდით საჭირო ცნობების მიღებას, მაგრამ მეხუთე ტურის წილისყრამ კიდევ უფრო ბუნდოვანი გახადა საკითხი: საქმე ის არის, რომ ნოვაცია სადღაც გამქრალიყო და ქულები ძველებურად, „ადამიანურად" დაეწერათ, ანუ ათვლის წერტილად ყველასთვის ნული ქულაა მიიჩნიეს და ქულათა გრაფაშიც იმდენი უწერია მავანს, რამდენიც დაიმსახურა საკუთარი გარჯით. სასიამოვნოა, რომ მაქსიმალური შედეგით ლიდერებში არიან **ლევან ფანცულაია** და **მერაბ გაგუნაშვილი**. ოთხქულიანი კიდევ რვა მონაწილეა, რომელთა შორის ორიოდე ცნობილ გვარს თუ შეხვდებით, თორემ დანარჩენი ახალგაზრდა თურქები არიან. ესეც მეორე თურქული უცნაურობა - **აჰმეთ კავაჩიკს, მეთე ალბაირაქს, მუსტაფა იავუზას და ოზგურ ოზგანს** 1800-იც კი არა აქვთ რეიტინგები. როგორც ჩანს, ასეთი მდგომარეობა იმ პირველი უცნაურობის დამსახურებაა, რასაც ახალი სისტემა ჰქვია - ოთხი ტური დაბალრეიტინგიანებმა ერთმანეთში ითამაშეს და მხოლოდ ამის შემდეგ მიეცათ ძლიერი ჯგუფის მოწინავეებთან გაჯიბრების შესაძლებლობა.

მესამე უცნაურობა კი ისაა, რომ თორმეტივე ქართველ მოჭადრაკეს მეხუთე ტურში მეტოქედ თურქი მოჭადრაკე ჰყავს. გასაგებია, რომ მონაწილეთა დიდი უმრავლესობა თურქია, მაგრამ სტუმრებიც საკმაოდ არიან, თანაც იმ „რადიუსში", გურჯები რომ იმყოფებიან და ამიტომაც უფრო\გასაკვირია ასეთი წილისყრა. ფაქტია, მეხუთე ტური შესაძლოა ისეთივე წარმატებული გამოდგეს ქართველთათვის, როგორც პირველი. შეგახსენებთ, ერთის გარდა ქართველებმა ყველა შეხვედრაში იმარჯვეს.

სატურნირო ცხრილში დღეისთვის ჩვენებურებს შემდეგი პოზიციები უკავიათ: 2. მერაბ გაგუნაშვილი - 4 ქულა; 4. ლევან ფანცულაია - 4; 13. **ვალერიან გაფრინდაშვილი** - 3.5; 21. **ნინო ბაციაშვილი** - 3.5; 23. **მაკა ფურცელაძე** - 3.5; 33. **ბელა ხოტენაშვილი** - 3; 35. **გიორგი ბალათუროვი** - 3; 39. **თამარ ხმიადაშვილი** - 3; 63. **ანა გავაშელი** - 2.5; 95. **თამარ წერეთელი** - 2.5; 135. **თეონა მესხი** - 2.

**ზვიად შათირიშვილი**

პლაჟბურთი. მსოფლიო ტური

# საქა-რთველომ პირველი ტიტული ხელიდან გაუშვა

ავსტრიის ქალაქ კლაგენფურტში მიმდინარე მსოფლიო ტურის მორიგ ეტაპზე ქალთა შორის ქართულმა წყვილმა **საქა-რთველომ** პირველი ტიტულის მოპოვების რეალური შანსი გაუშვა ხელიდან.

ჩვენმა ფრენბურთელებმა „დიდი სლემის" ეგიდით მიმდინარე შეჯიბრებაში ნახევარფინალში გააღწიეს და მათ საპრიზო ადგილის დაკავება რეალურად შეეძლოთ. ნახევარფინალში საქართველოს მეტოქე ნაკლებად ცნობილი უკრაინული დუეტი, ტურნირზე 27-ე ნომრად განთესილი **ოშეიკო-ბაბურინა** იყო. სამწუხაროდ, შეხვედრა ჩვენმა ფრენბურთელებმა არასათანადოდ ჩაატარეს და სამ სეტში დამარცხდნენ 15:21, 21:19, 12:15.

მესამე ადგილისთვის შეხვედრაში კი მეტოქე უფრო სერიოზული, გერმანიის რეიტინგით მეოთხე, ტურნირზე კი მე-13 ნომრად განთესილი დუეტი **ჰოლტვიკი-ზემლერი** გვერგო. საქა-რთველო აქაც დამარცხდა 0:2 (18:21, 18:21) და საბოლოოდ მე-4 ადგილს დასჯერდა. ამრიგად, ოლიმპიადისწინა ტურნირზე საქა-რთველომ კარიერაში საუკეთესო შედეგი აჩვენა, 560 სარეიტინგო ქულა და 18 400 ამერიკული დოლარი ირგუნა.


საქა-რთველო

მეოთხედფინალამდე გააღწია კლაგენფურტში ვაჟთა შორის **გეორ-გიამ**. მერვედფინალში ჩვენმა ფრენბურთელებმა ტურნირის ფავორიტი ბრაზილიელები **ჰარლი და პედრო** დაამარცხეს ორ სეტში 21:18, 21:14. მეოთხედფინალში კი ჩვენი ფრენბურთელების წინაამდეგ, „უხერხული მეტოქე", ზელანდიელები **ლოჰედი-პიტმანი** აღიმართნენ. გეორ-გიამ მხოლოდ ერთი სეტის მოგება შეძლო და შეჯიბრებას გამოეთიშა 19:21, 21:19, 6:15.

ამრიგად, გეორ-გია კლაგენფურტში მე-5 ადგილს, 480 სარეიტინგო ქულასა და 13 200 ამერიკულ დოლარს დასჯერდა.

**ბესიკ ჯანგავაძე**

რაგბი. ტრანსფერები

# პერიგოს მესამე ქართველი დაემატა

შერკინების პირველხაზელმა **იგორ ბარბაქაძემ** საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტური, მეორე დივიზიონის „ტარბი" სეზონის დასრულებისთანავე დატოვა. რამდენიმე კლუბის შემოთავაზებიდან მან საბოლოოდ არჩევანი ფედერალ 1-ის „პერიგოზე" შეაჩერა. ამ გუნდში აქამდე ორი ქართველი - მესამეხაზელი **ირაკლი გუნდიშვილი** და შუამარბი **თედო ზიბზიბაძე** ირიცხებოდა.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# ქართველებს ნიჭიერი ბავშვები არ გველევა!



ლევან ფაშიაშვილი



სანდრო ჭადაშვილი

საჩოგბურთო სეზონი საქართველოში მიწყნარდა. ყოველ შემთხვევაში, აგვისტოს განმავლობაში არაფერი იგეგმება და ეს ერთგვარი პაუზა საერთო საქმეს სულაც ვნებს, - აქამდე რამდენიმე თვის განმავლობაში საჩოგბურთო ბატალიები არ მოგვკლებია და სპორტის ამ სახეობის დამფასებელს მოსაწყენად არ ეცალა. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ძირითადად თბილისი მასპინძლობს მნიშვნელოვან შეჯიბრებებს და შესაბამისად რეგიონები ნაკლებად იტვირთება. მიუხედავად ყველაფრისა, არსებობს გამონაკლისი და ივლისის ბოლოს ბათუმში საკმაოდ საინტერესო ტურნირი ჩატარდა. ჩვენში ბოლო დროს საკმაოდ პოპულარული გახდა ასაკობრივი ჩემპიონატები. ეს ტენდენცია სპორტის სხვა სახეობებშიც არის და რა გასაკვირია, რომ ჩოგბურთმაც აუწყო საერთო ფერხულს ნაბიჯი. შინაარსობრივადაც საკმაოდ გამართლებულია - 10, 12, 14 და 16 წლის ასაკში ყალიბდებიან სპორტსმენებად და თუ ვინმეს რაიმეს შნო აქვს, ამ დროს უნდა გამოიჩინოს თავი, თორემ ათასში ერთია შემთხვევა, როცა მავანს გვიან ასაკში გამოუღია ხელი და ადრე მჯობნისათვის უჯობნია...

ბათუმშიც ამ ასაკის გოგო-ბიჭები შეიკრიბნენ და გვარიანი ჩოგანბურთაობაც გააჩაღეს. ტურნირს ინტრიგას ისიც მატებდა, რომ ქართველთა გარდა რამდენიმე უცხოელმა, კერძოდ, სომეხმა და რუსმა ჩოგბურთელებმაც ითამაშეს. რუსების მაღალი საჩოგბურთო კულტურა ცნობილია, მაგრამ სომეხთა წარმატება, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი აღმოჩნდა - რამდენიმე ასაკში კარგი შედეგები აჩვენეს...

ჩვენ მაინც ჩვენებურთა გარჯა გვაინტერესებს და ყურადღებაც იქითკენ მივმართოთ. ამ საქმეში გზის გამკვლევად კი ცნობილი ქართველი მწვრთნელი, ახლო წარსულში ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელი, ქალბატონი **ოლიკო თუხარელი** დავიგულეთ.

- პირველ რიგში, მადლობას მოვახსენებ ორგანიზატორებს იმის გამო, რომ ახალგაზრდა და პერსპექტიულ ბავშვებს ასპარეზობის და ძალების მოსინჯვის საშუალება მისცეს. მართალია, იყო მცირე ორგანიზაციული ხარვეზები, მაგრამ უმნიშვნელო და ყველაფერი წესისა და რიგის მიხედვით წარიმართა.

ჩემთვის, როგორც მწვრთნელისთვის, რომელიც ძირითადად ბავშვთა ჩოგბურთში მოღვაწეობს, მეტად მნიშვნელოვანი იყო ამ ტურნირის შედეგები: როგორი თაობა მოდის, რა პერსპექტივები გვაქვს და ვისზე შეიძლება სწორება. სიამოვნებით მსურს აღვნიშნო, რომ ქართულ ჩოგბურთს შესანიშნავი მომავალი ეზრდება. ცხადია, ტურნირის გამარჯვებულებს პატივი ერგებათ და მეც მივესალმები მათ შემართებას, მაგრამ არის რამდენიმე ჩოგბურთელი, რომელთა აღნიშვნაც აუცილებლად მიმაჩნია იმის მიუხედავად, რომ გამარჯვებულები ვერ გახდნენ. მაგალითად, **გიორგი მახარაშვილზე** მოგახსენებთ. გიორგიმ წლეულს მარტში აიღო პირველად ჩოგანი ხელში. 16 წლის ახლახან გახდა და ასეთ ასაკში ჩოგბურთში კარგი შედეგის ჩვენება თითქმის წარმოუდგენელია. გიორგიმ კი ეს მოახერხა და მხოლოდ მერვედფინალში დამარცხდა რუს **დანიილ კვანთან**. ამ ბიჭს შესანიშნავი მომავალი აქვს.

მეტის თქმა შემიძლია 7 წლის **სანდრო ჭადაშვილზე**. ამ ბიჭზე თქვენი გაზეთი რამდენიმე ხნის წინათ წერდა. სანდროს სულ ერთი წელიწადია, ჩოგანი უჭირავს ხელში და ერთი თვის წინათ ორი და სამი წლით უფროსებთან მოუწია გაჯიბრება. მისთვის ეს ტურნირი პირველი იყო კარიერაში და თითქოს არანაირ შედეგს არ უნდა დავლოდებოდით, მაგრამ ყველას გასაკვირად, სანდრომ საუკეთესო რვიანში შესვლა მოახერხა და სპეციალისტთა ყურადღება მიიქცია - ბათუმში გაიმეორებდა თუ არა ერთი თვის წინანდელ შედეგს. გაიმეორა კი არა, გადააჭარბა კიდეც მოლოდინს - ნახევარფინალში გავიდა. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში სანდრო დამარცხდა **ალექსანდრე მეტრეველის** შვილიშვილ **ირაკლი მეტრეველთან**. ირაკლიც კარგი ბიჭია, მაგრამ სანდროზე სამი წლით უფროსი გახლავთ.

მე, როგორც სპეციალისტი, სანდროს შედეგით იმიტომაც ვარ აღფრთოვანებული, რომ პირველად ითამაშა ჰარდისსაფარიან კორტზე. მოგეხსენებათ, ჩოგბურთელებში დიდი მნიშვნელობა აქვს საფარს - ვიღაც თიხნარზე გრძნობს თავს კარგად, ვიღაც ბალახზეა გამეცადინებული, მავანი კი ჰარდს ამჯობინებს. სანდროს აქამდე მხოლოდ თიხნარი ჰქონდა დაგემოვნებული და ნამდვილად არ ველოდი მის ესოდენ წარმატებას ბათუმში. რახან ესეც შეძლო, კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა საკუთარ ნიჭიერებაში.

ასეთივე კმაყოფილებით მსურს გამოვარჩიო 12-წლამდელებში მოთამაშე **ლევან ფაშიაშვილი**. ლევანიც დიდი ხანი არ არის, რაც ჩოგბურთს მისდევს, მაგრამ ნიჭის წყალობით თავის ასაკში ერთ-ერთ ლიდერად იქცა. ბათუმშიც ველოდი მის კარგ თამაშს, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ტურნირზე სომხები და რუსებიც ჩამოვიდნენ და ლევანი მეოთხედფინალში **მიქაელ ავეტისიანთან** დამარცხდა; მიქაელმა საბოლოოდ მოიგო კიდეც ტურნირი და, სხვათა შორის, საკმაოდ იოლად - ფინალში **გიორგი დათაშვილი** ორ სეტში 6:1, 6:2 დაამარცხა.

სამაგიეროდ, ლევანმა ბათუმში წაგების ჯავრი გრიგოლეთში იყარა, სადაც ჩატარდა ტურნირი სახელწოდებით - „ანდამატის თასი". მართალია, ამჯერად მიქაელ ავეტისიანს არ უთამაშია, მაგრამ წინა ტურნირში მოთამაშეთა დიდმა ნაწილმა მოსინჯა ძალები. ასეთ კამპანიაში გამარჯვება ნამდვილად არ იყო პატარა საქმე.

ერთი სიტყვით, თუ ამ ბავშვებს სათანადო ხელშეწყობა და ყურადღება ექნებათ, უმაღლესი დონის ჩოგბურთელებად ჩამოყალიბდებიან. იმედი მაქვს, რომ მათი ნიჭის დამფასებლები ჩვენში აუცილებლად გამოჩნდებიან.

ბოლოს დავძენ, რომ ტურნირი წარსულში ცნობილი აჭარელი ჩოგბურთელების **ვიტალი ასათიანისა** და **ნიაზ ჟორდანიას** სახელს ატარებდა.

**ზვიად შათირიშვილი**

# ფინალი დათმო



სოფიო ქვაცაბაია

20 წლის **სოფიო ქვაცაბაია** (695) მაროკოს ქალაქ რაბათში ახლოს იყო კარიერაში პირველი ტიტულის მოპოვებასთან. სოფიო წყვილთა თანრიგში უკეთ თამაშობს, სადაც ის მსოფლიო კლასიფიკაციაში 541-ე პოზიციაზეა. ქართველი მესამედ გავიდა ტურნირის ფინალში (სამჯერვე ეს წყვილთა თანრიგში შეძლო) და მესამედ დამარცხდა. რაბათის ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირში (10 ათასი დოლარი) ქვაცაბაია რუს **ავგუსტა ციბიშევასთან** ერთად მე-2 ნომრად იყო განთესილი. შეჯიბრების ფავორიტებმა ფინალამდე სამი დაძაბული მატჩი მოიგეს, ფინალში კი ისინი იტალიელ **საბინოს** და მაროკოელ **ელ ალამის** დაუპირისპირდნენ, მე-3 ნომრად განთესილ წყვილს. სამწუხაროდ, სოფიომ და ავგუსტამ ვერაფერი დაუპირისპირეს მეტოქეებს – 0:6, 3:6. ფინალში გასვლა ქართველ ჩოგბურთელს წყვილთა კლასიფიკაციაში ხუთასეულში შესვლისთვის ეყოფა.

ერთწლიანი იძულებითი პაუზის შემდეგ 21 წლის **სოფიო მელიქიშვილმა** (1019) საუკეთესო ტურნირი ჩაატარა – მელიქიშვილმა სენტ ჯოზეფის საერთაშორისო ტურნირში (10 ათასი დოლარი) იყოჩაღა. მეოთხედფინალში გასული ქართველი სამ სეტში გაუსწორდა ამერიკელ **ჩიე-იუ ჰსუს** – 6:3, 1:6, 6:1. სოფიო ნახევარფინალში შეაჩერეს, მას ბრიტანელმა **ემილი ვებლეი-სმითმა** (801) მოუგო – 2:6, 6:3, 2:6.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ავტოსპორტი. ნოსტალგია

# ფორმულა 3-ის პიონერები საქართველოში

ამ ბოლო დროს ადრეული წლებისადმი ნოსტალგიური გრძნობა დამეუფლა. ეს ნოსტალგია საქართველოში ფორმულის ტიპის მანქანებით რბოლას და აქ მოასპარეზე ავტომრბოლელებს ეხება. არასდროს დამავიწყდება ის მღელვარება, როცა 80-იანი წლების ბოლოს, კერძოდ, 1989 წელს, ზაფხულის ერთ კვირა დღეს, რუსთავის ავტოდრომს ვუახლოვდებოდი და შორიდან ძრავების ხმა მომესმა. ერთი სული მქონდა, როდის მივიდოდი ტრასამდე, რომ მენახა, რომელი მანქანის ძრავას ჰქონდა ასეთი დამახასიათებელი, გამაყრუებელი, მაგრამ სასიამოვნო, სიმძლავრის მომასწავებელი ხმა.

ტრასამდე არმისულმა შევამჩნიე, როგორ ვარჯიშობდა ერთი ავტომრბოლი, რომელიც იჯდა მანქანაში, რასაც მანქანას ვერც დაარქმევდი. ეს იყო რკინის მილებისგან შემდგარი რაღაც კორპუსი, რომელსაც ჰქონდა ოთხი ბორბალი, ძრავა და სპოილერი. პილოტი ამ რკინებში იჯდა უმუზარადოდ და პედლებზე ფეხების დაჭერით ამოწმებდა მანქანას. პილოტმა რამდენიმე „სიურპლასი" ან „დონათსი „ (ადგილზე მოტრიალება) შეასრულა და იმ ადგილისკენ გაემართა, რასაც ბოქსებისა და დახურული პარკის ერთიან კომპლექსს უწოდებენ. დახურულ პარკში მისულმა აღმოვაჩინე, რომ პილოტს მექანიკოსი ელოდებოდა, ვისაც ხელში რაღაც სახურავის მაგვარი ეჭირა, რომელშიც გამოჭრილი იყო სპეციალური ხვრელი, რაც იმ ადგილს ეხურებოდა, სადაც პილოტი იჯდა. (ე.წ. კოკპიტი). მოგვიანებით, როცა ავტომრბოლმა ადგილი მიატოვა და მექანიკოსის დასახმარებლად წავიდა, მანქანას მივუახლოვდი, რათა უფრო გულდასმით დამეთვალიერებინა. კიდევ კარგი, ხელს არავინ მიშლიდა და არც არაფერს ვაფუჭებდი. უბრალოდ, ცნობისმოყვარეობამ წამძლია. ჩემთვის ეს ჯერ უცხო ხილი იყო. ყველაფერს ვამოწმებდი: საჭეს, რომელიც ძალიან პატარა მეჩვენა, კოკპიტს, რომელიც ვიწრო ჩანდა. პილოტის დასაჯდომი ადგილი უხეში იყო, გადაცემათა კოლოფის დეტალები და სახელურილია. უკუხედვის სარკეები მოუხერხებელ ადგილას იყო დამაგრებული.

მოგვიანებით, ჩემ თვალწინ, ბოქსებიდან ჯერ თეთრი ფერის ბოლიდი გამოაგორეს, მერე შინდისფერი, მესამე - წითელი, შავი და ა.შ. ყველა ტრასისკენ გაემართა, სადაც საკვალიფიკაციო რბოლები უნდა გამართულიყო, რის შემდეგაც ოფიციალური დიდი პრიზი უნდა გვეხილა. მე კოკპიტზე წარწერებს ვკითხულობდი და ჩემთვის ვიმეორებდი, **ზურაბ ბეჟაშვილი, სანდრო მირიანაშვილი, ლაშა ჩხაიძე, დავით წიკლაური, ვიქტორ ბაგრამოვი**...

რუსთავის ავტოდრომზე ბევრი ისეთი ადამიანის ასპარეზობა ვნახე (სახელი და გვარი კარგად დავიმახსოვრე), რომელთა გახსენებაც და უფრო ახლოს გაცნობაც რამდენიმე წლის მერე მომიხდა ტელევიზიაში მუშაობის დროს. ამ ნაცნობობით დღესაც ვამაყობ. არ აქვს მნიშვნელობა იმას, პილოტი უცხოელი იყო თუ ქართველი, მათგან ბევრი რამ ვისწავლე.

ერთხელ ფეხბურთზე სატელევიზიო გადაცემას ვუყურებდი და ერთი ფრაზა ძალიან მომეწონა, არ მახსოვს ვინ თქვა, მაგრამ ასე ჟღერდა: „მე, საერთოდ, „ბარსელონის" გულშემატკივარი ვარ, მაგრამ როცა „ბარსა" და მადრიდის „რეალი"ერთმანეთის წინააღმდეგ თამაშობენ, ჩემდაუნებურად, ორივეს ვგულშემატკივრობ, კარგი თამაშის ნახვა მსურს და იმიტომო. იმ დროს მისთვის სულერთი იყო, ვინ მოიგებდა. ზუსტად ასე ვფიქრობდი მაშინ, როცა ფორმულა 1-ის რბოლები ვნახე პირველად და გავიცანი დიდი ოთხეული: **აირტონ სენა, ალენ პროსტი, ნაიჯელ მენსელი** და **ნელსონ პიკე**.

ასე ვფიქრობდი მაშინაც, როცა პირველად წავედი ქართული ფორმულა 3-ის რბოლების გადასაღებად რუსთავის ავტოდრომზე. პილოტებმა მანქანები სასტარტო ბილიკზე კვალიფიკაციაში ნაჩვენები შედეგების მიხედვით განალაგეს. დაიწყო რბოლა, ლიდერიც გამოიკვეთა, მაგრამ სწორედ ამ დროს გამოვიჭირე ჩემი თავი იმაში, რომ გამორჩეულად რომელიმეს მოგება არ მსურდა. ჩემთვის სულერთი იყო, ვინ გაიმარჯვებდა. ყველას წარმატება გამიხარდებოდა. ისინი ხომ საქართველოში ფორმულა 3-ის პიონერები იყვნენ. ვიცოდი, რომ რბოლის შემდეგ, ინტერვიუს აღებას ჩემთვის მანქანის კოკპიტში ადგილის დათმობა მოჰყვებოდა, გადაცემის ორიგინალურად დაწყების მიზნით. უნდა მოგახსენოთ, რომ ბოლიდის კოკპიტი მართლა ვიწრო აღმოჩნდა ჩემთვის, თუმცა მძიმეწონოსანი არასდროს ვყოფილვარ. კოკპიტის მორგების შემდეგ აღმოვაჩინე, რომ ასეთი ტიპის მანქანისთვის მაღალიც ვარ. წესით მხოლოდ კისერი და შლემიანი თავი უნდა გიჩანდეს, მე კი მხრებიც ზემოთ მქონდა ამოწეული. მოკლედ, ბევრი ვიხალისეთ მე და ოპერატორმა, აპარატურა ავკრიფეთ და მეგობარ პილოტებს მომდევნო რბოლამდე დავემშვიდობეთ. იმ პილოტებიდან ზოგი ისევ განაგრძობს ასპარეზობას, ზოგი უცხოეთშია და ავტომრბოლობისთვის აღარ სცალია, თუმცა როგორც ვიცი, არც ერთ დიდ პრიზს უნახავს არ ტოვებს. არის კიდევ ერთი ადამიანი, **დავით რამიშვილი**, რომელმაც ქართველებიდან პირველმა გადადგა ნაბიჯი საერთაშორისო არენისკენ. გერმანულ „ნიურბურგრინგზეც" კი იასპარეზა, როგორც მახსოვს. ახლა იშვიათად ჩნდება ავტოდრომებზე, რაც, ალბათ, ფინანსური პრობლემების ბრალია. ავტორბოლა ხომ სპორტის ძვირადღირებული სახეობაა. ძლიერი დამფინანსებლის გარეშე აქ ვერაფერს გახდები.

**დავით ჩუბინიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობა. მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი

# მედალი ოთხი – გუნდური მესამე


გიორგი მარსაგიშვილი (მარცხნივ)


ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (მარჯვნივ)

სტამბოლში ახალგაზრდა მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ქართველმა თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა გაცილებით უკეთ იასპარეზეს, ვიდრე „კლასიკოსმა" თანამემამულეებმა. 84 კილოგრამ წონით კატეგორიაში ვერცხლის მედალი მოიპოვა **ბექა ჭელიძემ,** ხოლო **ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა** (50), **გიორგი მარსაგიშვილმა** (74) და **ლევან ბერიანიძემ** (120) მკერდი ბრინჯაოს მედლებით დაიმშვენეს. შეგახსენებთ, რომ ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა საქართველოს ნაკრები უმედლოდ დარჩა.

50 კგ. წონით კატეგორიაში ერთ-ერთი ყველაზე იმედისმომცემი მოჭიდავე გავიყვანეთ ხალიჩაზე – 17 წლის ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა ამ ზაფხულს უკვე ორჯერ მოასწრო ევროპის ჩემპიონობა, ჯერ 18-წლამდელებში, შემდეგ კი ორი წლით უფროსებში. იმავეს გამეორება მსოფლიოს ჩემპიონატზე უკვე საოცრება იქნებოდა. ვლადიმერმა ძალა და ოსტატობა არ დაიშურა ამისთვის, პირველ წრეში მან ინდონეზიელი **იოლანდ პუტრა** დაამარცხა ძალზე იოლად – 6:0, 7:0. მეორე წრეში ხინჩეგაშვილმა ვენესუელელ **რამონ რივეროს** აჯობა, რომელიც ბეჭებზე გააკრა – 10:1. მესამე წრეში ქართველი ფალავანი მომავალ მსოფლიოს ჩემპიონს, მასპინძელ **აჰმეთ პეკერს** შეხვდა. შეიძლება ითქვას, რომ პირველი პერიოდი მას მსაჯებმა წააგებინეს – 0:1, მეორეში ვლადიმერმა იმარჯვა – 3:0, მესამეში კი ძალზე დაძაბული პერიოდი აჰმეთის გამარჯვებით დასრულდა – 0:1, 3:0, 2:3. ეს შეხვედრა ალბათ ფინალს დაამშვენებდა.

რეპეშაჟში ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა თურქის ჯავრი ირანელ **ფარზად ჯაფარიზე** იყარა – 3:3, 2:0 და მესამე ადგილისთვის ჭიდაობის უფლება მოიპოვა. მედლისთვის ბრძოლაში ჩვენებურმა უზბეკი **ოზბეკ კამაროვი** დაამარცხა – 3:3, 8:1, 4:1.

55 კგ. წონით კატეგორიაში **დავით ბერძენიშვილი** პირველ წრეში დამარცხდა უზბეკ **ფერუზ ნუსრატოვთან** – 0:4, 0:1. ამით ბერძენიშვილისთვის მსოფლიოს ჩემპიონატი დასრულდა.

60 კგ. წონით კატეგორიაში მოგებით დაიწყო **გიორგი მაყიშვილმა,** რომელმაც ავსტრალიის სახელით მოასპარეზე **მეჰრდად ტარაში** დაამარცხა – 5:2, 6:0. მეორე წრიდან ჩვენებურმა რუსი **ტიმურ პესტეროვი** გააგდო – 0:1, 2:0, 3:0. ქართველი კუბელმა **ალეხანდრო ვალდესმა** გააჩერა – 0:2, 1:4. რეპეშაჟში მაყიშვილმა სლოვაკ **რობერ ოლეს** მოუგო – 4:0, 3:3, 2:0. ბრინჯაოს მედლისთვის მატჩში ქართველი უკრაინელ **ლიბომირ სიმაკს** გადაეყარა, დაძაბული, სამპერიოდიანი ორთაბრძოლა სლავმა მოიგო – 3:0, 2:2, 0:2.

66 კგ. წონით კატეგორიაში **ზაურ აბრამიშვილი** პირველ წრეში ისვენებდა, მეორეში ის ავსტრალიელ **ნიკოლას პორიოტისს** გაუსწორდა – 6:0, 7:0. ჩვენებურმა ტაჯიკ **იგნატი ანდროსოვსაც** აჯობა – 2:0, 2:1. მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში ქართველი ფალავანი მოლდოველ **ევგენი ნემედეალკოსთან** ორთაბრძოლაში დამარცხდა – 1:0, 0:4, 0:6.

74 კგ. წონით კატეგორიაში ბრინჯაოს მედალი მოვიპოვეთ, გიორგი მარსაგიშვილმა მოგებით კი დაიწყო ასპარეზობა (მან ყაზახი **რუსლან რაზბეკოვი** დაამარცხა – 5:0, 6:1), მაგრამ შემდეგ ჩვენებური რუს **მაგომედ ზუბაიროვთან** დამარცხდა – 1:2, 0:1. მარცხის მიუხედავად, ქართველმა ძალები მოიკრიბა და რეპეშაჟი იოლად გაიარა. ჯერ უკრაინელ **მაქსიმ მალვიგინს** აჯობა – 1:1, 1:0, შემდეგ – ინდოელ **კლუბირ სინგჰ რანას** – 1:1, 3:1. მესამე ადგილისთვის ორთაბრძოლაში ქართველმა უზბეკი **არტიომ პრისვაინიუკი** დაამარცხა – 0:5, 5:3, 8:2.

84 კგ. წონით კატეგორიაში ბექა ჭელიძემ ფინალამდე ოთხი ორთაბრძოლა მოიგო. პირველ წრეში ჩვენებურმა **ნარეშ კუმარი** (ინდოეთი) დაამარცხა – 7:0. მეორე წრეში მან ლატვიელ **ანტანს აზარევიჩსს** მოუგო – 8:1, 1:1, 3:1. ორ პერიოდში მოუგო ჭელიძემ აზერბაიჯანელ **ასლანბეკ ალბოროვს** – 4:0, 1:0. ნახევარფინალში ბექას მეტოქე **მაიკ ლეტსი** (აშშ) იყო. ქართველმა ამერიკელსაც ორი პერიოდი აკმარა – 2:0, 3:0. ასე მივიდა ბექა ჭელიძე ფინალამდე, სადაც მას რუსი **აბდუსალამ გადისოვი** დაუპირისპირდა. სამწუხაროდ, რუსი ფალავანი უფრო ძლიერი აღმოჩნდა - 0 4, 0:1. საქართველოს ნაკრები ვერცხლის მედლით დაკმაყოფილდა.

96 კგ-ში **გიორგი ჩიქოვანი** ბერძენ **არის თეოდორუდისს** გაუსწორდა – 3:1, 6:0. მეორე წრეში გიორგი ირანელ **კომეილ ღასემისთან** დამარცხდა – 0:1, 0:1.

120 წონით კატეგორიაში ლევან ბერიანიძემ აზერბაიჯანელ **მიხაილ გაზაევს** აჯობა – 1:0, 1:3, 2:1, შემდეგ ჩვენმა ფალავანმა ირანელ **ამირ ღასემისაც** მოუგო – 2:1, 4:2. მესამე წრეში ბერიანიძე კუბელ **ელიერ რომეროსთან** დამარცხდა – 0:1, 2:0, 0:1.

კუბელი ფინალში გავიდა, ლევან ბერიანიძე კი რეპეშაჟში გადაერთო, სადაც ის გერმანელ **ნიკ მატუხინს** გაუსწორდა – 2:2, 2:0. ასე გაალწია ქართველმა მძიმეწონოსანმა ბრინჯაოს მედლისთვის მატჩში, სადაც მას ინდოელი **ჰიტეში** შეხვდა. ქართველმა ორ პერიოდში, 3:0, 2:0, მოიგო და მედალს დაეუფლა.

საბოლოო ჯამში საქართველოს ნაკრებმა გუნდურ ჩათვლაში 41 ქულა დააგროვა, რაც მესამე ადგილს ეყო. პირველ ადგილზე რუსეთის ნაკრები გავიდა 69 ქულით, მეორეზე კი ირანი – 49 ქულა.

### კვარცხლბეკი

50 კგ: 1. აჰმეთ პეკერი (თურქეთი); 2. მიხაილ ივანოვი (რუსეთი); 3. **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (საქართველო); 3. ნითინი (ინდოეთი)

55 კგ: 1. ნარიმან ისრაპილოვი (რუსეთი); 2. ჰასან რაჰიმი (ირანი); 3. სტოიან ცონევი (ბულგარეთი); 3. დამდინბაზარ ცოგთბაათარი (მონღოლეთი).. 23. **დავით ბერძენიშვილი** (საქართველო).

60 კგ: 1. მასუდ ესმაელპური (ირანი); 2. ალეხანდრო ვალდესი (კუბა); 3. მუჰამეთ დემირი (თურქეთი); 3. ლიბომირ სიმაკი (უკრაინა).. 5. **გიორგი მაყიშვილი** (საქართველო).

66 კგ: 1. მაგომედმურად გაჯიევი (რუსეთი); 2. ჟაბრაილ ჰასანოვი (აზერბაიჯანი); 3. იხტიორ ნავრუზოვი (უზბეკეთი); 3. პურევიავ უნურბათი (მონღოლეთი).. **9. ზაურ აბრამიშვილი** (საქართველო).

74 კგ: 1. მაგომედ ზუბაიროვი (რუსეთი); 2. საედ ზავაკოლი (ირანი); **3. გიორგი მარსაგიშვილი** (საქართველო); 3. ქვენთინ რაიტი (აშშ).

84 კგ: 1. აბდუსალამ გადისოვი (რუსეთი); 2. **ბექა ჭელიძე** (საქართველო); 3. უმიჯონ ისმანოვი (უზბეკეთი); 3. მაილ ლეტსი (აშშ).

96 კგ: 1. ალენ ზასეევი (რუსეთი); 2. შამილ დიბიროვი (უკრაინა); 3. კლეიტონ ფოსტერი (აშშ); 3. კომეილ ღასემი (ირანი).. 11. **გიორგი ჩიქოვანი** (საქართველო).

120 კგ: 1. სოსლან გაგლოევი (რუსეთი); 2. ელიერ რომერო (კუბა); 3. **ლევან ბერიანიძე** (საქართველო); 3. ნობუიოში არაიდა (იაპონია).

კალათბურთი. U18

# მეცამეტეზე

2 აგვისტო

**საქართველო-ბოსნია 84:78**

15:12, 23:17, 31:20, 15:29

| საქართველო | ნთ | ქ | მ | პ | ჩ | დ | შ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| მეტრეველი | 22 | 18 | 4 | 0 | 0 | 0 | 2 |
| ძიძიგური | 6 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ჩიკვილაძე | 17 | 4 | 2 | 2 | 3 | 0 | 0 |
| შენგელია | 24 | 8 | 4 | 1 | 1 | 1 | 4 |
| ჩაჩიბაია | 14 | 5 | 2 | 2 | 2 | 0 | 1 |
| ნანიტაშვილი | 24 | 7 | 3 | 3 | 2 | 0 | 2 |
| ტომარაძე | 26 | 11 | 5 | 3 | 2 | 0 | 2 |
| თავართქილაძე | 9 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 | 5 |
| მაისურაძე | 34 | 22 | 11 | 2 | 4 | 1 | 1 |
| ჯგერენაია | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 0 | 1 |
| შარაბიძე | 18 | 5 | 3 | 1 | 1 | 0 | 1 |

3 აგვისტო

**საქართველო-ბელარუსი 86:66**

20:17, 19: 13, 24:17, 23:19

| საქართველო | ნთ | ქ | მ | პ | ჩ | დ | შ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| მეტრეველი | 25 | 20 | 12 | 0 | 1 | 2 | 1 |
| ძიძიგური | 12 | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 |
| ჩიკვილაძე | 17 | 20 | 1 | 1 | 2 | 0 | 1 |
| შენგელია | 11 | 3 | 1 | 1 | 2 | 1 | 3 |
| ჩაჩიბაია | 21 | 4 | 2 | 1 | 3 | 0 | 2 |
| ნანიტაშვილი | 15 | 0 | 3 | 2 | 1 | 0 | 2 |
| ტომარაძე | 19 | 4 | 0 | 0 | 1 | 0 | 4 |
| თავართქილაძე | 18 | 12 | 2 | 4 | 4 | 0 | 3 |
| მაისურაძე | 17 | 9 | 3 | 0 | 0 | 1 | 4 |
| ჯგერენაია | 23 | 6 | 6 | 0 | 1 | 0 | 4 |
| ლომოური | 8 | 2 | 3 | 2 | 0 | 0 | 1 |
| შარაბიძე | 15 | 2 | 3 | 1 | 2 | 1 | 1 |

**მიხეილ კოზეშავიძის** 18-წლამდელთა ნაკრების ამოცანა უნგრეთის ქალაქ დებრეცენში ევროპის ჩემპიონატის A დივიზიონის საგზურის მოპოვება იყო. გუნდმა კი ისე ცუდად ითამაშა, რომ საბოლოოდ მე-13 ადგილს დასჯერდა. ისიც, ბოლო ორი დღის მობილიზაციის წყალობით. შაბათს საქართველოს ნაკრები ბოსნია-ჰერცეგოვინის გუნდს ხვდებოდა, მოგების შემთხვევაში ჩვენები მე-13 ადგილისთვის მატჩში ითამაშებდნენ, თუ წააგებდნენ, ტურნირის ბოლო დღეს მე-15 ადგილისთვის მოუწევდათ ოფლისღვრა. ამჯერად ჩვენებმა იმარჯვეს – ისინი სამი მეოთხედის განმავლობაში ერთი თავით სჯობდნენ ბოსნიელებს და მხოლოდ ბოლო მეოთხედში მისცეს მეტოქეს თავისუფლად თამაშის საშუალება. სხვათა შორის, ეს მეოთხედი ჩვენებმა 14 ქულის სხვაობით წააგეს და, რომ არა ქულათა დიდი მარაგი, ბოსნია 6 ქულაზე მეტად შეძლებდა მოახლოებას.

მეორე ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩში ქართველთა ლიდერ **ნიკა მეტრეველს** არ უთამაშია, თუმცა ბოსნიელებთან ის მოედანს დაუბრუნდა და გუნდს 18 ქულით და 4 მოხსნით შეეწია. ჩვენებში საუკეთესო მძიმე ფორვარდი **დავით მაისურაძე** იყო, ვის ანგარიშზეც ორმაგი დუბლია – 22 ქულა და 11 მოხსნა. **კოკა ტომარაძემ** 11 ქულა მიითვალა.

გუშინ საქართველოს თვრამეტწლამდელთა ნაკრები ბელარუსს შეხვდა, როგორც ორი დღის წინათ, ჩვენებმა ახლაც მოიგეს, თანაც უფრო დამაჯერებლად – 86:66. ამ მატჩში ჩვენებს მოდუნების საშუალება საკუთარი თავისთვის ბოლო მეოთხედშიც აღარ მიუციათ. მეტრეველმა 25 წუთში ორმაგი დუბლი მიითვალა – 20 ქულა და 12 მოხსნა. მსროლელმა **ბექა ჩიკვილაძემ** 20 ქულა ჩააგდო (სამი სამქულიანი).

U20

# იტალიის დამარცხების მიუხედავად

2 აგვისტო

**საქართველო-იტალია 70:63**

19:22, 19:15, 20:15, 12:11

| საქართველო | ნთ | ქ | მ | პ | ჩ | დ | შ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გულისაშვილი | 22 | 4 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 |
| შენგელია | 30 | 10 | 10 | 2 | 1 | 2 | 0 |
| პირველაშვილი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| წიწივაძე | 32 | 18 | 6 | 1 | 0 | 0 | 3 |
| ცეკვავა | 18 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 3 |
| შერმადინი | 37 | 23 | 11 | 2 | 1 | 4 | 2 |
| გაფრინდაშვილი | 29 | 13 | 1 | 6 | 0 | 0 | 3 |
| მათიაშვილი | 13 | 2 | 1 | 1 | 0 | 0 | 4 |
| ფაცაცია | 18 | 0 | 5 | 0 | 2 | 0 | 0 |

3 აგვისტო

**საქართველო-ისრაელი 80:84**

17:25, 25:19, 23:21, 15:19

| საქართველო | ნთ | ქ | მ | პ | ჩ | დ | შ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გულისაშვილი | 35 | 11 | 4 | 3 | 0 | 0 | 3 |
| შენგელია | 31 | 23 | 10 | 1 | 0 | 0 | 2 |
| პირველაშვილი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| წიწივაძე | 38 | 11 | 6 | 1 | 0 | 0 | 1 |
| ცეკვავა | 7 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 |
| შერმადინი | 35 | 21 | 13 | 0 | 1 | 8 | 4 |
| გაფრინდაშვილი | 35 | 7 | 3 | 4 | 2 | 0 | 3 |
| მათიაშვილი | 13 | 6 | 5 | 1 | 0 | 0 | 1 |
| ფაცაცია | 5 | 1 | 2 | 1 | 1 | 0 | 0 |

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები ძალიან ახლოს იყო ჯერ ჯგუფური ეტაპის დაძლევასთან, შემდეგ კი A დივიზიონში სამომავლოდ ადგილის დაბევებასთან. გუშინ ჩვენებს ორჯერ არ გაუმართლათ – ჯერ იტალიელებმა დაამარცხეს თურქები და ქართველებს მეორე ადგილის შანსი მოუსპეს, შემდეგ ისრაელთან მატჩის ფინალურ სასტვენამდე წამებით ადრე ჩვენებმა მხსნელი სამქულიანი ააცილეს და ჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავეს. არადა, შაბათს საქართველოს ნაკრებმა იტალიას მოუგო.

**დავით უსტიაშვილის** ნაკრებმა თურქეთთან მარცხის შემდეგ მობილიზება შეძლო და ყველასთვის მოულოდნელად იტალია დაამარცხა – 70:63. თანაბარ მატჩში თითქმის ყოველთვის წინ საქართველოს ნაკრები იყო, **გიორგი შერმადინი** კი ჩვენს გუნდში საუკეთესო იყო, მან შეხვედრა 23-ქულიანი მონაგარით დაასრულა.

ჯგუფური ეტაპის ბოლო დღეს ისრაელთან მოგება ჰაერივით გვესაჭიროებოდა. თავიდან წინ ებრაელები გავიდნენ, თუმცა თანდათან უსტიაშვილის გუნდი გონს მოვიდა და სამი მეოთხედი 65:65 ანგარიშით დასრულდა. ბოლო წამებზე 80:82-ზე, მას შემდგ რაც ებრაელმა **გალ მეკელმა** სამქულიანი ჩაგვიგდო, ჩვენებმა წუთშესვენების შემდეგ საპასუხო სამქულიანის სროლა სცადეს, უშედეგოდ და შემდეგ ისრაელის ნაკრებმა კიდევ ორი ქულაც მიითვალა – 80:84. საქართველოს ნაკრებს დივიზიონში დარჩენისთვის ბრძოლა ელის. გიორგი შერმადინს სულ ცოტა დააკლდა სამმაგ დუბლამდე – 21 ქულა, 13 მოხსნა და 8 დაფარება. **ნოდარ შენგელიას** ანგარიშზე 23 ქულა და 10 მოხსნაა.

გვერდი მოამზადა **ნიკოლოზ ნეფარიძემ**



ნოდარ შენგელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. პეკინის წინ

# უიღბლო მაშა



მარია დაგვემშვიდობა

მსოფლიოს მესამე ჩოგანი, **მარია შარაპოვა** დაახლოებით სამ თვეში შეძლებს კორტზე დაბრუნებას. ასე რომ, რუსი ჩოგბურთელი არა მხოლოდ პეკინის ოლიმპიადას, არამედ "დიდი სლემის" სერიის ბოლო ტურნირს, აშშ-ის ღია პირველობასაც გამოტოვებს.

ჩვენ უკვე გაუწყეთ იმის შესახებ, რომ მარია პეკინში ვერ ითამაშებს. ამის შემდეგ თავად შარაპოვამ გაავრცელა ასეთი შინაარსის ინფორმაცია: ექიმებმა მას მარჯვენა მხარზე ორი მყესის გაწყვეტა დაუდგინეს. ამასთან, ექიმმა **დევიდ ელჩეკმა** განცვიფრება გამოთქვა იმის გამო, თუ როგორ ახერხებდა თვეების განმავლობაში მარია ასეთი მძიმე ტრავმით თამაშს. ელჩეკმა არც ის გამორიცხა, რომ შარაპოვამ ამ სეზონში საერთოდ ვერ შეძლოს კორტზე გასვლა.

რუსი აცხადებს, რომ ამ კვირის დასაწყისში არიზონაში გაემგზავრება და იქ დაიწყებს სარეაბილიტაციო კურსს.

ყველაზე გასაოცარი ისაა, რომ ექიმების ვარაუდით, მარიამ ტრავმა აპრილში მიიღო, მისმა სამედიცინო გუნდმა კი, ეს დაზიანება ვერ შენიშნა. თუ ეს ვარაუდი მართალია, შარაპოვას ტრავმა ან ამელია აილენდის ან ჩარლსტონის ტურნირზე მიუღია. პირველში მარიამ მთავარი პრიზი მოიგო, მეორეში - მეოთხედფინალში დამარცხდა **სერენა უილიამსთან**. ამ ახალი ინფორმაციის თანახმად, ცხადი ხდება როლან გაროსსა და უიმბლდონზე რუსი ჩოგბურთელის ძალიან სუსტი თამაშის მიზეზი.

მოკლედ, შარაპოვას სამი თვის განმავლობაში ვერ ვიხილავთ კორტზე. ის პირველად კარიერაში გამოტოვებს აშშ-ის ღია პირველობას, არ ითამაშებს ფედერაციის თასის ფინალში და რაც მთავარია, არ იქნება პეკინში, სადაც მამისა და თავისი მენეჯერების აკრძალვის მიუხედავად გამოსვლას აპირებდა.

სამი თვის შემდეგ კი, სეზონი დასრულდება და ჩოგბურთელებს მხოლოდ წლის შემაჯამებელი ტურნირი ექნებათ სათამაშო. სამედიცინო თვალსაზრისით, იქნებ მარიას არ ულირდეს იქ გამოსვლა, მაგრამ რომც მოინდომოს, გამორიცხული არ არის, საერთოდ ვერ მოიპოვოს იქ გასამგზავრებელი საგზური, ვინაიდან უთამაშებლობის პერიოდში 646 სარეიტინგო ქულას დაკარგავს.

ამასობაში კი, გაირკვა, რომ პეკინის ოლიმპიადის საჩოგბურთო ტურნირში მარიას მისივე თანამემამულე **ვერა ზვონარევა** შეცვლის, რომელიც ამჟამად 11-ე ადგილს იკავებს მსოფლიო კლასიფიკაციაში.

ბოლოს, კიდევ ერთი პეკინური დანაკლისის შესახებ. მამაკაცთა სატურნირო ბადიდან ამოვარდა ხორვატი **მარიო ანჩიჩი**, რომელსაც ერთეულთა და წყვილთა თანრიგში ჰქონდა შეტანილი განაცხადი. მარიო ოლიმპიადაზე ტრავმის გამო ვერ იასპარეზებს.

# მედროშეები



როჯერ ფედერერი

როგორც მოსალოდნელი იყო, ოლიმპიადის გახსნის ცერემონიაზე შვეიცარიის ნაკრების მედროშე ლეგენდარული ჩოგბურთელი **როჯერ ფედერერი** იქნება. მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა მსგავსი პატივი ზედიზედ მეორე თამაშებზე მიიღო.

სიმბოლურია, რომ გახსნის დღეს, 8 აგვისტოს, როჯერს 27 წელს უსრულდება. *"განსაცვიფრებელი გრძნობაა, საკუთარ დაბადების დღეზე საკუთარი ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებს წინ მე გავუძღვები. ამ თამაშებზე სერიოზული მიზნები მაქვს და ის, რომ ზედიზედ მეორედ მანდეს ეს საპატიო მისია, კიდევ უფრო მეტ მოტივაციას მაძლევს"*, - განაცხადა ფედერერმა ოლიმპიური თამაშების ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

შვეიცარია ერთადერთი გუნდი არ არის, ვისი მედროშეც ჩოგბურთელი იქნება. ჩილეს ოლიმპიურ გუნდში ანალოგიური პატივი ერგო **ფერნანდო გონსალესს**. შეგახსენებთ, რომ გონსალესი ათენის ოლიმპიადის ერთ-ერთი გმირი გახდა. მან წყვილთა თანრიგში ოქროს მედალი მოიპოვა (**ნიკოლას მასუსთან** ერთად), ერთეულებში კი, ბრინჯაოს მედალს დაეუფლა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

# რაფამ ეს გააკეთა

## 18 აგვისტოს ნადალი სამეფო ტახტს ჩაიბარებს, 11 აგვისტოს იანკოვიჩი დედოფლის გვირგვინს დაიდგამს

სერბმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** შეწყვიტა **რაფაელ ნადალის** 32-მატჩიანი მოგებათა სერია. ეს ცინცინატის მასტერსის ნახევარფინალურ მატჩში მოხდა. მაგრამ ამ ტურნირზე გაცილებით უფრო მასშტაბურ და ისტორიულ მოვლენას ჰქონდა ადგილი. ნადალმა პროგრამა-მინიმუმი შეასრულა, ნახევარფინალში გავიდა, რითაც დაამხო ATP-ის რეიტინგში ფედერერის 4-წლიანი ბატონობა. ესპანელი 18 აგვისტოს ოფიციალურად გამოცხადდება კლასიფიკაციის ახალ ლიდერად.



რაფაელ ნადალი

ნოვაკი და რაფა განსხვავებულ ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ მდგომარეობაში შეხვდნენ ნახევარფინალს. როგორც ვთქვით, ესპანელი ზედიზედ 32 მატჩი არ აგებდა, ამასთან, ეს შეხვედრა მერვე იყო მისთვის, ბოლო კვირა-ნახევრის განმავლობაში. რაც შეეხება ჯოკოვიჩს, ავსტრალიის ჩემპიონი ბოლო პერიოდში ძალიან სუსტად თამაშობდა, სამაგიეროდ, დასვენებული იყო და შესაბამისად, ენერგიაც მეტი ჰქონდა.

ამ ჩოგბურთელების შეხვედრათა პირადი ანგარიში - 9:3 იყო რაფაელის სასარგებლოდ. თუმცა ამერიკულ ჰარდზე ჩატარებულ მატჩებში ჯოკოვიჩი ლიდერობდა - 3:1. რა თქმა უნდა, ცინცინატის საჩოგბურთო · სტადიონის ტრიბუნები მთლიანად სავსე იყო. მოთელვის დროს მაყურებლებს ნადალი მომავალი პირველი ჩოგანის რანგში წარუდგინეს, რასაც ამერიკელების ხანგრძლივი აპლოდისმენტები მოჰყვა.

ჯოკოვიჩს ბრწყინვალე სტარტი გამოუვიდა. პირველი ორი გეიმი ნულზე მოიგო. მართალია, მომდევნო გეიმებს უფრო რთულად იღებდა, მაგრამ ამის მიუხედავად, თამაშის დაწყებიდან ნახევარი საათის შემდეგ, ანგარიში 5:0 იყო. "ჯოკერმა" უპრობლემოდ მიიყვანა პარტია მოგებამდე - 6:1.

მეორე სეტში ნადალი საკუთარ მოწოდებაზე უფრო ყურადღებით ათამაშდა, სერბს კი პირიქით, უფრო და უფრო უჭირდა ესპანელის შეტევების მოგერიება. რაფა ფენომენალურ დარტყმებს ასრულებდა და მეტოქისგანაც კი იმსახურებდა აპლოდისმენტებს. სეტის შუაში ესპანელმა პირველი ბრეიკ-პოინტი მიიღო, მაგრამ შანსი ვერ გამოიყენა. ცოტა ხანში კი აშკარად დაღლა დაეტყო, რითაც ჯოკოვიჩმა მეორე პარტიის ბოლოს ისარგებლა. 11-ე გეიმში სერბმა ძალიან მოუმატა ტემპს, მეტოქეს შეცდომები დააშვებინა და გადამწყვეტი ბრეიკიც მოიპოვა. რა თქმა უნდა, რაფა ოპტიმალურ ფიზიკურ ფორმაში რომ ყოფილიყო, ამდენ შეცდომას არ დაუშვებდა, მაგრამ იმ დღეს ესპანელი მოწინააღმდეგეზე ცუდად იყო მომზადებული.

პრესკონფერენციაზე ნადალი განაწყენებული სულაც არ ჩანდა: *"ტორონტოში გამარჯვება და ცინცინატიში ნახევარფინალში გასვლა შესანიშნავი შედეგია. კარიერაში საუკეთესო საჰარდო სეზონი ჩავატარე და ამით ძალიან კმაყოფილი ვარ. ნოვაკმა უნაკლოდ ითამაშა პირველი სეტი. მეორეში იყო რამდენიმე ეპიზოდი, როცა ვგრძნობდი, რომ მასზე კარგად ვთამაშობდი. სწორედ ამ პარტიაში იმაზე უკეთესი თამაში ვაჩვენე, ვიდრე წინა წრეებში. ამიტომაც კმაყოფილი ვტოვებ ტურნირს"*.

ჯოკოვიჩი ფინალში **ენდი მიურეის** ხვდება და იოლი გასეირნება სულაც არ ელის. წინა კვირას სწორედ ბრიტანელმა მოუგო სერბს ტორონტოს მასტერსზე. ენდი პირველად გავიდა ასეთი დონის ტურნირის ფინალში. ამჯერად მისი მსხვერპლი ხორვატი **ივო კარლოვიჩი** გახდა, რომელმაც, თავის მხრივ, გზიდან თვით **როჯერ ფედერერი** ჩამოიცილა.

მიურეიმ ორივე სეტში თითოჯერ წააგო გეიმი თავის მოწოდებაზე, სამაგიეროდ, ოთხი ბრეიკი შეასრულა, რაც ეისების ოსტატის, ორმეტრიანი კარლოვიჩის წინააღმდეგ ურთულესი საქმეა.

მიუხედავად ჯოკოვიჩთან ფინალის შედეგისა, ბრიტანელი ორშაბათიდან კლასიფიკაციის მეექვსე ნომერი გახდება.

■ ■ ■

უფრო ადრე, 11 ოქტომბერს გახდება რეიტინგის პირველი ნომერი სერბი **ელენა იანკოვიჩი**. მართალია, მან პირწმინდად წააგო მონრეალის ტურნირის მეოთხედფინალი სლოვაკ **დომინიკა ციბულკოვასთან**, მაგრამ ორ კვირაში მაინც შეიძლებს WTA-ის რეიტინგში თანამემამულე **ანა ივანოვიჩის** ჩანაცვლებას.

მონრეალში 19 წლის ციბულკოვამ ქალთა ელიტაში შესვლაზე სერიოზული განაცხადი გააკეთა. ფრანგი **გაელ მონფილსის** გერლფრენდმა ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხა **ელენა დემენტიევა, ნადია პეტროვა**, ელენა იანკოვიჩი და **მარიონ ბარტოლი**.

WTA-ის ტურს რომ აღიარებული ლიდერი აღარ ჰყავს, ამის შესახებ ერთ-ერთ წინა მიმოხილვაში ვისაუბრეთ. ამით ყველაზე კარგად რუსი **დინარა საფინა** სარგებლობს, რომელსაც 11 მაისიდან მოყოლებული, 30 მატჩში 27 მოგება დაუგროვდა. **მარატ საფინის** დამ, წინა კვირას ლოს ანჯელესის ტურნირი მოიგო და ახლა მონრეალის მთავარ პრიზსაც უმიზნებს.

### ATP

**ცინცინატის მასტერსი**

ცინცინატი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 2 615 000 დოლარი

**1/4 ფინალი**

**რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-ნიკოლას ლაპენტი (ეკვ) 7:6 (3), 6:1; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 3)**-ერნესტ გულბისი (ლატ) 6:3, 6:4; **ენდი მიურეი (ბრიტ, 8)**-კარლოს მოია (ესპ) 2:6, 6:3, 6:1; **ივო კარლოვიჩი (ხორ, 16)**-ფილიპ კოლშრაიბერი (გერ) 7:6 (6), 7:6 (3).

**1/2 ფინალი**

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 3)**-რაფაელ ნადალი (ესპ, 2) 6:1, 7:5; **ენდი მიურეი (ბრიტ, 8)**-ივო კარლოვიჩი (ხორ, 16) 6:4, 6:4.

### WTA

**Rogers Cup**

მონრეალი (კანადა). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 1 340 000 დოლარი

**1/4 ფინალი**

**დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ)**-ელენა იანკოვიჩი (სერ, 2) 7:5, 6:2; **დინარა საფინა (რუს, 7)**-სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 4) 2:6, 6:3, 6:2; **მარიონ ბარტოლი (საფ, 10)**-აი სუგიამა (იაპ) 6:2, 6:3; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 11)**-ტამირა პაჩეკი (ავსტრია) 6:4, 7:5.

**1/2 ფინალი**

**დინარა საფინა (რუს, 7)**-ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 11) 6:0, 2:6, 6:3; **დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ)**-მარიონ ბარტოლი (საფ, 10) 4:6, 6:4, 6:3.

**Nordic Light Open**

სტოკჰოლმი (შვედეთი). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 145 000 დოლარი

**1/4 ფინალი**

აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 1)-კამილ პინი (საფ) 6:2, 1:0 პინის უარი; **კატარინა სრებოტნიკი (სლოვენ, 3)**-ვირხინია რუანო პასკუალი (ესპ) 6:2, 6:0; **კაროლინ ვოზნიაჩკი (დან, 4)**-ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ, 5) 6:1, 6:3; **ვერა დუშევინა (რუს)**-ივეტა ბენეშოვა (ჩეხ) 6:3, 6:3.

**1/2 ფინალი**

**კაროლინ ვოზნიაჩკი (დან, 4)**-აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 1) 6:4, 6:1; **ვერა დუშევინა (რუს)**-კატარინა სრებოტნიკი (სლოვენ, 3) 6:1, 6:2.

**ფინალი**

**კაროლინ ვოზნიაჩკი (დან, 4)**-ვერა დუშევინა (რუს) 6:0, 6:2.



ელენა იანკოვიჩი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი. IBF-ის ვერსია. სატიტულო ბრძოლა

# არის ახალი ჩემპიონი



ჯუდამ (მარჯვნივ) ბოლოს იომა, მაგრამ მაინც წააგო

შაბათს ლას ვეგასში IBF-ის ვერსიით ნახევრადსაშუალო წონაში (66.7 კგ) მსოფლიოს ჩემპიონის ვაკანტური ტიტული გათამაშდა. პირველად კარიერაში, საჩემპიონო ქამარი განელმა **ჯოშუა კლოტიმ** (35-3, 21 ნოკაუტი) მოიპოვა, რომელმაც ყოფილ აბსოლუტურ ჩემპიონს, ამერიკელ **ზებ ჯუდას** (36-6, 25) აჯობა.

ბრძოლის ფავორიტად განელი მოკრივე ითვლებოდა. მისთვის მიზნის მიღწევაში ერთადერთი უილბლობას შეეძლო ხელი შეეშალა. აქამდე კლოტი ყოველთვის უაზრო მიზეზით მარცხდებოდა. აშკარად მოგებულ ბრძოლებში მსაჯების გადაწყვეტილებით აგებდა ან თითი სტყდებოდა იმ დროს, როცა გამანადგურებელი ანგარიშით იყო წინ. რაც შეეხება ჯუდას, ბოლო წლებში მას ამტანობის მხრივ ექმნება პრობლემები და აღნიშნულ ბრძოლაში წარმატების მისაღწევად საწყის რაუნდებში უნდა მოეპოვებინა ქულების საკმარისი რაოდენობა ან კიდევ მეტოქის ტრავმის იმედი უნდა ჰქონოდა. მოკლედ, ამერიკელს მოთმინება უნდა გამოეჩინა, რითაც ის არასოდეს გამოირჩეოდა.

პირველივე რაუნდში კლოტიმ რინგის ცენტრი დაიპყრო და მეთოდურად შეუტია მეტოქეს. ჯუდა ძირითადად უკან იხევდა, მაგრამ ცდილობდა ისეთი წარმოდგენა შეექმნა, რომ სწორედ ის იყო მდგომარეობის ბატონ-პატრონი. განელმა იცოდა, რომ საწყის რაუნდებში ზები ძალიან აგრესიულად მოქმედებს, ამიტომაც მოვლენების ფორსირებას არ ცდილობდა და ამერიკელს თავისი საუკეთესო თვისებების გამოვლენის საშუალებას აძლევდა. ჯუდა კონტრშეტევებზე მოქმედებდა, რეგულარულად ურტყამდა მოწინააღმდეგეს კორპუსსა და თავში, ამასთან, ფეხების და სხეულის ბრწყინვალე მუშაობით განელის ყველა შეტევას იგერიებდა.

მეორე რაუნდიდან ბრძოლის სურათი ოდნავ შეიცვალა - კლოტის დარტყმები სულ უფრო და უფრო ხშირად აღწევდა მიზანს. მესამე რაუნდში კი, როცა ჯოშუა განსაკუთრებით გააქტიურდა, ამერიკელმა სულ დაკარგა სირცხვილი და ზურგშექცეული გაურბოდა მოწინააღმდეგეს. მიხვდა რა, რომ მეტოქეს ვერაფერს უხერხებდა, ჯუდა ბინძურ ილეთებზეც გადავიდა და ორჯერ, საკმაოდ ძლიერად, მუცლის ქვემოთ დაარტყა კლოტის. მეორედ ეს მეექვსე რაუნდში მოხდა, იმ დროს, როცა ამერიკელმა ბრძოლაში გარდატეხის შეტანა სცადა. რეფერიმ კლოტის სულისმოთქმის საშუალება მისცა, თუმცა განელის პროტესტი არ დააკმაყოფილა - ჯოშუა ჯუდასთვის გაფრთხილების მიცემას ითხოვდა.

მეშვიდე რაუნდი ზებმა ძალიან აქტიურად დაიწყო, მაგრამ მეორე წუთზე რამდენიმე უძლიერესი დარტყმა გამოეპარა, მუხლები აუკანკალდა, თუმცა მაინც შეძლო წონასწორობის შენარჩუნება. ჯუდა პრაქტიკულად დანებდა - ის აშკარად გაურბოდა ბრძოლას და მუდმივად კლინჩში შესვლას ცდილობდა. იგივე სცენარი განმეორდა მერვე რაუნდში... და უცებ, გონგამდე 30 წამით ადრე, ამერიკელი "აფეთქდა". მან არანორმალური შტურმი წამოიწყო, რითაც დროებით მაინც გადაიყვანა მსაჯები თავის მხარეს.

მეცხრე რაუნდიც ამერიკელს დარჩა. აქაც, ბოლო წამებზე ჯუდამ ძალიან ძლიერად უთავაზა თავში მოწინააღმდეგეს. ზებმა იქვე სცადა საქმის მომთავრება, მაგრამ გონგმა მოუსწრო. ჯუდამ თითქოს გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ შესვენებაზე გაირკვა, რომ ამერიკელს მარჯვენა წარბი ჰქონდა გახეთქილი. ექიმი ჯუდას კუთხესთან მივიდა და მოკრივემ მას ბრძოლის შეწყვეტა სთხოვა. წესების თანახმად, როცა შეხვედრა ოთხ რაუნდს გადასცდება, მაგრამ ვადაზე ადრე შეწყდება, ამ დროს მსაჯების ბარათებს ამოწმებენ. სამივე მათგანს ბრძოლის შეწყვეტის მომენტში კლოტის უპირატესობა ჰქონდა დაფიქსირებული - 87:84 და ორჯერ 86:85. ასე გახდა განელი ჯოშუა კლოტი ნახევრადსაშუალო წონაში IBF-ის ახალი მსოფლიოს ჩემპიონი.

ბრძოლის შემდეგ ექიმმა დაადასტურა, რომ წარბის გახეთქვის გამო, ჯუდას მხედველობა დაუქვეითდა. ამერიკელმა მეტოქის დასჯა მოითხოვა, რადგან ჩათვალა, რომ ჯოშუამ თავით მიაყენა ტრავმა. მაგრამ ვიდეოგამეორებამ ზუსტად აჩვენა - ეს არა თავით დარტყმა, არამედ ჯოშუას მარცხენა აპერკოტი იყო.

კმაყოფილი კლოტი კი მილოცვებს ილებდა და მომავალ მეტოქეებზე საუბრობდა. აფრიკელს ტიტულების გამაერთიანებელი ბრძოლის ჩატარება სურს. ამისთვის ის ბრძოლაში იწვევს WBC-ის ჩემპიონს, **ანდრე ბერტოს** ან IBF-ის ყოფილ და WBA-ის მოქმედ ჩემპიონს, **ანტონიო მარგარიტოს**. ზებ ჯუდას რაც შეეხება, როგორც პრეტენდენტი, ის მოკვდა, აღარ არსებობს.

**გია თვალაბეიშვილი**

რაგბი. სამი ერი

# ზელანდიამ სახე დაიბრუნა

**ზელანდია-ავსტრალია 39:10**

ზელანდია (15-9) მულიაინა, კაჰუი, კ.სმითი, ნონუ, სივივატუ, კარტერი, ქოუანი. (1-8) ვუდკოკი, ჰორი, სამერვილი, სორნი, ვილიამსი, კაინო, მაკქოუ, სოოიალო.

(16-22) მეალამუ, აფოა, ბორიჩი, თომსონი, კიპუ, დონალდი, ტუიტავაკე.

4ლ(ვუდკოკი 2, მა ა ნონუ 2), 2გ, 5ს(კარტერი).

ავსტრალია (15-9) ეშლი-კუპერი, ჰაინსი, მორტლოქი, ბარნსი, ტუქირი, გიტო, ბერჯესი. (1-8) რობინსონი, მური, ბაქსთერი, ჰორვილი, შარფი, ვო, ჯ.სმითი, პალუ.

(16-22) პოლოტა-ნაუ, დანინგი, ვიკერმანი, მაკმენიმანი, ქორდინგლი, კროსი, მიჩელი.

ლ (ეშლი-კუპერი), გ,ს (გიტო)

მსაჯი: მარკ ლორენსი (ს.აფრიკა)

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ზელანდია | 4 | 2 | 0 | 2 | +23 | 10 |
| 2.ავსტრალია | 3 | 2 | 0 | 1 | -7 | 9 |
| 3.ს.აფრიკა | 3 | 1 | 0 | 2 | -16 | 5 |



ტონი ვუდკოკის მეორე ლელო

ზელანდიის ნაკრებმა სამი ერის გათამაშებაში, ერთი კვირის წინ სიდნეიში განცდილი მარცხის გამო "ვოლაბებთან" სრული რევანში აიღო. "ოლ ბლექსმა" მოწინააღმდეგე ყველაფერში დაჯაბნა და 39:10 დაამარცხა.

ავსტრალიის ნაკრები ზედიზედ სამი კვირაა თამაშობს და ოკლენდში საკმაოდ მოღლილი ჩავიდა. ეს "ვოლაბების" თამაშსაც აშკარად დაეტყო, რადგან მათ მეტ-ნაკლები წინააღმდეგობა მასპინძლებს მხოლოდ პირველ ტაიმში გაუწიეს. ანგარიში დასაწყისშივე საჯარიმოდან ავსტრალიელმა **მეტ გიტომ** გახსნა, მაგრამ ზელანდიელებმა მომდევნო ოც წუთში 18 ქულა მოიპოვეს და 23-ე წუთისთვის უკვე 13 ქულას იგებდნენ.

"ოლ ბლექსის" რიგებში თავი შერკინების ბურჯმა **ტონი ვუდკოკმა** გამოიჩინა, რომელმაც მეტოქეს ორი ლელო გაუტანა. ამაზე ავსტრალიელებმა მხოლოდ **ადამ ეშლი-კუპერის** ლელოთი უპასუხეს, რომელიც გუნდის კაპიტანის **სტირლინგ მორტლოქის** გარღვევას მოჰყვა. ტაიმის დასასრულამდე გიტომ და ზელანდიელმა **დენ კარტერმა** თითო საჯარიმო გაცვალეს და ტაიმი 21:10 დასრულდა.

მეორე ნახევრის 20 წუთი მოსაწყენ ორთაბრძოლაში მიილია. სტუმრებს აშკარად ეტყობოდათ დაღლილობა. ზელანდიელებიც ზედმეტ რისკს ერიდებოდნენ. საბოლოოდ კი ისე გამოვიდა, რომ ავსტრალიამ მეორე ტაიმში საკუთარ მონაგარს ვერაფერი შემატა. მაშინ, როცა ზელანდიელებმა შუამარბის, **მა ა ნონუს** 40-50 მეტრიანი დრიბლინგების წყალობით კიდევ ორი ლელო გაიტანეს და გამარჯვებისთვის განკუთვნილ ოთხ ქულას, ოთხი და მეტი ლელოს გატანისთვის ერთი პრემიალური ქულაც მიუმატეს.

ზელანდია ამ გამარჯვების შემდეგ მართალია, ცხრილის სათავეში მოექცა, მაგრამ ჯერ ერთი, ორივე მოწინააღმდეგეზე ერთით მეტი ითამაშა და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, დარჩენილი ორი შეხვედრიდან, ორივე სტუმრად აქვს გასამართი.

მომდევნო შეხვედრა სამი ერის გათამაშებაში 16 აგვისტოს გაიმართება კეიპტაუნში. სამხრეთი აფრიკა "ნიულენდს სთედიუმზე" ზელანდიას უმასპინძლებს. თამაში თბილისის დროით 17 საათზე დაიწყება.

**ბესიკ ჭანგავაძე**

# TV სპორტი

**4 აგვისტო. ორშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-არსენალი.
14:10 ევრო 2008. 1/4 ფინალი. რუსეთი-ჰოლანდია.
16:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:10 გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ბორდო.
18:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:15 რუსეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:00 ევრო 2008. 1/2 ფინალი. თურქეთი-გერმანია.
22:00 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა 2007-08. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ჩელსი-ლივერპული.
00:40 საფეხბურთო ღამე.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:10 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი. მე-3 ადგილისთვის. მოსკოვი. რუსეთი.
13:00 სპორტის სამყარო.
13:30 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი. ფინალი. მოსკოვი. რუსეთი.
15:15 სპორტდოსიე. ბეისბოლი.
15:40 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. სან პაულუ-ვასკო და გამა.
17:25 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
17:50 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. ფინალი. ენდი მიურეი-ნოვაკ ჯოკოვიჩი. ცინცინატი. აშშ.
20:55 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
21:20 პროფესიული კრივი. ჯერმეინ ტეილორი-კელი პავლიკი.
23:45 ფეხბურთი. ევრო 2008. 1/2 ფინალი. გერმანია-თურქეთი.
01:25 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი. ფინალი. მოსკოვი. რუსეთი.
03:10 სპორტდოსიე. ბეისბოლი.
04:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. სან პაულუ-ვასკო და გამა.
05:45 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. ფინალი. ენდი მიურეი-ნოვაკ ჯოკოვიჩი. ცინცინატი. აშშ.

**EUROSPORT**

10:30 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო თასი. კაცები. ფინალი. ავსტრია.
11:30 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინეთი.
12:00 მძლეოსნობა. IAAF-ის გრანპრი. გერმანია.
14:00 ტრამპლინიდან ხტომა. 4 ერის გრანპრი. HS120. კურშეველი. საფრანგეთი.
15:30 ფრენბურთი. მსოფლიო გრანპრი. ფინალი. V დღე. აშშ-ჩინეთი. იაპონია.
16:30 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. ფინალი. აშშ-სერბეთი.
17:30 სპორტული ტანვარჯიში. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. ფინალები. შვეიცარია.
19:00 ოლიმპიური ამბები.
19:15 მძლეოსნობა. ევროპის თასი. საფრანგეთი.
21:45 ოლიმპიური ამბები.
22:00 ტრამპლინიდან ხტომა. 4 ერის გრანპრი. HS120. კურშეველი. საფრანგეთი.
23:00 ტრამპლინიდან ხტომა. 4 ერის გრანპრი. კვალიფიკაცია. პრაჯელატო. იტალია (LIVE).
00:00 ბრძოლა წესების გარეშე.
01:00 პოკერი.
02:00 ოლიმპიური ამბები.
02:15 ტრამპლინიდან ხტომა. 4 ერის გრანპრი. კვალიფიკაცია. პრაჯელატო. იტალია.
03:15 ოლიმპიური ამბები.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
09:45 სერფინგი. მსოფლიო ტური. ინდონეზია.
10:00 ახალი ამბები.
10:45 სერფინგი. მსოფლიო ტური. ინდონეზია.
11:00 ახალი ამბები.
11:30 კალათბურთი. საერთაშორისო ტურნირი "ბრილიანტის ბურთი". ქალები. ავსტრალია-მალი. ჩინეთი (LIVE).
13:30 სერფინგი. მსოფლიო ტური. ინდონეზია.
13:45 ახალი ამბები.
14:45 სერფინგი. მსოფლიო ტური. ინდონეზია.
15:00 ახალი ამბები.
15:30 კალათბურთი. საერთაშორისო ტურნირი "ბრილიანტის ბურთი". ქალები. რუსეთი-აშშ. ჩინეთი (LIVE).
17:30 კალათბურთი. საერთაშორისო ტურნირი "ბრილიანტის ბურთი". ქალები. ავსტრალია-მალი. ჩინეთი.
19:00 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. ბელგია.
20:00 ახალი ამბები.
20:30 მოტორსპორტი. ყოველკვირეული ტელეჟურნალი.
21:00 ფორმულა 1. ტელეჟურნალი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 სერფინგი. მსოფლიოს ტური. ინდონეზია.
22:15 კალათბურთი. საერთაშორისო ტურნირი "ბრილიანტის ბურთი". ქალები. რუსეთი-აშშ. ჩინეთი.
00:00 ნარდი. მსოფლიო სერია. დანიის ღია პირველობა.
01:00 ახალი ამბები.
01:15 სერფინგი. მსოფლიო ტური. ინდონეზია.
01:30 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
02:30 ახალი ამბები.
03:45 სერფინგი. მსოფლიო ტური. ინდონეზია.
04:00 ახალი ამბები.
04:45 სერფინგი. მსოფლიო ტური. ინდონეზია.

# ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ბრაზილია**

| | |
|---|---|
| ფლუმინენსე-ინტერნასიონალი | 1:2 |
| გოიაში-პორტუგეზა | 4:0 |
| ნაუტიკო-ფიგეირენსე | 1:2 |
| ფლამენგო-კრუზეირო | 1:2 |
| გრემიო-ვიტორია | 2:0 |
| იპატინგა-პალმეირასი | 1:2 |
| სან პაულუ-ვასკო | 4:0 |
| ატ. მინეირო-სპ. რესიფე | გვ. დასრულდა |
| პარანაენსე-ბოტაფოგო | გვ. დასრულდა |
| სანტოსი-კურიტიბა | გვ. დასრულდა |

**აშშ**

| | |
|---|---|
| დი სი იუნაიტედი-კანზასი | 2:0 |
| ჩიკაგო-ჩივასი | 1:0 |
| ჰიუსტონი-კოლამბუსი | 2:0 |
| სან ხოსე-ლოს ანჯელესი | 3:2 |
| ტორონტო-დალასი | 0:2 |

**ჩილე**

| | |
|---|---|
| პალესტინო-უნ. კონსეპსიონი | 3:1 |
| უნ. ჩილე-კობრელოა | 3:1 |
| აუდაქსი-ევერტონი | 2:1 |
| უაჩიპატო-რეინჯერსი | 1:2 |
| მელიპილია-ოსორნო | 3:1 |
| ს. მორნინგი-უნ. ესპანიოლა | 1:2 |
| უნ. კატოლიკა-კოლო კოლო | 1:0 |
| ანტოფაგასტა-ო'ჰიგინსი | 2:1 |
| კობრესალი-ნუბლენსე | 1:0 |

**კოლუმბია**

| | |
|---|---|
| ატ. უილა-ჩიკო | 1:1 |
| დეპ. კალი-დეპ. პერეირა | 5:0 |
| დეპ. კუინდიო-ტოლიმა | 0:0 |
| ლა ეკვიდადი-მილიონარიოსი | 2:3 |
| ბუკარამანგა-ა. ნასიონალ | 1:1 |
| ენვიგადო-ატ. ხუნიორი | 1:0 |
| ინდეპენდიენტე-კუკუტა | 1:0 |
| სანტა ფე-დეპ. პასტო | გვ. დასრულდა |
| ონსე კალდასი-ამერიკა | გვ. დასრულდა |

**ეკვადორი**

| | |
|---|---|
| ტექ. უნივერსიტ-დეპ. კუენსა | 2:1 |
| ესპოლი-ლიგა დე კიტო | 0:1 |
| დეპ. კიტო-ელ ნასიონალი | 1:0 |
| უნ. კატოლიკა-მაკარა | 1:2 |
| ოლმედო-ბარსელონა | 0:1 |
| ემელეკი-დეპ. ასოგესი | გვ. დასრულდა |

**პერუ**

| | |
|---|---|
| ალ. ატლეტიკო-ალ. ლიმა | 1:0 |
| სპორტ ბოისი-ბოლონეზი | 1:2 |
| უნ. პერუ-სპორტი | 2:2 |
| მელგარი-სენსიანო | 1:0 |
| ს. მარტინი-ხუან აურიჩი | 1:0 |
| ხ. გალვესი-სპ. კრისტალი | 3:2 |
| ს. ვალეხო-ატ. მინერო | 1:2 |

**მექსიკა**

| | |
|---|---|
| ტეკოსი-ჩივასი | 1:0 |
| პაჩუკა-სან ლუისი | 2:3 |
| ნეკაქსა-პუებლა | 0:0 |
| ატლასი-კრუს ასული | 2:4 |
| მონტერეი-ინდიოსი | 2:0 |
| ხაგუარესი-ტიგრესი | 1:3 |
| მორელია-ატლანტე | 0:0 |
| ტოლუკა-ამერიკა | 2:1 |
| ს. ლაგუნა-პუმასი | გვ. დასრულდა |

**ჩოგბურთი**

**ATP. ცინცინატი (მასტერსი)**

| | |
|---|---|
| ჯოკოვიჩი-მიურეი | 6:7, 6:7 |

**WTA. მონრეალი**

| | |
|---|---|
| საფინა-ციბულკოვა | 6:2, 6:1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1. უნგრეთის გრანპრი

# საბრალო მასა

**ფორმულა 1-ში პროგნოზის გაკეთება რომ რთული საქმეა, ეს ყველამ კარგად იცის. თუ ამინდი და ტრასა არ გვთავაზობს სიურპრიზებს, მაშინ საქმეში ტექნიკა ერთვება. შაბათს რბოლის ფავორიტად ლუის ჰემილტონი მიიჩნეოდა, ფინიშამდე სამი წრით ადრე ეჭვს არ იწვევდა ფელიპე მასას გამარჯვება, საბოლოოდ კი, პოდიუმის უმაღლეს საფეხურზე ჰეიკი კოვალაინენი ავიდა.**

პროგნოზის მიხედვით, კვირას წვიმა არ ივარაუდებოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ გულშემატკივრებს "ჰუნგარორინგზე" მორიგი მოსაწყენი კარუსელი ელოდათ.

საერთო ჯამში, გასწრებების მხრივ ასეც მოხდა, იმის გამოკლებით, რომ გამარჯვება არა "მაკლარენისა" და ჩემპიონატის ლიდერს, კვალიფიკაციაში პირველ ადგილზე გასულ **ლუის ჰემილტონს**, არამედ მის თანაგუნდელ **ჰეიკი კოვალაინენს** ერგო.

"მაკლარენი" ამ რბოლაში შეიძლება სულაც მშრალზე დარჩენილიყო. კვალიფიკაციის შემდეგ, რატომღაც არ სჯეროდათ "ფერარის" ბრაზილიელი პილოტის **ფელიპე მასასი**, რომელიც ამბობდა, რომ გაცილებით მეტის მიღწევა შეუძლია. მასა იქადნებოდა - პირველივე მოსახვევის შემდეგ ლიდერი გავხდებიო. თქვა და გააკეთა კიდეც.

ბრაზილიელმა რისკიანი მანევრით მოიპოვა ლიდერობა. ეს ასე მოხდა: პირველ ბილიკზე განლაგებულმა ჰემილტონმა და კოვალაინენმა ერთდროულად აიღეს სტარტი, მაგრამ ფელიპე კარგად ჩაუდგა კვალში ლუისს, გაასწრო ჰეიკის და გარე რადიუსი დაიჭირა. ბრაზილიელმა გვიან დაამუხრუჭა და მისმა საბურავებმა ბოლი გაუშვეს. მასამ ლუისს გვერდი აუარა, რომელსაც აქტიურად თავის დაცვა არ უცდია.

**ნელსინიო პიკესა** და **დევიდ კულტჰარდის** ბრძოლას თუ არ ჩავთვლით, რბოლაში ერთი-ერთზე ბრძოლა პრაქტიკულად არ გვინახავს. ჰემილტონი 2-3 წამზე ახლოს ვერ მიდიოდა მასასთან, ვერც **კიმი რაიკონენი** უხერხებდა რამეს მეექვსე ადგილზე მყოფ **ფერნანდო ალონსოს**...

ყველაფერი ასეც დასრულდებოდა, რომ არა მთელი რიგი უცნაური მოვლენებისა, რომელსაც რბოლის ბოლოს ჰქონდა ადგილი და რამაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საპრიზო ადგილების გადანაწილებაზე. გლობალური უიღბლობის პირველი მსხვერპლი გახდა ჰემილტონი, რომელიც კვლავ მასას დაწევას ცდილობდა. ბრიტანელის "მაკლარენს" მარცხენა საბურავი გაუსკდა. ლუისს ასე თუ ისე გაუმართლა, რადგან დაგეგმილ პიტ-სტოპზე ისედაც მალე უნდა შესულიყო. შესაბამისად, ბოქსებში დამატებით შესვლა აღარ დასჭირვებია. თუმცა ძალიან ბევრი დრო დაკარგა და დროებით ქულათა ზონის მიღმა აღმოჩნდა.

შემდეგ მოხდა ის, რაც თვალზე ცრემლს იმასაც კი მოჰგვრიდა, ვინც ფელიპე მასას არ გულშემატკივრობს. ფინიშამდე სამი წრით ადრე, "ფერარის" ძრავას ბოლი აუვიდა (ზუსტად ისე, როგორც სტარტზე მასას ბოლიდის საბურავებს), მანქანა გაჩერდა და განადგურებული ფელიპე კოკპიტიდან ამოვიდა. მოგების შემთხვევაში, ის საერთო ჩათვლაში ლიდერობას იბრუნებდა, ასე კი ჰემილტონმა პირველი ადგილი შეინარჩუნა, მასას კი რაიკონენმაც გაასწრო.

სხვათა შორის, კიმიმ ბოლოში ძალიან მოუმატა სიჩქარეს, უფრო კარგი პიტ-სტოპის წყალობით ალონსო უკან ჩამოიტოვა და **ტიმო გლოკს** გამოეკიდა. მართალია, გერმანელს ვერ გაასწრო, მაგრამ მასას გამოვარდნის წყალობით, პოდიუმზე შამპანურს გემო მაინც გაუსინჯა.

რბოლაში კიდევ სხვა უცნაურობებიც მოხდა. განსაკუთრებით ბოქსებში, როცა საწვავის შევსებისას **სებასტიან ბურდეს, კაზუკი ნაკაჯიმასა** და **რუბენს ბარიკელოს** მანქანები აალდა. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა და სამივემ მიაღწია ფინიშამდე.



სტარტზე მასას გაუმართლა...



...ფინიშზე - კოვალაინენს

კოვალაინენმა კარიერაში პირველი გრანპრი მოიგო. საპატიო წრის გავლისას, ფინელს რაციით ასე მიულოცეს: *"კეთილი იყოს შენი მობრძანება გამარჯვებულთა კლუბში"*. ეტაპის ერთ-ერთი გმირი აღმოჩნდა "ტოიოტას" პილოტი ტიმო გლოკი, რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა, არადა, ორი კვირის წინ, ჰოკენჰაიმზე სერიოზული ავარია განიცადა და მისი უნგრეთში გამოსვლა ეჭვქვეშ იდგა.

*"უბრალოდ დაუჯერებელია. ეს ძალიან მნიშვნელოვანი მომენტი იყო ჩემს კარიერაში, რომლისკენაც მრავალი წლის განმავლობაში მივდიოდი. იმედი მაქვს, ეს ჩემი უკანასკნელი გამარჯვება არ იქნება.*

*ჩვენ მოსაგებად გავედით სტარტზე, მაგრამ თავიდანვე ისე არ აეწყო ყველაფერი, როგორც ვგეგმავდით. ლუისი და ფელიპე ყველაზე სწრაფები იყვნენ, თუმცა მეორე პიტ-სტოპის შემდეგ მეც მოვუმატე და მასას პრესინგს შევეცადე - ხომ შეეძლო ამას "ფერარისთვის" ტექნიკური პრობლემები შეექმნა. საბოლოოდ, ასეც მოხდა და ფელიპემ გზა გამითავისუფლა"*, - განაცხადა რბოლის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ჰეიკი კოვალაინენმა.

წინ სამკვირიანი შესვენებაა, ჩემპიონატის ფინიში კი ძალიან საინტერესო უნდა გამოვიდეს.

**გია თვალაბეიშვილი**

| უნგრეთის გრანპრი. XI ეტაპი | |
|---|---|
| ჰუნგარორინგი (70 წრე, 306.663 კმ) | |
| 1 (2). ჰეიკი კოვალაინენი (მაკლარენი, ფინეთი) | 1:37.27,067 (2 პიტ-სტოპი) |
| 2 (5). ტიმო გლოკი (ტოიოტა, გერმანია) | +11,061 (2) |
| 3 (6). კიმი რაიკონენი (ფერარი, ფინეთი) | +16,856 (2) |
| 4 (7). ფერნანდო ალონსო (რენო, ესპანეთი) | +21,614 (2) |
| 5 (1). ლუის ჰემილტონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | + 23,048 (2) |
| 6 (10). ნელსინიო პიკე (რენო, ბრაზილია) | +32,298 (2) |
| 7 (9). იარნო ტრული (ტოიოტა, იტალია) | +36,449 (2) |
| 8 (4). რობერტ კუბიცა (BMW-ზაუბერი, პოლონეთი) | +48,321 (2) |
| 9 (8). მარკ უებერი (რედ ბული, ავსტრალია) | +58,834 (2) |
| 10 (16). ნიკ ჰაიდფელდი (BMW-ზაუბერი, გერმანია) | +1.07,709 (1) |
| 11 (13). დევიდ კულტჰარდი (რედ ბული, ბრიტანეთი) | +1.10,407 (2) |
| 12 (12). ჯენსონ ბატონი (ჰონდა, ბრიტანეთი) | +1 წრე (2) |
| 13 (17). კაზუკი ნაკაჯიმა (უილიამსი, იაპონია) | 1 წრე (1) |
| 14 (15). ნიკო როსბერგი (უილიამსი, გერმანია) | 1 წრე (2) |
| 15 (19). ჯანკარლო ფიზიკელა (ფორს-ინდია, იტალია) | 1 წრე (2) |
| 16 (18). რუბენს ბარიკელო (ჰონდა, ბრაზილია) | 2 წრე (2) |
| 17 (3). ფელიპე მასა (ფერარი, ბრაზილია) | 3 წრე (2) |
| 18 (14). სებასტიან ბურდე (ტორო როსო, საფრანგეთი) | 3 წრე (3) |
| 19 (20). ადრიან სუტილი (ფორს-ინდია, გერმანია) | 7 წრე |
| 20 (11). სებასტიან ფეტელი (ტორო როსო, გერმანია) | 47 წრე |

*საუკეთესო წრე: კიმი რაიკონენი - 1.21,195 (61-ე წრე)*

**კონსტრუქტორთა თასი:** 1. ფერერი - 111; 2. მაკლარენი - 100; 3. BMW-ზაუბერი - 90; 4. ტოიოტა - 35; 5. რენო - 31; 6. რედ ბული - 24; 7. უილიამსი - 16; 8. ჰონდა - 14; 9. ტორო როსო - 8.

| | ავს | მალ | ბაჰ | ესპ | თურ | მონ | კან | საფ | ბრი | გერ | უნგ | ევრ 24.08 | ბელ 07.09 | იტა 14.09 | სინ 28.09 | იაპ 12.10 | ჩინ 19.10 | ბრა 02.11 | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ჰემილტონი** (მაკლარენი) | 10 | 4 | 0 | 6 | 8 | 10 | 0 | 0 | 10 | 10 | 4 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 62 |
| **რაიკონენი** (ფერარი) | 1 | 10 | 8 | 10 | 6 | 0 | 0 | 8 | 5 | 3 | 6 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 57 |
| **მასა** (ფერარი) | 0 | 0 | 10 | 8 | 10 | 6 | 4 | 10 | 0 | 6 | 0 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 54 |
| **კუბიცა** (BMW-ზაუბერი) | 0 | 8 | 6 | 5 | 5 | 8 | 10 | 4 | 0 | 2 | 1 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 49 |
| **ჰაიდფელდი** (BMW-ზაუბერი) | 8 | 3 | 5 | 0 | 4 | 0 | 8 | 0 | 8 | 5 | 0 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 41 |
| **კოვალაინენი** (მაკლარენი) | 4 | 6 | 4 | 0 | 0 | 1 | 0 | 5 | 4 | 4 | 10 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 38 |
| **ტრული** (ტოიოტა) | 0 | 5 | 3 | 1 | 0 | 0 | 3 | 6 | 2 | 0 | 2 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 22 |
| **უებერი** (რედ ბული) | 0 | 2 | 2 | 4 | 2 | 5 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 18 |
| **ალონსო** (რენო) | 5 | 1 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 1 | 3 | 0 | 5 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 18 |
| **გლოკი** (ტოიოტა) | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 0 | 0 | 8 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 13 |
| **პიკე** (რენო) | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 8 | 3 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 13 |
| **ბარიკელო** (ჰონდა) | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 2 | 0 | 6 | 0 | 0 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 11 |
| **როსბერგი** (უილიამსი) | 6 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 8 |
| **ნაკაჯიმა** (უილიამსი) | 3 | 0 | 0 | 2 | 0 | 2 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 8 |
| **კულტჰარდი** (რედ ბული) | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 0 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 6 |
| **ფეტელი** (ტორო როსო) | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 6 |
| **ბატონი** (ჰონდა) | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 3 |
| **ბურდე** (ტორო როსო) | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 2 |